პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! [illegible]

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცეკის და ტფ. კომიტეტის და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები: №№ რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81

კვირა, 21 იანვარი 1934 წ. № 20 (3876)

ს. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ანგარიში

ამხ. ლავრენტი ბერიას მოხსენება

ა.-კ. კომორგანიზაციების VII ყრილობაზე 1934 წ. 15 იანვარს

ამხანაგებო!

ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების მეშვიდე ყრილობა მუშაობას იწყებს ისეთ პირობებში, როცა ჩვენი პარტია, რომელმაც მე-16 ყრილობიდან განვლილ პერიოდში მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებები მოიპოვა, მჭიდროდ დარაზმული რიგებით ხვდება თავის მე-17 ყრილობას.

საბჭოების ქვეყანამ პირველი ხუთწლედის მანძილზე დაამთავრა სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენება.

საბჭოთა კავშირის უზარმაზარ სივრცეზე ამჟამად შექმნილია ინდუსტრიალიზაციის ახალი, მძლავრი კერები.

მეტალურგიის, ქიმიის, მანქანათმშენებლობის უდიდესმა გიგანტებმა ჩვენი ქვეყანა ტექნიკური მხრივ ერთ-ერთ მოწინავე ინდუსტრიალურ ქვეყნად გადააქციეს.

ჩვენმა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობამ პროდუქციის მოცულობითაც და თავისი ტექნიკური დონითაც მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა.

კაპიტალისტური ექსპლოატაციის უკანასკნელი ბურჯი — კულაკობა — განადგურებულია, კოლმეურნეები — გლეხობის ძირითადი მასები — გადაიქცენ საბჭოთა ხელისუფლების მკვიდრ დასაყრდენად სოფლად.

სოციალისტური მინდვრების მშრომელთა ფართო მასების შეგნებაში მოხდა გარდატეხა კოლექტიური შრომის მიმართ, წმინდათა-წმინდა სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში.

ამხ. სტალინის ისტორიულმა მითითებებმა სოფლად მუშაობის ახალი ვითარების შესახებ, რომლებიც მან მოგვცა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ც. ს. კომისიის იანვრის პლენუმზე, პარტიის ბელადის ლოზუნგმა საკოლმეურნეო შეძლებული ცხოვრების შესახებ — შეაიარაღეს კოლმეურნეთა ფართო მასები ბოლშევიკური კოლმეურნეობებისათვის საბრძოლველად.

უკვე გასულ წელს, ბელადის ისტორიულ მითითებათა განხორციელების გზით, კოლმეურნეობანი ათეული ათასობით გადაიქცნენ ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად, ხოლო მათი კოლმეურნეები — შეძლებულებად.

ეს გამარჯვებები ზეიმია პარტიის გენერალური ხაზისა, ზეიმია ლენინური პოლიტიკისა, რომელსაც შეუდრეკლად ანხორციელებს ლენინის საქმის ფოლადისებური გამგრძელებელი, — ჩვენი დროის უდიდესი თეორეტიკოსი, პარტიის და მთელ მსოფლიოს ჩაგრული კაცობრიობის ბელადი — ამხ. სტალინი.

ამჟამად საბჭოთა კავშირის პროლეტართა და მშრომელთა მილიონები უდიდესი ენტუზიაზმით იხილავენ მსოფლიო-ისტორიულ სამუშაოთა პროგრამას — ამხ. მოლოტოვის და კუიბიშევის მოხსენებათა თეზისებს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, ამხ. კაგანოვიჩის მოხსენების თეზისებს პარტიული და საბჭოთა მშენებლობის ამოცანების შესახებ.

აღნიშნული თეზისები სახავენ ჩვენს წინაშე სოციალიზმის იმ შემდგომ გამარჯვებათა დიად სურათს, რომლებისკენაც ჩვენი პარტია მტკიცედ და [illegible] მიდის.

მეორე ხუთწლედში კულაკობა, როგორც კლასი, საბოლოოდ მოისპობა; დამთავრდება მთლიანი კოლექტივიზაცია; მეორე ხუთწლედი სავსებით მოსპობს მიზეზებს, რომლებიც წარმოშობენ კლასობრივ განსხვავებას.

მეორე ხუთწლედში ჩვენ დავამთავრებთ სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციას, საკუთარი მძიმე მრეწველობის ბაზაზე.

ჩვენ მიერ მიღწეული წარმატებები, ამხანაგებო ქმნის არაჩვეულებრივად ხელსაყრელ პირობებს შემდგომი უფრო სწრაფი წინსვლისათვის მუშათა და გლეხთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების გზით.

ეს ამოცანა მოითხოვს საქონელთბრუნვის ყოველნაირად გაშლას ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის წარმოების გადიდებისა და ქალაქის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესების საფუძველზე.

საქონელთბრუნვა, აგრეთვე ყოველი სახის ტრანსპორტის, განსაკუთრებით სარკინიგზო ტრანსპორტის გაძლიერების ამოცანა ამჟამად წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანებს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი საბოლოოდ გამაგრდა სოციალისტურ გზაზე, გადაიქცა საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის მიუვალ ციხე-სიმაგრედ.

ერთი მხრით სოციალიზმის მშენებლობაში საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვებანი და მეორე მხრით მსოფლიო ეკონომიური კრიზისი, რომელიც კვლავ გრძელდება, იწვევს დღევანდელი ეპოქის ძირითადი წინააღმდეგობის — ორი სისტემის ბრძოლის — შემდგომ გამწვავებას.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კონტრრევოლუციური საფრთხე გაძლიერდა, ვინაიდან გაძლიერდა საბჭოთა კავშირის, როგორც მთელ მსოფლიოში სოციალისტურ შუქურას, გამარევოლუციონერებელი როლი.

გაძლიერდა ომის საფრთხე კაპიტალისტურ ქვეყნებს შორისაც.

შორეულ აღმოსავლეთში იაპონია უკვე აწარმოებს ომს, რათა ძალდატანებით გადაწყვიტოს თავის სასარგებლოდ წყნარი ოკეანის წინააღმდეგობანი.

ევროპაში — გერმანიის ფაშიზმი ცდილობს ძალდატანებით გადაწყვიტოს თავის სასარგებლოდ ვერსალის წინააღმდეგობანი

ყველა იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა გამწვავებამ და ბურჟუაზიის ცდამ იპოვოს კრიზისიდან გამოსავალი ომში ისეთ ზომას მიაღწია, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის ამას წინათ დამთავრებულ მე-13 პლენუმს შესაძლებლობა მისცა აღენიშნა, რომ ჩვენ ამჟამად „ახალი იმპერიალისტური ომის წინაშე ვდგევართ".

კაპიტალიზმის ბანაკში იმპერიალისტური ომის მზადების პირობებში საბჭოთა კავშირი გამოდის როგორც მშვიდობიანობის უმსხვილესი ფაქტორი.

საბჭოთა კავშირის, როგორც საერთაშორისო ფაქტორის, მზარდმა მნიშვნელობამ სულ უკანასკნელ ხანებში მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაში.

საბჭოთა კავშირი იმდენად გამტკიცდა, რომ **„საბჭოთა კავშირზე შეიარაღებული თავდასხმა ნიშნავს ახლა მთავარ საფრთხეს იმათთვის, ვინც გაბედავს დაარღვიოს მშვიდობიანობა და თავს დაესხას საბჭოთა კავშირს"** (საბჭოთა მე-6 ყრილობა). და მიუხედავად ამისა, არიან ძალები, რომლებიც ისწრაფვიან დაარღვიონ მშვიდობიანობა და თავს დაესხან საბჭოთა ქვეყანას.

დღევანდელ ეტაპზე იაპონია და გერმანია წარმოადგენენ საერთოდ იმპერიალისტური ომის და განსაკუთრებით კონტრრევოლუციური ანტისაბჭოთა ომის მთავარ ინიციატორებს.

„ამაშია ნამდვილი საფრთხე — ამბობდა იაპონიის სამხედრო მზადების შესახებ ამხ. სტალინი თავის უკანასკნელ საუბარში დიურანტისთან. — **და ჩვენ იძულებული ვართ ვემზადოთ ამისთვის, არც ერთ ხალხს არ შეუძლია პატივისცემით მოეპყრას თავის მთავრობას, თუ იგი ხედავს თავდასხმის საფრთხეს და თავდაცვისათვის არ ემზადება".** სწორედ ამიტომ, თუ მიუხედავად მთელი ჩვენი მეცადინეობისა შევინარჩუნოთ მშვიდობიანობა, თავდასხმა მაინც მოხდება, ჩვენ, ამხ. მოლოტოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, **„ჩვენს ამოცანად დავისახავთ მხოლოდ ერთ რასმეს, ეს ამოცანა მტრის სრული განადგურება ჩვენი წითელი არმიის გამარჯვება".**

ამხანაგებო, არა თუ პარტიის ყოველი წევრისათვის, ყოველ უპარტიოსათვის, არამედ ყოველი ჩვენი დაუძინებელი მტრისათვისაც კი სავსებით ნათელია, რომ საბჭოთა ქვეყნის ბუმბერაზული წარმატებები სოციალიზმის მშენებლობაში და თავდაცვის უნარის უაღრეს გამტკიცებაში მიღწეულია მხოლოდ საკ. კ. პ. (ბ) ლენინური ცენტრ. კომიტეტის და შეუდრეკელი დიდი სტალინის — ჩვენი ქვეყნის გამარჯვებათა ორგანიზატორის გენიალური ხელმძღვანელობის მეოხებით.

ამიერ-კავკასია ლენინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარების ნიმუშია

ამხანაგებო! საკ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობაზე და ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მე-7 ყრილობაზე **ამიერ-კავკასიის ფედერაცია, მთელს საბჭოთა კავშირთან ერთად, მოდის უდიდესი გამარჯვებებით, რომლებიც მას საბჭოთა კავშირის მოწინავე ოლქების რიგში აყენებენ.**

ეს მიღწევები ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა მოიპოვეს ლენინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარებით, ამიერ-კავკასიის ფედერაციის პოლიტიკური და სამეურნეო გამტკიცების შედეგად, ამავე დროს მის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკების თვითმოქმედების და სამეურნეო ინიციატივის ფართოდ გაშლით.

ეხლა უკვე არ მოიძებნება არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი, რომელსაც არ ესმოდეს, რომ **მრავალეროვან ამიერ-კავკასიის პირობებში სოციალიზმის მშენებლობის საქმეში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის ის ფორმა, რომელიც წამოაყენეს ამხ. ლენინმა და სტალინმა, — ამიერ-კავკასიის ფედერაცია — ერთად-ერთი სწორი ფორმაა, რომელიც უზრუნველყოფს ნაციონალურ მშვიდობიანობას, სოფლისათვის სწორ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის სწრაფ ტემპებს, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას და, კულტურული დონის ამაღლებას.**

ეს ბრძოლაა ამიერ-კავკასიის ფედერაციის გამტკიცებისათვის, ჩვენი წარმატებებისა და მიღწევებისათვის—ეს არის გზა ბრძოლისა ფეოდალურ-კაპიტალისტურ ურთიერთობათა ნაშთებთან, გზა ბრძოლისა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ კონტრ-რევოლუციონურ პარტიებთან — დაშნაკებთან, მენშევიკებთან და მუსავატელებთან, გზა მათი განადგურებისა, გზა ჩვენი პარტიის შიგნით უკლონიზმის გამომჟღავნებისა და განადგურებისა, — უკლონიზმის, რომელიც გამოხატავდა ნაციონალისტურ კონტრრევოლუციურ ელემენტების წინააღმდეგობას.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია — ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმური თანამშრომლობის ორგანო — შექმნილია ლენინის და სტალინის ინიციატივით.

ჯერ კიდევ 1921 წელს თავის წერილში „კავკასიის კომუნისტების მიმართ" ლენინი სწერდა: რომ „ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მჭიდრო კავშირი იქნება ნიმუში ნაციონალური მშვიდობიანობისა, რომელიც არ მოსწრებია ბურჟუაზიას და შეუძლებელია ბურჟუაზიულ წესწყობილების დროს".

ლენინის ამ ძირითადმა წინასწარ განსაზღვრა ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნა. ამიერ-კავკასიის ფედერაცია იზრდებოდა, მტკიცდებოდა და იბრძოდა სამეურნეო და პოლიტიკური მხრით ბრძოლებში ნაციონალიზმთან და ნაციონალისტურ უკლონიზმთან, ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით.

ტფილისის პარტაქტივის საერთო კრებაზე 1921 წლის ივლისში გაკეთებულ მოხსენებაში ამხ. სტალინი მოითხოვდა ამიერ-კავკასიელ ბოლშევიკებისაგან: **„ნაციონალიზმის გველეშაპის გაჭყლეტას და, ინტერნაციონალიზმის ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნას ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანების საქმის უზრუნველსაყოფად ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შენარჩუნების დროს".**

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ამხ. სტალინის უშუალო ოპერატიული ხელმძღვანელობით, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდნენ მთელი რიგი წლების გამავლობაში ნაციონალ-უკლონისტურ ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ამიერ-კავკასიის ფედერაციის, როგორც შექმნას, ისე პოლიტიკურ და სამეურნეო გამტკიცებას.

სად მივყავდით ნაციონალ-უკლონისტების პოლიტიკას? რა გზით უნდოდათ მათ წაეყვანათ პარტია და ქვეყანა?

ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხი გასცა ამხ. სტალინმა თავის შესანიშნავ სიტყვაში მე-12 პარტყრილობაზე:

„ამ სახიფათო გზისაკენ მივყევართ ჩვენ ჩვენს ამხანაგებს — ქართველ უკლონისტებს, რამდენადაც ისინი იბრძვიან ფედერაციის წინააღმდეგ, არღვევენ რა პარტიის ყველა კანონს, რამდენადაც მათ სურთ გამოეყონ ფედერაციას, რათა შეინარჩუნონ ხელსაყრელი მდგომარეობა; მათ ჩვენ მივყევართ იმ გზით რომ მათ ერთგვარი პრივილეგიები მივცეთ სომხეთის და აზერბეიჯანის რესპუბლიკების ხარჯზე, ამ გზით წასვლა ჩვენ არ შეგვიძლია. ვინაიდან ეს მოასწავებს მთელი ჩვენი პოლიტიკის და საბჭოთა ხელისუფლების უეჭველ სიკვდილს კავკასიაში".

ამიერ-კავკასიის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა კატეგორიულად უარყვეს ეს გზა. ვინაიდან, როგორც იმავე სიტყვაში აღნიშნავდა სტალინი — „საბჭოთა ხელისუფლებას, რომ ვერ მოეხერხებია ამიერ-კავკასიაში ნაციონალური მშვიდობიანობის ორგანოს შექმნა, რომელსაც შეეძლებოდა უთანხმოებათა და კონფლიქტების მოგვარება, ჩვენ დავუბრუნდებოდით ცარიზმის ეპოქას ან, დაშნაკების, მუსავატისტების და მენშევიკების ეპოქას, როცა ადამიანები წვავდნენ და ჟლეტდნენ ერთმანეთს". (სტალინი).

ასრულებდნენ რა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის და ამხ. სტალინის მითითებებს, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა, ამხ. ს. ორჯონიკიძის მეთაურობით, მუშათა და მშრომელთა ფართო მასების ძლიერი დახმარებით, გაანადგურეს ნაციონალიზმი და ნაციონალ-უკლონიზმი, პოლიტიკურად გამტკიცეს ამიერ-კავკასიის ფედერაცია, შექმნეს რა ყველა საჭირო პირობა მისი შემდგომი სამეურნეო და კულტურული ზრდისათვის.

ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების შემდგომი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ, როგორც აღნიშნა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის 1929 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში, ამიერ-კავკასიის ფედერაციის ორგანოებს, რომლებიც პირველ პერიოდში ასრულებდნენ უმთავრესად, პოლიტიკურ როლს, მთელი თავისი ღონისძიებანი შეემართათ **„სამეურნეო სოციალისტური მშენებლობისაკენ ნაციონალურ რესპუბლიკებში,** მათი ინდუსტრიალიზაციისაკენ, სოფლის მეურნეობის ტექნიკური და სოციალური გარდაქმნისაკენ".

ამ ამოცანის განხორციელების მიზნით, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა: **„განმტკიცებულ იქნას ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო ბაზა, განხორციელებულ იქნას ნამდვილი ხელმძღვანელობა ამიერ-კავკასიის მთელ სამეურნეო მშენებლობაზე".**

ამასთანავე, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი გადაჭრით ხაზს უსვამდა, რომ ამ დირექტივების ცხოვრებაში გატარება უნდა მომდინარეობდეს **„ამიერ-კავკასიის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალ ნაციონალური რესპუბლიკების ფართო თვითმოქმედების და სამეურნეო ინიციატივის ფართოდ გაშლასთან ერთად".**

შეასრულა თუ არა ამიერ-კავკასიის პარტიულმა ხელმძღვანელობამ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ამხ. სტალინის მითითებანი?

შესძლეს თუ არა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა 1930 და 31 წლებში თავიანთ მუშაობაში ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო გამტკიცება შეეთავსებინათ ა.-კ. ს. ფ. ს. რ.-ში შემავალ რესპუბლიკების ინიციატივისა და თვითმოქმედების მაქსიმალურ გაშლასთან?

არა, ვერ შესძლეს! ამიერ-კავკასიის პარტიულმა ხელმძღვანელობამ ბიუროკრატიულად თავი მოუყარა რა ერთ ხელში სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის ხელმძღვანელობას მხარეში, წაართვა რა რესპუბლიკებს დამოუკიდებლობა, მათ წინაშე მდგომ პოლიტიკურ და სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში, ვერ შესძლო რა პარტიული კადრების კონსოლიდაცია, მათი დარაზმვა საკ. კ. პ. (ბ) ცკ-ას და ამხ. სტალინის დირექტივების განხორციელებისათვის საბრძოლველად, — ამიერ-კავკასიის პარტიულმა ხელმძღვანელობამ ვერ მიაღწია საჭირო წარმატებებს ბრძოლაში ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო და პოლიტიკური გამტკიცებისათვის.

გამოშიგნა რა რესპუბლიკანურ ცენტრალურ კომიტეტების და სახკომსაბჭოების მუშაობის შინაარსი, ვერ მოახერხა რა ხალხის განაწილება საქმიანი პრინციპით, ვერ განუვითარა რა კომუნისტებს გემოვნება სამეურნეო მუშაობისადმი, იმ პერიოდის პარტიულმა ხელმძღვანელობამ, თავი ვერ გაართვა ამოცანებს, რომლებიც მის წინაშე დააყენა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა.

უპრინციპო ჯგუფური ბრძოლის და „ატამანშჩინის" პირობებში მას გამოეპარა ძირითადი პრობლემა — სოფლისათვის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გაწევა და დაუშვა მთელი რიგი უხეში დამახინჯებანი და გადახვევები გლეხთა საკითხში.

ის შეცდომები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 1931 წელს ამიერ-კავკასიასა და განსაკუთრებით საქართველოში გლეხთა საკითხში და რომელიც გამოიხატა შიშველ ადმინისტრირებაში, კოლექტივიზაციის გაბერილ ციფრებისადმი გამოდევნებაში, მოწინავე ხორბლეულ რაიონების გამოცდილების მექანიკურად გადმოტანაში, — ეს შეცდომები შემთხვევითი არ იყო.

ჩვენ გვქონდა უხეში შეცდომები გლეხთა საკითხში აჭარისტანს 1929 წელს (მედრესის დახურვა, ჩადრის ჩამოხსნა), უხეში გადახვევები კოლექტივიზაციის საქმეში აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს ცალკე რაიონებში 1930 წელს.

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა დასკვნა ვერ გააკეთეს **1924 წლის გაკვეთილებიდან საქართველოში, იმ მითითებებიდან, რომელიც მაშინ მოგვცა ამხ. სტალინმა.**

გამოვიდა რა მოსკოვში სოფლის უჯრედების თათბირზე 1924 წლის ოქტომბერში, ამხ. სტალინმა თქვა:

„ჩვენს გაზეთებში წერენ ბუტაფორულ გამოსვლებზე საქართველოში. ეს მართალია, ვინაიდან საერთოდ, აჯანყება საქართველოში იყო ხელოვნური, არა ხალხური, მაგრამ ზოგიერთ ადგილებში მენშევიკებმა, მასებთან კომპარტიის ცუდი კავშირის გამო, მოახერხეს აჯანყებაში ჩაეთრიათ ამ გლეხური მასის ნაწილი. დამახასიათებელია, რომ ეს ადგილები ყველაზე უფრო მეტად გაჟღენთილია კომუნისტური ძალებით. ამ ადგილებში შედარებით ბევრად მეტი კომუნისტებია, ვიდრე სხვა ნარჩენ ადგილებში. და სწორედ აქ გამოპარათ, ვერ შეამჩნიეს, რომ გლეხთა შორის მოძრაობა იყო, რომ გლეხები რისთვისღაც ემზადებოდნენ. რომ მათში უკმაყოფილება იყო რომ ეს უკმაყოფილება დღითი-დღე გროვდებოდა. პარტიამ კი ამაზე არაფერი არ იცოდა"....

„როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ასეთი შეუსაბამობა? იმ. რომ კომუნისტებმა ვერ მოახერხეს ლენინურად მიდგომოდნენ გლეხებს, ნდობის ატმოსფეროს ნაცვლად შექმნეს ურთიერთ უნდობლობის ატმოსფერო და ამრიგად მოწყვიტეს პარტია უპარტიო გლეხებს"

ამრიგად, ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების შეცდომების წყარო გლეხთა საკითხში 1929, 1930 და 1931 წლებში ის წარმოადგენდა, რომ პარტორგანიზაციები საკმაოდ დაკავშირებული არ იყვნენ გლეხთა მასებთან, რომ ისინი, როგორც ამხ. სტალინი აღნიშნავდა, „მოწყვეტილი აღმოჩნდნენ უპარტიო გლეხობის განწყობილებებისა, ფიქრებისა და მისწრაფებებისაგან."

მხოლოდ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ენერგიული ჩარევის და ამხ. სტალინის პირადი ხელმძღვანელობისა და დახმარების მეოხებით ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციამ გამოასწორა ეს შეცდომები.

ამხ. სტალინის ინიციატივით მიღებულ 1931 წლ. 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოგვცა გლეხთა საკითხში პარტიული ხელმძღვანელობის შეცდომების ამომწურავი შეფასება, დაჰგმო გადამეტებული ცენტრალიზაცია მხარის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მიმართ ხელმძღვანელობაში, მკაცრად დაჰგმო დაჯგუფებასა და „ატამანშჩინას" და დასახა ამ შეცდომების გამოსწორების გზები.

ახორციელებდნენ რა ჩვენს წინაშე საკ. კ. პ. (ბ) ცკ-ას მიერ დასმულ ამოცანებს ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის, პარტიული რიგების შემჭიდროების და პარტიული ორგანიზაციების გამტკიცების შესახებ, — ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.

შემდეგად ორი წლის შეუპოვარი ბოლშევიკური ბრძოლისა საკ. კ. პ. (ბ) ცკ-ას დირექტივების და ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის მითითებების რეალიზაციისათვის. ჩვენ გავამტკიცეთ ამიერ-კავკასიის ფედერაცია სამეურნეო და პოლიტიკური მხრივ, ამავე დროს არა თუ არ გამოვშიგნეთ რესპუბლიკების მუშაობის შინაარსი, არამედ შევქმენით ყველა აუცილებელი პირობა მათი ფართო ინიციატივისა და შემოქმედებითი მუშაობისათვის.

უზრუნველვყავით რა გლეხობისათვის სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობის გაწევა, ჩვენ მხარის ინდუსტრიალიზაციის და კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების ბაზაზე მივაღწიეთ ახლანდელ სავსებით მტკიცე პოლიტიკურ მდგომარეობას ამიერ-კავკასიის სოფელში.

პარტიული ორგანიზაცია გამტკიცდა, ძირიანად აღმოფხვრილია ჩვენი რიგებიდან უპრინციპო ჯგუფობრიობა და „ატამანშჩინის" ელემენტები, აღდგენილია ბოლშევიკური დისციპლინა, კომუნისტები გადავიდნენ საქმიან პრაქტიკულ მუშაობაზე და ყოველდღიურად იბრძვიან პარტიის რიგების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა, ამიერ-კავკასიის მთელი პარტიული ორგანიზაციის შემჭიდროვებისათვის ლენინური ცენტრალური კომიტეტის და პარტიის საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის გარშემო (ტაში).

ამხანაგებო! ეს მცირე ექსკურსი ამიერ-კავკასიის ფედერაციის განვითარების ისტორიაში სრულიად აუცილებელი იყო იმ წარმატებების სწორად შეფასებისათვის, რომელთა შესახებაც ჩვენ დღეს ანგარიშს ვაბარებთ ამიერ-კავკასიის პარტიორგანიზაციების მე-VII ყრილობას.

ამხ. სერგო ორჯონიკიძის შემდეგ პირველად გადაწყდა სწორად პრაქტიკაში პრობლემა ამიერ-კავკასიის ფედერაციისა და მასში შემავალ სამი რესპუბლიკის ურთიერთკავშირისა გადაწყდა საკ. კ. პ. (ბ) ცკ-ას მიერ ამ საკითხის ირგვლივ მიღებულ გადაწყვეტილებების არა ფორმალური არამედ სრული აზრობრივი გაგებით.

პარტიული ყრილობები ჩატარდა აზერბეიჯანს. საქართველოსა და სომხეთში. რესპუბლიკების ცენტრალურმა კომიტეტებმა ყრილობათა დელეგატებს საქმიანად, ფართოდ და კონკრეტულად ჩააბარეს ანგარიში ორი წლის მუშაობის შესახებ. სამი რესპუბლიკიდან თვითეულს შეუძლია იამაყოს იმ წარმატებებით, რომლებითაც იგი წარსდგა თავისი ყრილობის წინაშე. ეს წარმატებები, აგრეთვე მუშაობაში ჯერჯერობით აუცილებელი დეფექტები, ყრილობებზე საქმიანად განხილულ იქნა ბოლშევიკური თვითკრიტიკის საფუძველზე. ყრილობათა მასალები გამოქვეყნდა ჩვენს პრესაში.

ამიტომ ჩემს საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც შეიცავს არა მარტო საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის, არამედ აგრეთვე სამი რესპუბლიკის მუშაობას, მე, გამეორების თავიდან ასაცილებლად, დაწვრილებით არ შევეხები ჩვენი მუშაობის შინაარსზე განვლილ პერიოდში და შევეხები მხოლოდ ამიერ-კავკასიის სოციალისტური მშენებლობის და პარტიის სამხარეო კომიტეტის მუშაობის ძირითად საკვანძო საკითხებს.

მრეწველობა

ამიერ-კავკასიას მოეპოება ნედლეულის უმდიდრესი ბაზა მრეწველობის განვითარებისათვის.

ამიერ-კავკასიაში არის ნავთის მთელი მსოფლიო მარაგის 20 პროცენტი, საბჭოთა კავშირის ნავთის მარაგის ნახევარზე მეტი.

მარგანეცის მადნის მარაგი შეადგენს მთელი მსოფლიო მარაგის ერთ მესამედს და მთელი საბჭოთა კავშირის მარაგის 50 პროცენტს.

მრავალფეროვანი ქიმიური ნედლეული, ფერადი და იშვიათი ლითონები, სპილენძი, კალა, თუთია, მოლიბდენი, რკინის მადანი, ალუმინის ნედლეული (ალუნიტები), ბარიტი დარიშხანი, გუმბრინი, თიხამიწა, მრავალგვარი საშენებლო მასალის მდიდარი საბადოები—ტუფი, პემზა, მარმარილო. ცეცხლგამძლე თიხა და სხვ.—ყველა ამ სიმდიდრეული რესურსების დამუშავება წინათ თითქმის სრულიად არ წარმოებდა და მათი ექსპლოატაცია დაიწყო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს.

ნავთის და მარგანეცის მოპოვება ხდებოდა ტაცებლურად და შეზღუდულ ოდენობით

ამიერ-კავკასიის ჰიდროენერგეტიკული რესურსები რევოლუციამდე არ იყო გამოყენებული არ არსებობდა არც ერთი ჰიდროელექტროსადგური იმ დროს, როცა ამიერ-კავკასიას მოეპოება საბჭოთა კავშირის ყველა ჰიდროენერგეტიკული რესურსების არანაკლებ ათი პროცენტი მაინც.

ყოფილი მეფის რუსეთის კოლონიალურ-კაპიტალისტური რეჟიმი, ამიერ-კავკასიის განვითარებას ჰყინავდა აგრარულ-ნედლეულო ბაზის დონეზე

თავისი ბატონობის დროს მენშევიკებმა, დაშნაკებმა და მუსავატისტებმა დაანგრიეს ის უმნიშვნელო მრეწველობაც კი, რომლებიც არსებობდა ამიერ-კავკასიაში. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში აღდგენილ იქნა დანგრეული მეურნეობა და დაიწყო ფართო სამრეწველო მშენებლობა.

ჩატარდა ნავთის მრეწველობის სათანადო რეკონსტრუქცია (აგებულია ახალი ნავთის გადამამუშავებელი ქარხნები ბაქოსა და ბათომში, გაყვანილია ბაქო-ბათომის ნავთსადენი).

ნავთის ამოღება 7.410 ათას ტონიდან 1913 წელს, დაეცა 2.000 ათას ტონამდე 1920 წელს, ხოლო 1933 წელს იგი აღწევს 15.330 ათას ტონას.

აგებულია დიდი ჰიდროელექტროსადგურები — ზაჰესი, რიონჰესი, ძორაჰესი და სხვ.

ელექტროსადგურების სიმძლავრე გაიზარდა 291 ათას კილოვატამდე, რომელიც არსებულ 60 ათას კილოვატთან შედარებით.

ამუშავდა ახალი დიდი ფაბრიკები და ქარხნები — ფეროშენადნობების ქარხანა ზესტაფონში, ციანამიდის ქარხანა კარაკლისში, ბაზალტის ქარხანა ერევანში, ნავთის საბურღავი ქარხანა ტფილისში, ცემენტის ქარხნები კასპში და დავალუში „პემზობლოკების" ქარხანა ერევანში და მძიმე მრეწველობის ბევრი სხვა საწარმოები.

ამუშავდა მსუბუქი და კვების მრეწველობის ათეული ახალი საწარმოები—ტფილისის და ქუთაისის მაუდის ფაბრიკები, ნუხის აბრეშუმის მრეწველობის კომბინატი, განჯის სართავ-საქსოვი კომბინატი, მთელი რიგი საკერვალო ფაბრიკები, გორის, ქუთაისის და ერევნის საკონსერვო ქარხნები, ბაქოს ხორცის კომბინატი, აგარის შაქრის ქარხანა და ბევრი სხვა.

პირველ ხუთწლედში კაპიტალური დაბანდებანი მრეწველობაში ხუთი სახალხო კომისარიატის ხაზით შეადგენს 1.020 მილიონ მანეთს აქედან: მძიმე მრეწველობის ხაზით. 875 მილიონ მანეთს. მხოლოდ ნავთის მრეწველობაში პირველ ხუთწლედში დაბანდებულია 676 მილიონი მანეთი.

მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1933 წელს გაიზარდა 1542 მილიონ მანეთამდე, ნაცვლად 791 მილიონი მანეთისა 1930 წელს.

მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა ა.-კ. ს.ფ.ს.რ.-ის მთელ სახალხო მეურნეობაში 1933 წელს შეადგენს 73 პროცენტს, ხოლო სოფლის მეურნეობის აბსოლუტურად მისი დიდი ზრდის დროს—27 პროცენტს.

ამიერ-კავკასია აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა ინდუსტრიალურ — აგრარულ ქვეყნად. ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალიზაციის ეს მიღწევება არის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის უდიდესი გამარჯვება.

ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალიზაციის საქმისათვის ბრძოლაში ძირითადი ადგილი უკავია ნავთის მრეწველობის განვითარებას.

ნავთი

აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობა წარმოადგენს მთელი საბჭოთა კავშირის თხევადი სათბობის ძირითად ბაზას, — იგი იძლევა მთელი იმ ნავთის 70 პროცენტზე მეტს, რომელიც საბჭოთა კავშირში ამოგვაქვს.

წარმატებით შეასრულა რა პირველი ხუთწლედი ორნახევარი წლის განმავლობაში, აზნავთმა 1932 წელს დაამთავრა დიდი ჩამორჩენით,—დააკლო ჩვენს ქვეყანას 1 მილიონ ტონაზე მეტი ნავთი, გაზის ჩაუთვლელად. ეს ჩამორჩენა გეგმის შესრულების მხრივ, როგორც სათანადო გადაწყვეტილებებში ნათქვამია, აიხსნება ა.-კ. სამხარეო კომიტეტის, აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ.-ს და ბაქოს კომიტეტის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობით და ნავთის მრეწველობის სუსტი მუშაობით იმ პერიოდში.

ნავთისათვის ბრძოლამ 1933 წელს დაიკავა ცენტრალური ადგილი პარტიის სამხარეო კომიტეტის მუშაობაში.

ამიერ-კავკასიის მთელი პარტიულმა ორგანიზაციამ და პირველ რიგში მისმა მოწინავე რაზმმა — ბაქოს ორგანიზაციამ აზერბეიჯანის კ. პ (ბ) ც. კ.-ს და ბაქოს კომიტეტის მეთაურობით უმთავრესი ყურადღება გადაიტანა ნავთზე, მაგრად, უშუალოდ მოკიდეს ხელი ნავთის საქმეს.

ბაქოს კომკავშირი პარტიულ ორგანიზაციებს არ ჩამორჩენია.

აზნავთიც შეუდგა თავისი სამეურნეო-ტექნიკური აპარატის გარდაქმნას.

ნავთისათვის ბრძოლა გადაიქცა საყოველთაო ამოცანად, საზრუნავ საგნად, სახალხო საქმედ არა მარტო პარტიული ორგანიზაციისათვის, არამედ ბაქოს ნავთის მუშათა მთელი არმიისათვისაც.

ჯერ კიდევ 1932 წელს ამხ. სტალინმა ამხ. სერგოსადმი მიმართულ წერილზე გაუკეთა მინაწერი ბაქოელ ბოლშევიკებისადმი: **„ეჭვი არ ებადება. რომ ბაქოელი ამხანაგები შეასრულებენ თავის მოვალეობას საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის წინაშე".**

ახლა ჩვენ შეგვიძლია ვუპასუხოთ: **„ამხ. სტალინ! შენი მითითება შესრულებულია. აზნავთმა მისცა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს არა მარტო 1933 წლის ძირითადი გეგმით დაწესებული 14.400 ათასი ტონა ნავთი, არამედ პარტიის დამატებითი დავალებაც—500 ათასი ტონა და მძიმე მრეწველობის სახ. კომისარიატის დავალება—384.000 ტონა, ხოლო სულ 15.325.500 ტონა, ე. ი. 100.03 პროც. შესრულებულია ნავთის გადამუშავების გეგმა. გადამუშავებულია 12.866.000 ტონა ანუ გეგმის 105,7 პროც. შესრულებულია ნავთის გატანის გეგმა. გადაზიდულია ზღვით 8.264 000 ტონა ანუ გეგმის 100.2 პროც"**

ამ წარმატებებს ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციამ და ბაქოელმა ბოლშევიკებმა, აზნავთის დამკვრელმა მუშებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა მიაღწიეს **საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს და პირადად ამხ. სტალინის ყოველდღიური ხელმძღვანელობით და დახმარებით.**

რაც შეეხება ბურღვას, თუმცა 1933 წელს გაბურღულ იქნა 64 ათასი მეტრით მეტი, ვიდრე 1932 წელს, მაგრამ 1933 წლის ბურღვის გეგმა ვერ შესრულდა.

პარტიისა და მთავრობის განსაკუთრებული გადაწყვეტილება 1934 წლის პირველ იანვრამდე 300 ჭაბურღილის ექსპლოატაციის დაწყების შესახებ აგრეთვე არ შესრულებულა. „300" ანგარიშში გადაცემულია საექსპლოატაციოდ მხოლოდ 75 ჭაბურღილი.

აზნავთის აპარატის მუშაობის გარდაქმნა ჯერ კიდევ მთლიანად არ არის დასრულებული და სარეწაოების ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ სუსტად არის მოწყობილი.

მე ვჩერდები მიმდინარე წელში აზნავთის მუშაობის ამ მოკლე დახასიათებას. რადგან ყრილობის დღის წესრიგში დგას სპეციალური მოხსენება ნავთის შესახებ.

ვიტყვი მხოლოდ, რომ გასულ წელს ნავთისათვის ბრძოლას უაღრესად დაჭიმული ხასიათი ჰქონდა. 1932 წლის ჩავარდნის შემდეგ ერთბაშად სათანადო ნაბიჯის გადადგმა წინ ნავთის ამოღების საქმეში—3 მილიონი 144 ათასი ტონას მიღება — უდიდესი ძალღონის დაჭიმვას მოითხოვდა. ჩვენ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის, საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო ორგანიზაციების დაუხმარებლად ვერ შევძლებდით მთელი რიგი სიძნელეების გადალახვას. 1934 წლის გადიდებული გეგმები კი მოითხოვდნენ აზნავთის აპარატის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რადიკალურად გარდაქმნას. აზნავთის შემდგომ მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხების მთელი ჯაჭვი გულდასმით შესწავლის შედეგად, საკითხი დასმულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მის მიერ 1933 წლის 5 დე-

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

ამხ. ლ. ბერიას მოხსენება

კომმერს მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა „ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციის და აზნავთის უდაო მიღწევები 1933 წელს, რაც გამოიხატა ახალი რაიონების გამოვლინებასა და ათვისებაში, ნავთის ამოღების ძირითადი პროგრამის და ცენტრალური კომიტეტის განსაკუთრებული დავალების შესრულებაში".

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აზნავთის ხაზით დააწესა ნავთის ამოღების 1934 წლის პროგრამა 22 მილიონი ტონას რაოდენობით. აქედან 1 მილიონი გაზი.

ბურღვის გეგმა 1934 წლისათვის დამტკიცებულ იქნა 864.000 მეტრის ნაბურღით.

აზნავთის კაპიტალური ხარჯების 1934 წლის გეგმა დამტკიცებულია 270 მილიონი მანეთის ოდენობით. აქედან პირველი კვარტალისათვის —80 მილიონი მანეთი.

თუ კი თანხა გამოყენებულ იქნა პირველ კვარტალში, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კაპიტალური დაბანდები შემდეგში გადიდებული იქნება.

როგორც თქვენ ხედავთ, ჩვენს წინაშე დასახულია უაღრესად დიდი და პასუხსაგები ამოცანა: ერთი წლის განმავლობაში გავადიდოთ ნავთის ამოღება 7 მილიონი ტონით, ე. ი. დამატებით მივცეთ თითქმის იმდენივე, რამდენსაც 1913 წელს იძლეოდა ბაქოს მთელი ნავთის მრეწველობა (7.400 ათასი ტონა).

მთელი ნავთის თითქმის ნახევარი (45 პროც.) მიღებულ უნდა იქნას იმ ახალი ფართობებიდან, რომელთა ნაწილიც ამუშავდა 1933 წელს ხოლო ნაწილი კი გადაცემული იქნება საექსპლოატაციოდ 1934 წელს. ეს ფართობები უნდა მოვამზადოთ, გავხსნით ავითვისოთ, გავშალოთ იქ ყველა დამხმარე საწარმოები და, ნაგებობანი, სახელოსნოები, საცხოვრებელი სახლები, წყალსადენები და სხვ. ამოცანა, ვიმეორებ, უაღრესად დიდი და ძნელია.

მაგრამ აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობას მოეპოვება ყველა პირობა მის გადასაჭრელად. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის გადაწყვეტილებაში გაითვალისწინა ყველაფერი რაც კი საჭიროა საწარმოების მთლიანად გასაშლელად.

[illegible], დაზგები, მილები, მოწყობილობა და სხვ.—ყველაფერი ეს მიეცემა აზნავთს.

ამხ. სტალინის წინადადებით ნავთის მრეწველობის სამეურნეო - პოლიტიკური ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა აზნავთის გაწვრილება და გადამუშავების და შორეული კვლევის დარგში დამოუკიდებელი ტრესტების გამოყოფა.

ნავთის მრეწველობის ახლად მოწყობილი ტრესტების ხელმძღვანელებად გამოყოფილ იქნენ ამხანაგები — პეტერსონი, ალავერდიევი, სლუცკი, ნიკიტინი, აზერბეიჯანელები ყურძოდ ბაქოელები, კარგად იცნობენ ამ ამხანაგებს. მთელი ყურადღების საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ ამხ. პეტერსონი შემთხვევით როდია დანიშნული აზნავთის ტრესტის ხელმძღვანელად. ამხ. პეტერსონი წამოყენებულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და პირადად ამხ. სტალინის მიერ, ჩვენ მიერ წარდგენილ მთელ რიგ კანდიდატურებთან გაცნობის შემდეგ. ამხ. პეტერსონი—კომუნისტი ინჟინერი, აქ აზნავთის ერთ-ერთ მსხვილ სარეწაოს ხელმძღვანელი, შემდეგ აზნავთის უფროსის მოადგილე და სარეწაო სამმართველოს უფროსი. იგი ბაქოში მყოფი, ენერგიული და მცოდნე ამხანაგია, რომელმაც სათანადო დასკვნები უნდა გამოიყვანოს და გამოიყვანს კიდეც თავისი დანიშვნის ფაქტიდან. დახმარება აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ბაქოს კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის და საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის მხრით მისთვის უზრუნველყოფილია და მან თავი უნდა გამოიჩინოს მუშაობაში.

ნავთის პროდუქტების გადამუშავების დამოუკიდებელი ტრესტის მმართველად დანიშნულია ამხ. სლუცკი. ამხ. სლუცკი წინადაც აზნავთის მუშაობის ამ ნაწილის ფაქტიური ხელმძღვანელი იყო. ნავთის გადამუშავება უდიდესი, გრანდიოზული საქმეა, რომელიც განსაკუთრებით გაიზარდა ამ რამდენიმე უკანასკნელი წლის განმავლობაში, როდესაც აშენდა ახალი ნავთის გადამამუშავებელი ქარხნები, კრეკინგები, და სხვ. ამხ. სლუცკი საუცხოვოდ იცნობს ამ საქმეს და მიმდინარე წელს მას [illegible] მუშაკია მთელი [illegible]. გადიდებული პროგრამის გამო, დასჭირდება კიდევ [illegible] მუშაობა გაშლა და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს გაუმჯობესებული პროდუქციის [illegible].

შორეული კვლევის ტრესტის მმართველად დანიშნულია ამხ. ნიკიტინი. [illegible] ახალგაზრდა გეოლოგი, რომელმაც ბევრ რამეში უკვე გაუსწრო თავის მასწავლებელს. ამხ. ნიკიტინი საუცხოვოდ იცნობს თავის საქმეს, უყვარს იგი და ნამდვილი ენთუზიაზმით ეკიდება მას.

შორეულ ფართობების გამოკვლევა — ეს აზნავთის მომავალია. ამაზე დამოკიდებულია აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები. დარწმუნებული ვარ, რომ ამხ. ნიკიტინი ბრწყინვალედ შეასრულებს მასზე დაკისრებულ საქმეს.

ამხ. პეტერსონის მოადგილედ დამტკიცებულია ამხ. ალავერდიევი ბურღვის ყოფილი ძველი ოსტატი, რომელიც არა ერთხელ ყოფილა ამერიკაში და მიღებული აქვს პრაქტიკული მუშაობის უდიდესი გამოცდილება, ამ გამოცდილებას იგი გადასცემს ნავთიან ბაქოს მოზარდ ახალგაზრდობას და [illegible] ხელს შეუწყობს აზნავთის მუშაობის წარმატებას. ყველა დანიშნულმა ამხანაგებმა ისე უნდა იმუშაონ და იმუშავებენ კიდეც, რომ გაამართლონ ის ნდობა, რომელიც მათ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოუცხადა. [illegible] ერთად ძ[illegible] მათ ორგანიზაციულად დაოსტატებულმა კოლექტივმა უნდა გვიჩვენოს ბოლშევიკური მუშაობის, 22 მილიონ ტონა ნავთისათვის ბოლშევიკური ბრძოლის ნიმუშები.

ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, სამხარეო კომიტეტის თხოვნის თანახმად, 1933 წ. დამლევს ბაქოს მუშების მომარაგება გათანაბრებულია მოსკოვის და ლენინგრადის მუშების მომარაგებასთან. 5 დეკემბერს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა გამოეყოს დამატებითი სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფონდები ნავთის მრეწველობის მუშების მომარაგებლად 1934 წელს.

1934 წელს ნავთის გადაზიდვის უდიდესი მნიშვნელობის გამო ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს დაუყოვნებლივ შეუდგეს 1934 წლის ნავიგაციისათვის მზადებას იმ ანგარიშით, რომ კასპიის ზღვაზე გადაზიდულ იქნას 11 მილიონი ტონა ნავთის პროდუქტები და უზრუნველყოფილ იქნას 1934 წელს შავიზღვის ნავთსადგურებიდან სულ ცოტა 3 მილიონი ტონა ნავთის გატანა.

ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს, გადასცეს ასტრახანის სარეიდო ფლოტი „კასპარ"-ის განკარგულებაში; დაავალა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს, ააგოს „კასპარ"-ისათვის 3 საზღვაო ტანკერი, თითო 8 ათასამდე ტონის ტევადობით, რომელთაგან პირველი ექსპლოატაციაში უნდა შევიდეს 1934 წლის 1 მაისისათვის, ხოლო მესამე—1 სექტემბრისათვის.

ცენტრალურმა კომიტეტმა დააკმაყოფილა პარტიის სამხარეო კომიტეტის თხოვნა კასპიის სანაოსნო საზოგადოების დირექტორად საბჭოთა კავშირის წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარის მოადგილის ამხ. ზოფის დანიშვნისა და პოლიტგანყოფილების მოწყობის შესახებ კასპიის სანაოსნო საზოგადოებაში.

ცეკამ დაავალა გზათა სახალხო კომისარიატს უზრუნველყოს ნავთის პროდუქტების გაზიდვა ბაქოდან რკინის გზით ბათუმში 1934 წელს 3.100.000 ტონას რაოდენობით და ჩრდილოეთში 500.000 ტონას რაოდენობით. წინადადება მისცა მას ააგოს კიზლიარის რკინის გზის შტო, რომელიც გზის გამტარუნარიანობას გაადიდებს 200.000 ტონით.

ბაქო—ბათუმის ნავთსადენის გაფართოებლად 1934 წელს გადადებულია 10 მილიონი მანეთი, 20 მილიონის საერთო თანხიდან, იმ ანგარიშით, რომ მისი ცალკე ნაწილები ექსპლოატაციაში შევიდეს უკვე 1934 წელს.

ის ყურადღება, მზრუნველობა და ნდობა, რომელსაც იჩენს ჩვენს მიმართ საკ. კ. (ბ) ცეკა, დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ამიერ-კავკასიის მთელს პარტიულ ორგანიზაციას, განსაკუთრებით კი აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკას, ბაქოს კომიტეტს, ბაქოს მთელ ორგანიზაციას აზნავთის, კასპიის სანაოსნო საზოგადოების და რკინის გზის ხელმძღვანელობას.

ამოცანა ის არის: ყოველ მიზეზს გარეშე მოვამზადოთ კვლევა - ძიებით ახალი ფართობები, ავითვისოთ, ჩავბურღოთ 864 ათასი მეტრი, ამოვიღოთ 22 მილიონი ტონა ნავთი, გადავამუშაოთ ქარხნებში 13 მილიონი ტონა, გავიტანოთ ზღვით 11 მილიონი ტონა და რკინის გზით 3.600.000 ტონა, გადავქაჩოთ ნავთსადენით 2.600.000 ტონა.

ამხანაგებო, მთელი ჩვენი მუშაობა, რომელ უბანზედაც არ უნდა მიმდინარეობდეს ის, ამ ამოცანის გადაწყვეტას უნდა დაუქვემდებარდეს.

ეს მტკიცედ უნდა ახსოვდეს არა მარტო იმ ამხანაგებს, რომლებიც უშუალოდ ბაქოს ნავთის მრეწველობაში მუშაობენ.

მრეწველობის იმ დარგების ბოლშევიკებს, რომლებიც ასე თუ ისე აზნავთისათვის მუშაობენ (კასპის ცემენტის ქარხანა, ქუთაისის გუმბრინი, კარაკლისის კარბიდი), მტკიცედ უნდა ახსოვდეთ, რომ მათაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა აზერბეიჯანის ნავთისათვის.

ჩვენ 1934 წელს უკეთ უნდა ვიბრძოლოთ ნავთისათვის, ვინემ გასულ წელს.

პარტიის სამხარეო კომიტეტს და ამიერ-კავკასიის მთელს პარტიულ ორგანიზაციას 1934 წელს დასჭირდება კიდევ უფრო მეტი ყურადღება [illegible] კიდევ უფრო ახლო მიიღოს ნავთის მრეწველობის საკითხებს და ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს ბაქოს პარტიულ ორგანიზაციას გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში.

განსაკუთრებით დიდი მუშაობა დასჭირდებათ აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ.-ს, ბაქოს კომიტეტს, პარტიის რაიკომებს და აზნავთის მთელს ორგანიზაციას.

სარეწაოების დირექტორებმა—ვორკმა, მახნოვმა, გეისმანმა, სოლომონოვმა და სხვ., რომლებმაც თავი ისახელეს 1933 წლის გეგმისათვის ბრძოლაში, 1934 წელს კიდევ უკეთ უნდა იმუშაონ, გვიჩვენონ ბოლშევიკური მუშაობის ჭეშმარიტი ნიმუშები.

ამხ. ვორკს—ახალგაზრდა მზარდ ინჟინერს დიდი გამოცდილებით, რომელიც მეთაურობს აზნავთის უდიდეს სარეწაოს, ამხ. ორჯონიკიძის სახელობის სარეწაოს, დიდი მიღწევები აქვს ნავთის ამოღების ორგანიზაციის საქმეში. ამხ. მახნოვმაც, რომელიც გაიზარდა ბაქოში, მიიღო ბაქოში განათლება და ინჟინრის სახელწოდება, გვიჩვენა სანიმუშო მუშაობის მაგალითი, რაზედაც მე უკვე ვილაპარაკე სამხარეო კომიტეტის ერთ-ერთ პლენუმზე. ინჟინერი გეისმანი, რომელიც მუშაობს ლოკბატანის სარეწაოზე, სწრაფად იზრდება, როგორც მუშაკი და მასთან ერთად იზრდება ნავთის ამოღებაც.

აი კიდევ ამხ. ალექსანდრე კრილოვი, რომელიც ხელმძღვანელობს ლენინის სარეწაოს; ის არ არის ახალგაზრდა მუშაკი, და თუ წინად მას მაინცა და მაინც კარგად ვერ გამოუვიდა ნავთის მრეწველობის ხელმძღვანელობის მხრივ, ახლა ის უკვე ისეთი მუშაობის ნიმუშებს იძლევა, რაც ღირსია იმისა, რომ აღინიშნოს კრილოვზე.

შეიძლებოდა ჩამოგვეთვალა კიდევ ბევრი ამხანაგი, როგორც ხელმძღვანელი შემადგენლობიდან, ისე წარმოების დამკვრელთა მთელი არმიიდან, რომლებიც თავიანთი მუშაობით გვიჩვენებენ, რომ ჩვენ [illegible] კადრები, რომ კადრები გაიზარდნენ და კვლავ იზრდებიან, რომ საჭიროა ახლა მათი სწორად განაწილება, უკეთ გამოყენება, მათთვის უკეთესი ხელმძღვანელობის გაწევა.

საჭიროა ისინი დროზე დავაყენოთ სწორ გზაზე, როცა ისინი ცდებიან, ვინაიდან გამორჩენილის შევსება ძალიან ძნელია, განსაკუთრებით როცა ამოცანები და გეგმები ასე დიდია.

ნავთის მრეწველობის მუშაობის პირველი დღეები 1934 წელს სერიოზულ შეშფოთებას იწვევენ. პარტიის ამიერ-კავკასიის ყრილობისათვის აზნავთმა ჩვენს ქვეყანას უკვე დააკლო 120 ათასი ტონა ნავთი. თუ ზომები დაუყოვნებლივ არ იქნება მიღებული, უფრო გვიან დანაკლისის ანაზღაურება მეტად ძნელი გახდება. მართალია, ლოკბატანში, სადაც შადრევანი სცემს, მოიპოვება 60—70 ათას ტონამდე ამოუქაჩავი ნავთი, რომელიც ამცირებს ნავთის მიუღებელ რაოდენობას, მაგრამ ნავთი მაინც დავაკელით ქვეყანას.

საკ. კ. პ. (ბ) სრულიად საკავშირო ყრილობის გახსნისათვის ბაქოს ნავთის მუშებმა უნდა მიაღწიონ ამოღების საშუალო სადღეღამისო ნორმის შესრულებას და იანვრის პირველი დღეების დავალიანების ლიკვიდაციას.

პარტიის სამხარეო კომიტეტმა აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ-თან ერთად, უკვე შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებმაც უნდა უზრუნველჰყონ შემდეგში გეგმის შესრულება.

შემოგვაქვს ხელმძღვანელი მუშაკების სრული სადღეღამისო მორიგეობა სარეწაოებსა და რაიკომებში. ბოლშევიკურად ჩაღდება მუშაობა თავიდან ბოლომდე, თვითეულ ცალკე ჭაბურღილამდე.

ამოღების იანვრის გეგმა შეადგენს 58 ათას ტონას, იგი ჯერ კიდევ არ არის შესრულებული ამავე დროს ჩვენ ხომ აუცილებლად უნდა გვქონდეს კიდევ რეზერვი ამოღებაში რამე მოულოდნელი შემთხვევისათვის. ნავთის ამოღების მსვლელობას თვალს ადევნებენ ამიერ-კავკასიის ყველა ორგანიზაცია, მთელი საბჭოთა კავშირი. დღეს მიღებულ „პრავდის" მოწინავეში, რომლის შესახებ შემდგომ მექნება ლაპარაკი, განსაკუთრებითაა გამახვილებული ყურადღება აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის მორიგ ამოცანებზე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბაქოს ნავთის მუშები გაითვალისწინებენ ყველა ამ პასუხსაგებ მომენტს და სათანადო დასკვნებს გამოიყვანენ თავის მუშაობაში.

თავის 1933 წლის 5 დეკემბრის დადგენილებაში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი „საკ. კ. პ. (ბ) ამ. სამხარეო კომიტეტის, აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ-ს და ბაქოს კომიტეტის წინაშე და ამიერ-კავკასიის მთელი პარტორგანიზაციის [წინაშე], **ნავთის მრეწველობის სამეურნეო მუშაკების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების წინაშე საბრძოლო ამოცანად აყენებს 1934 წლის გეგმის შესრულებას. ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა, ნავთის მრეწველობის სამეურნეო მუშაკებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა საბჭოების ქვეყანას უნდა მისცენ 22 მილიონი ტონა ნავთი"**

1933 წელს ბაქოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა ღირსეულად შეასრულეს თავისი მოვალეობა ქვეყნის წინაშე.

ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციის [illegible] ყრილობამ მტკიცედ [illegible] მთელი პასუხისმგებლობით [illegible] ქვეყანას, რომ 1934 წლის საბჭოების ქვეყანა მიიღებს 22 მილიონ ტონა ნავთს (ტაში).

ელექტროფიკაციის საკითხები

სახალხო მეურნეობის აღორძინებამ, ნავთის მრეწველობის ტექნიკურმა რეკონსტრუქციამ, ახალი საწარმოების მშენებლობამ უკვე პირველ ხუთწლედში დასვეს ენერგეტიკული ბაზის სწრაფი მშენებლობის ამოცანა.

სადგურების სიმძლავრე 60.000 კილოვატიდან 1920 წელს პირველი ხუთწლედის დასაწყისისთვის გაიზარდა 112.000 კილოვატამდე, 1933 წელს კი—291.000 კილოვატამდე.

ამიერ-კავკასიის ელექტროფიკაცია ხორციელდება ისეთი მასშტაბით და ტემპებით, რომელიც აღემატება საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს. ამიერ-კავკასიის ფედერაციას საბჭოთა კავშირის საერთო კაპიტალურ დაბანდებებში საშუალოდ 4-5 პროც. უჭირავს, ელექტრო-მშენებლობაში დაბანდებულ თანხების მიხედვით კი ამიერ-კავკასიის ხვედრითი წონა 10 პროც. უდრის.

მიუხედავად ამისა, **ელექტროენერგიის დეფიციტი მწვავეთ იგრძნობა მთელ რიგ რაიონებში, განსაკუთრებით** ტფილისში, ერევანში, განჯაში და სხვ.

ეს დეფიციტი, მიუხედავად რიონჰესის პირველი რიგის სამუშაოების და [illegible]ისა და ზაჰესის გაფართოებისა (მეორე რიგის სამუშაოები) არ შემცირდება, რადგან ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხნის ამუშავება, ნავთლუღ-ხაშურის რკინის გზის უბნის და მთელ რიგ სხვა საწარმოების ელექტროფიკაცია მნიშვნელოვნად ადიდებს ელექტროენერგიის მოთხოვნილებას.

პარტიის სამხარეო კომიტეტმა ჯერ კიდევ 1932 წელს მოახერხა ტყვარჩელის თბოცენტრალის მშენებლობის დაწყება; მშენებლობა უნდა დამთავრდეს 1935 წელს. თბოცენტრალის სიმძლავრე იქნება 48.000 კილოვატი. საკავშირო მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება დაიწყოს ორი მსხვილი ჰიდროცენტრალის მშენებლობა — ხრამის ჰიდროცენტრალისა საქართველოში (60.000 კილოვატი) და ტერტერის ჰიდროცენტრალისა აზერბეიჯანში (50.000 კილოვატი) და სასწრაფოდ დამთავრდეს ქანაქირჰესი (48.000 კილოვატი).

კაპიტალური დაბანდება 1934 წლისათვის დამტკიცებულია 104 მილიონი მანეთის რაოდენობით, რაც ზრდას იძლევა 32 წელთან შედარებით 65 პროცენტით.

ელექტროენერგიაზე გაზრდილი მოთხოვნილებების მთლიანად დაკმაყოფილებისათვის საჭიროა ელექტრომშენებლობის შემდგომი გაშლა. 1934 წელს უნდა დამთავრდეს საპროექტო [და] საძიებელი სამუშაოები შემდეგი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ხაზით: რიონის მეორე სადგური (საქართველო), ტერტერის სადგურის სამი საფეხური (აზერბეიჯანი), გიუმუშის ელექტროსადგური (სომხეთი) და სხვა.

სამთამადნო მრეწველობა

(მარგანეცი. ქვანახშირი. გუმბრინი. ბარიტი).

1933 წელს დიდი გარდატეხა დაისახა მრეწველობის ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგების მუშაობაში როგორიცაა ჭიათურის მარგანეცი, ქვანახშირი (ტყიბულის და ტყვარჩელის), ქუთაისის გუმბრინი და ბარიტი.

ყველა ამ დარგს გასული წლის ნახევრამდე დიდი ჩამორჩენა ჰქონდა გეგმის შესრულებაში. ჩამორჩენას ადგილი ჰქონდა თითქმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით. ამავე დროს, **მარგანეცი საჭიროა საბჭოთა კავშირის მზარდი მეტალურგიისათვის. ტყიბულის ქვანახშირით სარგებლობდა მთელი ამიერ-კავკასია, უგუმბრინოდ შეუძლებელი იყო ნავთის წარმატებით გადამუშავება, ხოლო ბარიტი უაღრესად ესაჭიროება საკავშირო ქიმიურ მრეწველობას.**

გასული წლის ნახევარში საქართველოს ცენტრალური კომიტეტი და ამ. ფ. სამხარეო კომიტეტი ენერგიულად შეუდგენ მრეწველობის ამ დარგების წესრიგში მოყვანას. **დეტალურად შეისწავლეს რა მდგომარეობა ადგილობრივ, ამიერ - კავკასიის სამხარეო კომიტეტმა და საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს მთელი რიგი გადამწყვეტი ღონისძიებანი მუშაობაში გარდატეხის მოსახდენად.**

თითქმის ყველგან შეცვლილი იქნა ხელმძღვანელობა, აპარატი გარდაიქმნა და განმტკიცდა. გარდაიქმნა შრომის ხელფასი, გაუმჯობესდა მუშათა და [illegible] ტექნიკური მუშაკთა მდგომარეობა.

გარდა ამისა, მოსკოვში საკითხის დაყენების შედეგად არსებითი დახმარება მივიღეთ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო სახკომსაბჭოს და საკავშირო ორგანიზაციების მხრით. **ამან აღნიშნულ სამრეწველო საწარმოების მუშაობაში გამოიწვია გარდატეხა, რომელიც უზრუნველყოფს 1934 წლისათვის დასახულ გეგმების შესრულებას.**

ტყე

ასეთსავე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი აგრეთვე ამიერ-კავკასიის სატყეო მრეწველობაში აქაც საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დახმარებით საფუძვლიან გარდატეხას მივაღწიეთ [illegible] სამუშაოებში, რამაც უნდა აღმოფხვრას ჩამორჩენა ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ამ უბანზე, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ[illegible] თითქმის რომ მივიწყებული იყო. **მიღებულ ღონისძიებების შედეგად, 1934 წლის გეგმა აუცილებლად შესრულებული იქნება.**

ფერადი ლითონები

ფერადი ლითონების მრეწველობის დარგში ჩვენ, სამწუხაროდ, არ შეგვიძლია დავიკვეხოთ დიდი წარმატებებით.

[illegible] უკანასკნელ წლებში სპილენძის [illegible] კაფანსა და ალავერდში 2.400 ტონიდან (1930 წ.) 3.200 ტონამდე გაიზარდა (1933 წ.), მაგრამ ყოველთვის გეგმები წლიდან წლამდე არ სრულდება.

ეს უმთავრესად აიხსნება წარმოების მეტად დაბალი ტექნიკური დონით. აქ ალბათ, საკმაო როლს თამაშობს, აგრეთვე არა-საკმაო ყურადღება [illegible] პარტიულ ორგანიზაციის მხრით.

სამხარეო სამხარეო კომიტეტმა და სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ენერგიულად მოჰკიდონ ხელი სპილენძის საკითხს.

საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს სპილენძის წარმოება, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სპილენძის მრეწველობის ნარჩენებით შეიძლება განვითარდეს გოგირდმჟავას და ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობისათვის ესოდენ საჭირო—შაბიამანის წარმოება.

სხვა ფერადი ლითონები (ალუმინი, მოლიბდენი, კალა, ოქრო, თუთია და ტყვია) იმყოფებიან ძიებისა და მათი სამადნო შენაერთების გადამუშავების პირველადი ცდების სტადიაში **ამათგან ალუმინისა და მოლიბდენისათვის 1934 წელს გადადებულია მნიშვნელოვანი თანხა, რომელიც განსაზღვრავს სამუშაოთა გაშლას მიმდინარე წელს.**

ამ ლითონების უდიდესი მნიშვნელობა საბჭოთა კავშირისათვის ჩვენ გვავალებს ამ თავითვე შეუსუსტებელი კონტროლის ქვეშ დავაყენოთ ისინი.

ქიმიური მრეწველობა

მთელი სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების ზრდამ სხვადასხვა ქიმიკატებზე (სოდა, გოგირდმჟავა, გოგირდი, აზოტის სიმჟავე) მოითხოვა ქიმიური მრეწველობის ფართოდ გაშლა მთელ საბჭოთა კავშირში მათ შორის ამიერ-კავკასიაშიაც.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ამუშავდა და შენდება: ქუთაისის ლიტოპონი, კარაკლისის ქიმკომბინატი, „აზოტი", [illegible] გოგირდის ალბადანი, გოგირდმჟავას ქარხანა ბაქოში, ალავერდის შაბიამანის ქარხანა და სხვა.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამიერ-კავკასიაში სინთეტიური კაუჩუკის ქარხნის მშენებლობას ერევანში კარბიტის ბაზაზე, 10 ათასი ტონა სიმძლავრით.

ამ ქარხნის აგება, კარაკლისის ქიმკომბინატთან ერთად, აქცევს სომხეთს ქიმიური მრეწველობის რაიონად.

ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის მოთხოვნილება მინერალურ სასუქებზე მიაღწევს 1937 წლისათვის 400 ათას ტონაზე მეტს.

ამის გამო, ქიმიური მრეწველობის დარგში ჩვენს ამოცანას წარმოადგენს უახლოეს წლებში დიდი აზოტ-ტუკის კომბინატის აგება ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. ეს შეიძლება გაკეთდეს ტყიბულის ქვანახშირის გაზიფიკაციის ბაზაზე, რომლის ცდები ამ მიმართულებით უკვე წარმოებს.

მსუბუქი მრეწველობა

ამიერ-კავკასიის მსუბუქი მრეწველობის გეგმა 1933 წელს 84 პროცენტით შესრულდა თუმცა საერთო პროდუქცია მეტია, ვიდრე 1932 წელს.

განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია საქმე გამოშვებული პროდუქციის ხარისხის მხრივ. პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებათა მიუხედავად, მსუბუქი მრეწველობის ხაზით ჯერ არ სჩანს სათანადო გარდატეხა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

1934 წლის გეგმა ითვალისწინებს კაპიტალურ დაბანდებათა საგრძნობ გადიდებას — 40.000.000 მანეთამდე, ნაცვლად 1933 წელს დაბანდებული 19.000.000 მანეთისა.

ამიერ-კავკასიის მსუბუქ მრეწველობას მოეპოვება ყველა პირობა შემდგომი საგრძნობი ზრდისათვის.

უნდა გავაძლიეროთ ამიერ-კავკასიის მთელი პარტიული ორგანიზაციის ყურადღება ამ დარგისადმი და მივაღწიოთ საწარმოთა სიმძლავრის მთლიანად ათვისებას და მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ისეთ გადიდებას და, განსაკუთრებით ხარისხის გაუმჯობესებას, რომლებიც შეეფერებიან პარტიის მიერ დასახულ ამოცანას — გავაორკეცოთ და გავასამკეცოთ ფართო მოხმარების საქონლის წარმოება და დავაკმაყოფილოთ მშრომელთა მასების გადიდებული მოთხოვნები.

კვების მრეწველობა

კვების მრეწველობის ხაზით უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში აგებულია მთელი რიგი ახალი საწარმოები. საგრძნობლად გაიშალა კვების ინდუსტრიის ნედლეულის ბაზა, ათვისებულია ახალი სახის წარმოებანი.

კვების მრეწველობაში 1934 წლისათვის დასაბანდებელი კაპიტალის მთელი თანხა დამტკიცებულია 10,6 მილიონი მანეთის ოდენობით. საწარმოო პროგრამა ითვალისწინებს პროდუქციის ზრდას 34 წელს 7,8 პროცენტით, სულ 200 მილიონ მან.).

მიუხედავად დიდი მიღწევებისა კვების მრეწველობის მუშაობაში, მთელმა რიგმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს თავისი პროგრამა, როგორც ოდენობის, ისე ხარისხის მიხედვით.

საჭიროა მივაღწიოთ პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, საწარმოთა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას, გეგმის მთლიანად შესრულებას, ახალი სახის ნედლეულის გამოყენებას, არსებული ნედლეულის სავსებით გამოყენებას, **ჩვენი კვების და მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ხარისხის მხრივაც აქვს ყველა საფუძველი ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიჭიროს საბჭოთა კავშირში. ჩვენ გვაქვს კარგი ქარხნები და საუცხოვო ნედლეული. ამას გადაჭრით უნდა მივაღწიოთ.**

საშენ მასალათა მრეწველობა, ადგილობრივი მრეწველობა და შინამრეწველობა

მე განსაკუთრებით მინდა შევჩერდე საშენ მასალათა მრეწველობაზე, ადგილობრივ მრეწველობაზე და შინამრეწველობაზე. მათ შესახებ ლაპარაკი იყო რესპუბლიკურ ყრილობებზე, მაგრამ მრეწველობის ამ დარგების დიდი მნიშვნელობა ამიერ-კავკასიის პირობებში მაიძულებს ერთხელ კიდევ მოგაგონოთ მათ შესახებ.

საშენ მასალათა მრეწველობის მუშაობა დღემდე აშკარად არადამაკმაყოფილებელია.

ამ მრეწველობის არც ერთ საწარმოს არ შეუსრულებია 1933 წლის გეგმა არც რიცხობრივი და არც ხარისხობრივი მაჩვენებლების ხაზით.

ეს მოწმობს, რომ პარტიული ორგანიზაციები სუსტ ყურადღებას აქცევენ ჩვენი მუშაობის ამ უმნიშვნელოვანეს უბანს, მაშინ როდესაც ზოგადი სამშენებლო პროგრამის შესრულება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად წარმატებით იმუშავებს საშენ მასალათა მრეწველობა.

რადაც არ უნდა დაგვიჯდეს 1934 წელში უნდა გავაუმჯობესოთ საშენ მასალათა მრეწველობის მუშაობა, დავიწყოთ საშენ მასალათა (ქვა, ხე-ტყე, პემზა, ტუფი, მარმარილო, გაჯი, კირი ცარცი თაბაშირი, თიხა ქვიშა, ხრეში და სხვ.) უმდიდრესი რესურსების ექსპლოატაცია და დავნერგოთ მშენებლობაში ახალი საშენი მასალები.

8 მილიონი მანეთი, გადადებული მიმდინარე წლის კაპიტალურ სამუშაოებისათვის, მთლიანად უნდა იქნეს ათვისებული.

ადგილობრივ შინამრეწველობას ამიერ - კავკასიის ს. ფ. ს. რ-ის სახალხო მეურნეობაში საგრძნობი ადგილი უჭირავს. გეგმები რიცხობრივად 100 და მეტი პროცენტით არის შესრულებული. საერთო პროდუქციამ 1933 წელს მიაღწია 380 მილ. მანეთს, ხოლო 1934 წლისათვის გათვალისწინებულია 475 მილ. მანეთის რაოდენობით. **მიუხედავად ამისა, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ არც რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები, არც აღმასკომები, რაიონებში, არც პარტიული ორგანიზაციები მრეწველობის ამ დარგებისადმი არავითარ ყურადღებას არ იჩენენ;** ჩვენი შესაძლებლობანი ადგილობრივ მრეწველობის და შინამრეწველობის გაშლის საქმეში საკმაოდ როდი არის გამოყენებული: **ჩვენ გვაქვს მრავალი სხვადასხვა სახის არადეფიციტიური ნედლეული, და ნარჩენები მრეწველობიდან, რომელთა საფუძველზე შესაძლოა განვითარდეს ადგილობრივი მრეწველობის და შინამრეწველობის მთელი რიგი ახალი დარგები.**

მაღალი ფასები შინამრეწველობის ნაწარმოებზე შემცირებული უნდა იქნეს, უნდა გაუმჯობესდეს მისი ხარისხი და ასორტიმენტი; დეფიციტური ნედლეულის გამოყენება მაქსიმალურად შემცირებული უნდა იქნეს; ამაშია —საკითხის მთავარი შინაარსი.

სულ 1934 წლისათვის ადგილობრივ მრეწველობაში კაპიტალური დაბანდება ნავარაუდევია 35 მილიონ მანეთამდე.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეს კაპიტალური დაბანდებანი რაციონალურად იქნეს გამოყენებული და გადიდებული იქნეს მათი ეფექტიანობა ინიციატივის, თვითმოქმედების და ადგილობრივ სახსრებისა და საშუალებების გამოყენების საფუძველზე.

პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ აგრეთვე შინამრეწველთა ეკონომიურ და მატერიალურ მდგომარეობის საკითხებს და მათ შორის პოლიტიკური მუშაობის დაყენებას.

**

გაუკეთეთ ერთგვარი ჯამი ჩვენს მუშაობას მრეწველობის დარგში

მრეწველობის იმ დარგებთან, ქარხნებთან და ფაბრიკებთან ერთად, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს გეგმები (ნავთი, მანქანათმშენებლობა და სხვ.), მრეწველობის მთელმა რიგმა დარგებმა ვერ შეასრულეს 1933 წლის გეგმა: საშენ მასალების მრეწველობა (60 პროც.), სპილენძის მრეწველობა (60,1 პრ.), ბამბეულის მრეწველობა (83 პროც.) და სხვ.

ყველაზე დიდ ნაკლს 1933 წლის გეგმის შესრულებაში **წარმოადგენს მრეწველობის ცალკე დარგების მიერ ხარისხობრივ მაჩვენებლების შეუსრულებლობა.**

არ არის შესრულებული დავალება შრომის ნაყოფიერების გადიდების დარგში. მაგ., მსუბუქ მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების 17 პროც. გადიდების ნაცვლად, შრომის ნაყოფიერება გადიდებულია 7,6 პროც.

კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაშია თვითღირებულების საქმე. თვითღირებულება მძიმე მრეწველობაში 3,5 პროცენტით შემცირების ნაცვლად გაიზარდა 14,8 პროცენტით, მსუბუქ მრეწველობაში თვითღირებულება 1932 წელთან შედარებით გაიზარდა, 3,0 პროცენტით, ხოლო, კვების მრეწველობაში 4,3 პრ.

ყოველივე ეს ხდება სამი ძირითადი მიზეზით: პირველი, — იმიტომ, რომ სუსტად არის გაშლილი ბრძოლა ახალი ტექნიკის ათვისებისათვის, მეორე — იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ცუდათ არის დაყენებული შრომისა და ხელფასის მოწესრიგების საქმე ჩვენს საწარმოებში და მესამე — იმიტომ, რომ არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული წარმოებაზე ორგანიზაციულ სამეურნეო და ტექნიკური ხელმძღვანელობა.

„პირველი ხუთწლედის პერიოდში, — ლაპარაკობდა ამხ. სტალინი — ჩვენ შევძელით მოგვეწყო ახალი მშენებლობის ენთუზიაზმი და მივაღწიეთ გადამწყვეტ წარმატებებს, ეს ძალიან კარგია. ახლა ჩვენ ეს საქმე უნდა შევავსოთ ახალი ქარხნებისა და ახალი ტექნიკის ათვისების, თვითღირებულების საგრძნობლად შემცირების ენთუზიაზ-

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის მიერ პურის შესყიდვის შესახებ

სსრკ-ს სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

მთელ რიგ სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებების სამომხმარებლო კოოპერაციის რაიკავშირების და ცენტროსოიუზის შუამდგომლობით მომართვის გამო, რომ მათ ნება დაერთოთ აწარმოონ პურის შესყიდვა იმ ოლქებსა, მხარეებსა და რესპუბლიკებში, სადაც ნებადართულია საკოლმეურნეო და ერთპიროვნულ გლეხთა მიერ ვაჭრობა პურით,—სსრკ-ს სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1 ნებადაერთოს ცენტროსოიუზს აწარმოოს პურის შესყიდვა სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის მეშვეობით არა უმეტეს ასი მილიონი ფუთისა მთელ საბჭოთა კავშირში, მათ შორის:

ჩრდილოეთ მხარეში—არა უმეტეს 0,5 მილიონი ფუთისა;
ლენინგრადის ოლქში—არა უმეტეს 1,2 მილიონი ფუთისა;
დასავლეთ ოლქში—არა უმეტეს 1,8 მილიონი ფუთისა;
მოსკოვის ოლქში—არა უმეტეს 2 მილიონი ფუთისა;
ივანოვოს ოლქში—არა უმეტეს 1,5 მილიონი ფუთისა;
გორკის მხარეში—არა უმეტეს 4,5 მილიონი ფუთისა;
ყოფილ ურალის ოლქში—არა უმეტეს 6 მილიონი ფუთისა;
ბაშკირეთში—არა უმეტეს 4 მილიონი ფუთისა;
თათართა რესპუბლიკაში—არა უმეტეს 7 მილიონი ფუთისა;
შუა ვოლგის მხარეში—არა უმეტეს 7 მილიონი ფუთისა;
ყოფილ ქვემო ვოლგის მხარეში—არა უმეტეს 3,5 მილიონი ფუთისა;
ცენტრალურ შავმიწიან ოლქში—არა უმეტეს 6 მილ. ფუთისა;
ყოფილ ჩრდილოეთ კავკასიის მხარეში—არა უმეტეს 6 მილ. ფ.;
ყირიმში—არა უმეტეს 1,6 მილიონი ფუთისა,
კაზაკსტანში—არა უმეტეს 2,5 მილიონი ფუთისა,
დასავლეთ ციმბირის მხარეში—არა უმეტეს 9 მილიონი ფუთისა;
აღმოსავლეთ ციმბირის მხარეში—არა უმეტეს 1,5 მილ. ფუთისა;
უკრაინაში—არა უმეტეს 30 მილიონი ფუთისა;
ბელორუსიაში—არა უმეტეს 2 მილიონ ფუთისა;
ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში— არა უმეტეს 0,5 მილ ფუთისა;
შუა-აზიის რესპუბლიკებს და ყირგიზეთში—არა უმეტეს 1.5 მ. ფ.;
შორეულ აღმოსავლეთის მხარეში—არა უმეტეს 0,5 მილ. ფუთისა.

ს. ს. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—მოლოტოვი (სკრიაბინი).

2 დაწესდეს, რომ პურის შესყიდვა სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის მიერ უნდა წარმოებდეს შემდეგ ფასებში: ხორბალი—25 პროცენტით და სხვა მარცვლეული კულტურები—20 პროცენტით მეტი იმ ფასებზე, რაც დაწესებულია სახელმწიფოსათვის სავალდებულო წესით ჩასაბარებელ მარცვლეულზე, ამასთან იმ კოლმეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და მშრომელი ერთპიროვნული მეურნეებისათვის, რომელთაც პური კოოპერაციას მიჰყიდეს, აუცილებლად უზრუნველყოფილი უნდა იქნას შესაძლებლობა იყიდონ მათთვის საჭირო სამრეწველო საქონელი მათ მიერ გაყიდული პურის ღირებულებაზე სამჯერ მეტი თანხის.

3 დაწესდეს, რომ თავის პურის მიყიდვა ქალაქის და სოფლის ბაზრებზე და რკინისგზების სადგურებზე სხვა მყიდველებისათვის, კოოპერაციის გარდა, კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეებს შეუძლიათ ბაზარზე შექმნილი ფასების მიხედვით.

4 მიეთითოს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებს, რომ პურის შესყიდვა შეიძლება წარმოებდეს მხოლოდ კოლმეურნეობის, კოლმეურნის და მშრომელი ერთპიროვნული მეურნის ნებაყოფლობითი თანხმობის საფუძველზე და უნდა მოეწყოს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას გამყიდველის დაინტერესება მის განკარგულებაში არსებულ ზედმეტი პურის კოოპერაციისათვის მიყიდვაში და არ იქნას დაშვებული რაიმე ადმინისტრატიული იძულება.

5 კატეგორიულად ეკრძალებათ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს დააწესონ კოლმეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და მშრომელი ერთპიროვნული მეურნეებისათვის პურის გაყიდვის ხაზით რაიმე სავალდებულო დავალება, გაწერა ან გეგმები.

6 გაფრთხილება მიეცეს ყველა საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციას და სამომხმარებლო კოოპერაციის ყველა მუშაკს, რომ პურის გაყიდვის საქმეში რაიმე მტკიცე დავალების და გეგმების დაწესება. კოლმეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და მშრომელი ერთპიროვნულ მეურნეებისათვის განხილული იქნება, როგორც შემხვედრი გეგმების მიცემა, და ამაში დამნაშავე პირნი, ს. ს. რ. კ.-ს სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1933 წლის 20 ივნისის დადგენილებასთან შეფარდებით, მიცემული იქნებიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი—ი. სტალინი.
1934 წ. 19 იანვარი.

ამხ. ლ. ბერიას მოხსენება

შით, ჩათოსით, ამაშია ეხლა მთავარი, ვინაიდან მხოლოდ ამ საფუძველზე ჩვენ შევძლებთ მივაღწიოთ, ვთქვათ, მეორე ხუთწლედის მეორე ნახევარში ახალ მძლავრ გაქანებას როგორც მრეწველობის, ისე სამრეწველო პროდუქციის გადიდების დარგში“. (სტალინი).

სტალინის ეს მითითებები უნდა იქცეს ამიერ-კავკასიის ყველა ბოლშევიკის ბრძოლის პროგრამად. ბრძოლისა ჩვენი მრეწველობის მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ დეფექტების ლიკვიდაციისათვის, 1934 წლის გეგმის ყოველ მიზეზს გარეშე შესრულებისათვის.

ამხ. სტალინის ამ მითითებათა საფუძველზე საჭიროა:

1. კიდევ უკეთ მოეწყოს ოპერატიულობა და კონკრეტულობა ყოველდღიურ სამეურნეო ხელმძღვანელობაში, რომელიც ვერ ითმენს ბიუროკრატიულ დამახინჯებებს სამეურნეო აპარატში.

2. ყველა საუკეთესო საინჟინერო-ტექნიკური ძალები თავმოყრილ იქნას გადამწყვეტ საწარმოო უბნებზე და არა საკანცელარიო დაწესებულებებში.

3. სწორად ორგანიზებულ იქნას მუშათა ხელფასი და უზრუნველყოფილ იქნას შრომის ნაყოფიერების ზრდის მატერიალური წახალისება.

4. გაშლილ იქნას სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა ახალი ტექნიკის და ახალ წარმატებათა ათვისებისათვის.

5. დამყარდეს მტკიცე საწარმოო დისციპლინა სამრეწველო საწარმოებში და მშენებლობაზე; შემჭიდროებულ იქნას სამუშაო დრო.

6. გაძლიერებულ იქნას რევოლუციური სიფხიზლე პროლეტარიატის დიქტატურის მტრების წინააღმდეგ და მიღწეულ იქნას ნამდვილი პასუხისმგებლობა დაკისრებულ საქმისათვის მუშათა კლასისა და მისი პარტიის წინაშე.

1934 წელს ჩვენ უნდა განვახორციელოთ შემდეგი:

1. მივცეთ ჩვენს ქვეყანას 22 მილიონი ტონა ნავთი.

2. მივცეთ ჩვენს ქვეყანას 850 ათასი ტონა მარგანეცი.

3. ავითვისოთ 500 მილიონ მანეთზე მეტი კაპიტალური დაბანდება ამიერ-კავკასიის მრეწველობასა და ენერგეტიკაში.

4. გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 15 პროცენტით და შევამციროთ თვითღირებულება 4—5 პროცენტით.

5. 1934 წელს გამოვიმუშაოთ მრეწველობის 1.800 მილ. მანეთის პროდუქცია ანუ 24 პროცენტით მეტი, ვიდრე 1933 წელს.

სამუშაოთა ამ პროგრამას 1934 წელს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები უეჭველად შეასრულებენ.

ამიერ კავკასიის სფსრ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია

ინდუსტრიალიზაციის დარგში მიღწეულ წარმატებათა საფუძველზე, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების და ამხ. სტალინის უშუალო მითითებათა რეალიზაციით და ძველი ხელმძღვანელობის მიერ გლეხთა საკითხში დაშვებულ შეცდომათა გამოსწორებით — **ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციებმა ამ უკანასკნელი 2 წლის გამავლობაში, გადამწყვეტ წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობაშიაც.**

ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციები ბოლშევიკური თავგამოდებით იბრძოდენ: კოლმეურნეობათა საორგანიზაციო-სამეურნეო და პოლიტიკური გამტკიცებისათვის, კოლმეურნეობების ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად, ხოლო კოლმეურნეთა შეძლებულებად გადაქცევისათვის, იმ ბუმბერაზულ შესაძლებლობათა გამოყენებისათვის, რომლებიც ჩაქსოვილია ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის პირობებში.

სოფლად სამეურნეო-პოლიტიკური მუშაობის შედეგები ადასტურებენ იმ პოლიტიკის სისწორეს, რომელსაც ჩვენ ვატარებდით გლეხთა საკითხში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების და ამხ. სტალინის მითითებათა შემდეგ.

სოფლის მეურნეობის ნათესმა ფართობმა ამ წლებში მიაღწია 2 მილ. 386 ათას ჰექტარს, აქედან სოციალისტურ სექტორში 1.115.400 ჰექტარს. ბამბას უჭირავს 235.070 ჰექტ., ჩაის — 33.325 ჰექტ., თამბაქოს — 24.470 ჰექტ.

თვალსაჩინოდ იმატა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მინდვრების მოსავლიანობამ. მარცვლეულ კულტურების მოსავლიანობა, გადიდდა 9,0 ცენტნერამდე ჰექტარზე, ნაცვლად 1931 წლის 7,6 ცენტნერისა, ბამბის — 6,7 ცენტნერამდე ნაცვლად 1930 წლის 3,7 ცენტნერისა; ჩაის — 803 კილოგრამამდე, ნაცვლად 1932 წლის 701 კილოგრამისა; თამბაქოსი — 6,8 ცენტნერამდე, ნაცვლად 1932 წლის 5,4 ცენტნერისა.

სოფლის მეურნეობაში და წყალთა მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა პირველ ხუთწლედში შეადგენდა 447 მილიონ მანეთს, ხოლო მარტო 1933 წელს — 138.300 ათას მანეთს.

სარწყავი ფართობი ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში გადიდდა 230 ათასი ჰექტარით და ამჟამად შეადგენს 1.484.274 ჰექტარს.

1930-33 წლებში თვალსაჩინოდ გაიზარდა ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რაოდენობა 1930 წელს არსებულ 6-დან ავიდა 67-მდე 1933 წელში.

1933 წელს ის ფართობი, რომელსაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურები ამუშავებენ, გაიზარდა 633 ათას ჰექტარამდე, რაც უმთავრესად ტექნიკურ კულტურებს უკავია, და, შეადგენს ამიერ-კავკასიის მთელი ნათესი ფართობის 27 პროცენტს.

ტრაქტორების საერთო რაოდენობა სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში, 1930 წ. არსებულ 1436-ის ნაცვლად, გადიდდა 4093-მდე. ტრაქტორების საერთო სიმძლავრე უდრის 59.400 ცხენის ძალას.

ამავე წლების მანძილზე სოფელში შეტანილ იქნა 48 მილიონი მანეთის რთული და მარტივი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. მათ შორის: ავტომანქანა — 463, კომბაინი — 64, ტურმან-ვაკუუმი — 381, სატრაქტორო კულტივატორი — 301, რთული სალეწი მანქანა — 796 და სხვ.

1930 წლამდე ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობაში მოიპოებოდა 8.200 ათასი მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მანქანები, უმთავრესად ცხენის წევით სამუშაო. ოთხი წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობაში მომუშავე ყველა სასოფლო სამეურნეო მანქანის და იარაღის ღირებულება გაიზარდა უფრო მეტად, ვიდრე ხუთჯერ.

კოლექტივიზაცია

საგრძნობი წარმატებებია მიღწეული კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების საქმეში.

კოლმეურნეობათა რიცხვი 1931 წელს არსებულ 7.120-დან გადიდდა 8.101-მდე. მეურნეობათა რიცხვი მათში — 1931 წლის 336.373-დან 440.818-მდე. კოლექტივიზირებულია: ამიერ-კავკასიის გლეხურ მეურნეობათა 41,2 პროც. და ყველა ნათესი ფართობის 42,8 პროც.

უზრუნველყოფილია კოლმეურნეობათა წამყვანი როლი ტექნიკური კულტურების — ბამბის, ჩაის, თამბაქოს და სხვათა წარმოებაში. ბამბის რაიონებში კოლექტივიზაციის პროცენტმა 1933 წელს მიაღწია 64-ს, ჩაის რაიონებში — 68,0 პროც.

წარმატებანი საკოლმეურნეო მშენებლობაში მიღწეულია გაფთრებული კლასობრივი ბრძოლით, სოფლის მეურნეობაში კულაკური საბოტაჟის და მავნებლობის განადგურების შედეგად. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა შემწეობით, ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს კოლმეურნეობებიდან კულაკური და სხვა ანტი-საბჭოთა ელემენტების გასაძევებლად, რომელნიც კოლმეურნეობებში შეპარული იყვნენ მავნებლური დამანგრეველი მუშაობის საწარმოებლად. მარტო აზერბაიჯანის 16 რაიონში კოლმეურნეობებიდან გამორიცხულ იქნა 1200 მეურნეობა, საქართველოში მარტო 1933 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში გამორიცხულ იქნა 3.500 მეურნეობა, აგრეთვე კოლმეურნეობიდან ბევრია გამორიცხული სომხეთშიაც. ეს მუშაობა ახლაც გრძელდება.

უცხო, ანტი-საბჭოთა, მენშევიკური, დაშნაკური და მუსავატისტური ელემენტებისაგან საკოლმეურნეო კადრების გაწმენდასთან ერთად ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციამ დიდი მუშაობა ჩაატარა მაგარი ბოლშევიკური კადრებით სოფლის განმტკიცებისათვის. 1932-33 წლებში მუდმივ სამუშაოზე სოფელში გადაყვანილ იქნა 12 ათასამდე კაცი მათ შორის საქართველოში — 6 ათასამდე, აზერბაიჯანში — 4500-მდე და სომხეთში — 1500-მდე კაცი.

გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ამით ჩვენმა სოფელმა პირველად მიიღო ქალაქისაგან საგრძნობი დახმარება. 12 ათასმა კაცმა თავისი უდიდესი უმრავლესობით სოფელში თან მიიტანა ცოდნა, მუშაობის ახალი ჩვევები.

კოლმეურნეობები განმტკიცდენ, ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური მხრივ და კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი თვალსაჩინოდ გაიზარდა.

მე აქ არ მოვიყვან კოლმეურნეთა და კოლმეურნეობათა კეთილდღეობის ზრდის მაჩვენებელ მაგალითებს, რადგან ეს მაგალითები საკმაო რაოდენობით მოიყვანეს ყველა რესპუბლიკურ ყრილობებზე.

საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ მოყვანილი მაგალითები გამონაკლისს როდი შეადგენენ, რომ ასეთი მაგალითების მოყვანა ათასობით შეიძლება და, რომ თვალსაჩინოდ გაიზარდა ყველა კოლმეურნეობის საშუალო შემოსავლიანობა. ალბად ამხანაგები გამოვლენ კამათში და გვიამბობენ თავისი მიღწევების შესახებ.

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ამიერ-კავკასიის კოლმეურნეები უკვე 1933 წელს მტკიცედ შედგენ შეძლებული ცხოვრების გზაზე. კოლმეურნეები ახლა უკეთესად და უფრო კულტურულად ცხოვრობენ. კოლმეურნეობები ხდებიან ბოლშევიკურ მეურნეობებად.

შემოსავლის განაწილება ისეთი უბანია, სადაც კლასობრივი მტერი ყველაზე უფრო ძლიერად მოქმედობს და ცდილობს არევ-დარევა შეიტანოს საკოლმეურნეო აღრიცხვაში, შრომადღეების აღრიცხვაში მოაწყოს საკოლმეურნეო ქონების დატაცება. განიავება, გაბეროს ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯები და შეამციროს საკოლმეურნეო შრომის ნაყოფიერება და კოლმეურნეობის შემოსავლიანობა.

კლასობრივი მტრის ხრიკებს გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ, უნდა გამოვაშკარავოთ ყველა მისი მახინაციები და მავნებლობა და მუშაობის პროცესშივე გამოვასწოროთ ყველა დეფექტები შემოსავლის განაწილების საქმეში.

ერთპიროვნული სექტორი

მიუხედავათ კოლმეურნეობების ზრდისა, ერთპიროვნულ სექტორს ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. **არასაკმაო ყურადღება ერთპიროვნულ მეურნის ხვალინდელი კოლმეურნის მიმართ არის პარტიის დირექტივების და ამხ. სტალინის მითითებების პირდაპირი დარღვევა.**

ერთპიროვნულმა სექტორმა 1933 წელს, პარტიის მიერ სოფლად სწორი პოლიტიკის გატარების შედეგად, გაზაფხულის და შემოდგომის თესვის გეგმები და ვალდებულებები სახელმწიფოს წინაშე შეასრულა.

მაგრამ ამიერ-კავკასიის მთელ რიგ რაიონებში (კარიაგინის, ლორის, დელიჟანის რაიონები) ერთპიროვნულ მეურნეებთან მუშაობის საკითხს რაიონული პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ აქცევენ შესაფერის ყურადღებას.

[illegible] უჯრედები და სოფლის საბჭოები არადიფერენცირებულად ეპყრობიან ერთპიროვნულ მეურნეს, ზოგჯერ ვერ არჩევენ პატიოსან ერთპიროვნულ მშრომელს სპეკულიანტისაგან.

საჭიროა ამის წინააღმდეგ ბრძოლა, ჩვენ ყოველმხრივ უნდა შევუმსუბუქოთ ერთპიროვნულ მშრომელს გზა კოლმეურნეობისაკენ.

ამხანაგებო, აქ მე ხელთ მაქვს ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების მე-6 ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში.

სამი წელიწადნახევრის წინად პარტიის სამხარეო კომიტეტმა საანგარიშო მოხსენებაში თავისი ოფიციალური მომხსენებლის ამხ. შალვა ელიავას პირით ასე დაახასიათა ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის მდგომარეობა. მომყავს სიტყვასიტყვით:

„ახლა მე გადავდივარ სოფლის მეურნეობის საკითხებზე... აქ ჩვენ კეთილსინდისიერად და ნიჭიერად ჩამოვრჩებით. აქ ჩვენ მიზნად არ ვისახავთ დავეწიოთ ვინმეს და გავუსწროთ“. (მე-6 ყრილობის ანგარიში, გვ. 230).

ამხანაგებო, იმ პერიოდის სოფლის მეურნეობის ასეთი მომაკვდინებელი შეფასების ფონზე განა გიგანტურად არ ჰასხანან ჩვენი მიღწევები? განა რითიმე ჰგავს ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის ახლანდელი მდგომარეობა იმას, რაც იყო სულ სამი წლის წინად.

რესპუბლიკურ ყრილობებზე სოფლის მეურნეობის საკითხები დაწვრილებით იყო განხილული. აზრი არ აქვს ახლა მე გავიმეორო იქ ნათქვამი, რომელიც თქვენ ყველამ კარგად იცით.

მე მხოლოდ მოგაგონებთ რამდენიმე ციფრს, რომლებიც ასურათებენ სოფლის მეურნეობის ცალკე ძირითად დარგების მდგომარეობას.

მებამბეობა

ავიღოთ მაგალითად, მებამბეობა. **1931 წლის გადაწყვეტილებაში საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა ჩვენს წინაშე დასვა ამოცანა გადავაქციოთ ამიერ-კავკასია საბჭოთა კავშირის მებამბეობის მეორე ბაზად.**

ჩვენ ეს ამოცანა გადავწყვიტეთ ორ წელიწადზე ნაკლები დროის განმავლობაში. ამიერ-კავკასია, კერძოდ აზერბაიჯანი არა მარტო გადაიქცა საბჭოთა კავშირის ბამბის მეორე ბაზად, არამედ შედგა ეგვიპტის ბამბის მნიშვნელოვან ბაზად გადაქცევის გზაზე.

ეგვიპტის ბამბას ამჟამად უჭირავს 25.000 ჰექტარი, წინააღმდეგ 40 ჰექტარისა 1930 წელს.

235.000 ჰექტარის საერთო ფართობიდან უკვე შეგროვილია 147.477 ტონა ბამბა, გეგმის 100,1 პროცენტი. მოსავლიანობა გაიზარდა 6,7 ცენტნერამდე ნაცვლად 3,7 ცენტნერისა 1930 წელს.

როგორი მდგომარეობა გვქონდა მე-6 ყრილობის პერიოდში?

იმავე ანგარიშში, 232 გვერდზე, ნათქვამია:

„უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჩვენ დაბლა ვეშვებით. 78.000 ტონიდან ჩვენ დავედით 56.000 ტონამდე გასულ წელს. გასულ წელს ჩვენ უნდა შეგვეგროვებია 82.000 ტონა ბამბა, მაგრამ ვერ შევაგროვეთ ის იმიტომ, რომ გაურკვეველი მიზეზებით ბამბა ბევრ ადგილებში დარჩა მინდვრად“.

აი როგორი მდგომარეობა იყო ბამბის დარგში 3 წლის წინედ.

განა უდიდესი არ არის ჩვენი მიღწევები მებამბეობაში? ნუ თუ ჩვენში შესაძლებელია ამჟამად, რომ ვინმემ ყრილობის ტრიბუნიდან განაცხადოს რომ „გაურკვეველი მიზეზებით ბამბა სადმე შეუგროვებელია?“ ანეკდოტი გამოვა (სიცილი). ბამბა არ იქნა შეგროვილი იმიტომ, მასზე მაშინ ნაკლებად მუშაობდენ, თუმცა მის შესახებ კი ბევრს ლაპარაკობდენ.

ჩვენი მიღწევები უდიდესია, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დავმშვიდდეთ ამით და უყურადღებოდ დავტოვოთ ჩვენს წინაშე მდგომი სიძნელეები შემდგომი განვითარების გზაზე.

საჭიროა დაუყოვნებლივ შევუდგეთ მზადებას ბამბის მომავალი კამპანიისათვის. უნდა უზრუნველვყოთ თავის დროზე თესვა, თესლის მაღალ ხარისხიანობა, საუკეთესო უბნების გამოყოფა, ზუსტად დავიცვათ ყველა აგროტექნიკური წესები თესვის, დამუშავების, გათოხნის, კრეფის პერიოდში. გადაჭრით უნდა გავაუმჯობესოთ შემსყიდველი პუნქტების ორგანიზაცია, გავითვალისწინოთ ბარდანების საჭირო რაოდენობა და სხვ. ბამბის ქარხნებმა უნდა იმუშაონ ზუსტად, როგორც კარგი საათი.

ყრილობის წევრებისათვის ყველა ეს გარკვეული, ელემენტარული რამაა, მაგრამ ამ გარკვეულ რამეების შესახებაც ზოგჯერ ცუდი არაა მოვილაპარაკოთ, ვინაიდან მათგან შესდგება აუცილებელ ღონისძიებათა მთლიანი ჯამი ბამბის დარგში.

1933 წელს ზემოაღნიშნული მომენტების მხრივ ჩვენ გვქონდა ნაკლოვანებანი, და სწორედ ამის გამო ჩვენ არ შეგვიძლია შევურიგდეთ მათ 1934 წელს, როდესაც გეგმიანი მოსავლიანობა აზერბაიჯანში გათვალისწინებულია 7,5 ცენტნერის ოდენობით ჰექტარიდან.

გასულ წელს, როცა ჩვენ ტფილისიდან, ბაქოდან და ერევნიდან ვგზავნიდით ხელმძღვანელ ამხანაგებს მებამბეობის რაიონებისათვის დასახმარებლად, ზოგჯერ პირდაპირ ვაშიშვლებდით ამ ცენტრებს, რაც იწვევდა გარღვევას ჩვენი მუშაობის იმ უბნებზე, საიდანაც ჩვენ ვხსნიდით ხალხს რაიონებში გასაგზავნად. თვითეულ ასაგზავნ ამხანაგს ხომ აქვს თავისი სამუშაო, რომელიც მან უნდა დატოვოს. საჭიროა 1934 წელს ისე მოვაგვაროთ საქმე, რომ საჭირო არ იქნეს ბამბის დარგში სხვადასხვა „საგანგებო“ რწმუნებულების გაგზავნა რაიონებში. ამისთვის რაიონებში წლის დასაწყისიდანვე უნდა ვაწარმოოთ ენერგიული მუშაობა და არ დავუშვათ გარღვევის შესაძლებლობა.

[illegible] ღონისძიებათა სწორად გატარებით, ბამბა უნდა გადაიქცეს მაღალ რენტაბელურ კულტურად და ბამბის მეურნეთა კეთილდღეობის წყაროდ იმგვარადვე, როგორიცაა ჩაი და ციტრუსოვანი კულტურები.

ჩაი

ჩაი, როგორც ეს თქვენ იცით საქართველოს ყრილობაზე გაკეთებული მოხსენებიდან, საქართველოს მთელ რიგ რაიონებში წამყვან კულტურად გადაიქცა. მან შეცვალა დასავლეთ საქართველოს რაიონების სახე ეკონომიურადაც და პოლიტიკურადაც. პოლიტიკურად ჩაი დაგვეხმარა ჩვენ მენშევიზმის გადევნაში დასავლეთ საქართველოდან. ეკონომიურად ჩაიმ ძალიან ასწია ჩვენი კოლმეურნეების კეთილდღეობა.

საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე მე მოვიყვანე იმისი მრავალი მაგალითი, თუ როგორ მტკიცდებოდენ და მტკიცდებიან კოლმეურნეობები ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში ჩაის კულტურის დანერგვის მეოხებით.

ორი უკანასკნელი წლის გამავლობაში ჩვენ გავაშენეთ 13.951 ჰექტარი, ე. ი. ჩაის მთელი პლანტაციების 1932 წლამდე არსებული ფართობის 70 პროც., ჩაით დაკავებული საერთო ფართობი 1933 წლის შემოდგომისათვის 33.325 ჰექტარს უდრიდა. საშუალო მოსავლიანობამ 803 კილოგრამამდე აიწია და ეს იმ დროს, როცა 1932 წელს იგი 701 კილოგრამს უდრიდა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მის მიერ 1933 წლის ივნისში ჩაის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ **„საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა კავშირის დამოუკიდებლობას საზღვარ გარეთიდან ჩაის დარგში.“**

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩაის კულტურის შემდგომი ბედი საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების საიმედო ხელშია, რომლებიც შეასრულებენ ცენტრალური კომიტეტის დირექტივას — **„მეორე ხუთწლედში ძირითადად დავაკმაყოფილოთ საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ჩაის მხრივ“.**

როგორ მდგომარეობაში იყო ჩაის საკითხი ა.-კ. პარტორგანიზაციების მე-6 ყრილობისათვის? ეჭირა თუ არა მაშინ ჩაის საკითხს ცენტრალური ადგილი ამიერ-კავკასიის და, კერძოდ საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში? ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ანგარიში 1930 წელს ამტკიცებს:

„ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიიპყროს შემდეგმა კულტურებმა — ბამბა, რამი, კანაფი. კენდირი. შემდეგ ძვირფასმა კულტურებმა — თამბაქო, ჩაი-და მეცხოველეობის ნაწილში, პროდუქტიული მეცხოველეობის გარდა, კიდევ მეაბრეშუმეობამ“ (გვ. 231):

მორჩა და გათავდა. მაშასადამე, ჯერ რამი, კენაფი, კენდირი, ხოლო შემდეგ უკვე თამბაქო და ჩაი (სიცილი).

იმაზე, თუ რამდენად ბუნდოვან და აბნეული იყო ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები და გეზი, შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ იმავე მოხსენების შემდეგი ნაწყვეტიდან:

„ჩვენ ისე უნდა დავგეგმოთ ამიერ-კავკასია, რომ შეგვეძლოს დამშვიდებული სინდისით და მტკიცე გადაწყვეტილობით დავნერგოთ ესა თუ ის ტექნიკური კულტურა, სადაც ეს შესაძლებელია... წარმოიდგინეთ, თუ საქართველოს სუბტროპიკულ აგროინდუსტრიალურ კომბინატში მთელი ფართობის დაახლოებით 48 პროცენტზე სიმინდის ნაცვლად დაითესება რამი. როგორ შეცვლის ეს დასავლეთ საქართველოს მთელ სამეურნეო სახეს“. (გვ. 234).

წარმოიდგინეთ ამხანაგებო, გლეხებისათვის მართლა რომ მიეცათ წინადადება ფართობის 43 პროცენტზე, სიმინდის ნაცვლად, დაეთესად რამი, მაშინ რა გამოვიდოდა აქედან?

ადგილიდან: ნაკლებად იცნობდენ სოფლის მეურნეობას.

ბერია; სავსებით სწორია. სოფლის მეურნეობას სწავლობდენ მაშინ, როცა საჭირო იყო მოხსენებისათვის მომზადება, ხოლო ვინაიდან ამისათვის დრო განსაზღვრული იყო, ვლებულობდით ასეთ „გეზს“.

მთელ ამ არევ დარევას და უთავბოლობას ბოლო მოუღო საკ.კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის გადაწყვეტილებამ, რომელმაც დასახა ჩვენი მხარის სახალხო მეურნეობის განვითარების სწორი გზები. **საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენთვის ეს ისტორიული გადაწყვეტილება წარმოადგენს გარდატეხის მიჯნას ამიერ-კავკასიის ისტორიაში. მან მოგვცა ჩვენ ნათელი პერსპექტივა, მოგვცა შემოქმედების გაშლილი პროგრამა.**

ციტრუსები

ციტრუსებზე (მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მე-6 ყრილობაზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. ციტრუსები მივიწყებულ უბანს წარმოადგენდა. **საჭირო გახდა პირადად ამხ. სტალინის და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ჩარევა, რომ სათანადო ყურადღება მიქცეოდა მეურნეობის ამ უძვირფასეს დარგს.**

საქართველოს კომპარტიის (ბ) ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებიდან თქვენ, ალბად, უკვე იცით, რის მოცემა შეუძლია ამ კულტურას და რას იძლევა იგი. მე ამას აღარ გავიმეორებ, მოგაგონებთ მხოლოდ, **რომ მიმდინარე წელს ჩვენ უკვე მივიღეთ ციტრუსების ას მილიონ ცალზე მეტი ნაყოფი და რომ ჩვენ უკვე მოგვეპოება ყოველგვარი პირობა იმისთვის, რომ შევასრულოთ ბელადის ამხ სტალინის მითითება და 1937 წელ მივცეთ ჩვენს ქვეყანას ნახევარი მილიარდი ცალი მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი.**

საქართველოს კომპარტიის (ბ) ყრილობაზე მე მოვიყვანე ფაქტების მთელი სერია იმის შესახებ, რომ კოლმეურნეებს, რომლებსაც სულ აქვთ ნახევარი ჰექტარი საკარმიდამო ნაკვეთი 300—400 ძირი მანდარინის ხით და რომელნიც მთელ პროდუქციას აბარებდენ სახელმწიფოს. ჰქონდა თვითეულს 25—30 ათასი მანეთი. ან მაგალითად, ფოთში ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მონტიორმა ას ძირ მანდარინის ხეზე მიიღო 30 ათასი მანეთის მანდარინა. ერთმა კოლმეურნეობამ ქობულეთის რაიონში სახელმწიფოსათვის ჩაბარებულ მანდარინებში მიიღო 480 ათასი მანეთი ეს მაგალითები გამონაკლისი კი არ არის, არამედ ჩვეულებრივი მოვლენა. ციტრუსები უაღრესად ხელსაყრელი კულტურაა.

ჩაი და ციტრუსები, როგორც მოგეხსენებათ, იზრდება შავი ზღვის ნაპირებზე ეგრედწოდებულ სველი სუბტროპიკების ზონაში (აჭარისტანი, აფხაზეთი, გურია და სამეგრელო. აქ ისინი კარგად ხარობენ.

მაგრამ ეს კულტურები წარმატებით შეიძლება გაშენდეს აგრეთვე კასპიის ზღვის სამხრეთ ნაპირზე, ლენქორანში და ასტარში. ლენქორანში უკვე გაშენებულია 100 ჰექტარის პლანტაციები. ეს, რასაკვირველია, სრულიადაც არ არის საკმარისი.

ამხ. სტალინმა ჩვენთან საუბარის დროს, ბაქოელების ამხ. ბაგიროვის და სხვ. თანდასწრებით მიგვითითა, რომ საჭიროა სუბტროპიკული კულტურების ფართოდ გაშენება ამ რაიონებში.

აზერბაიჯანმა მიმდინარე წელს უაღრესად სერიოზულად უნდა მოჰკიდოს ხელი ციტრუსების გაშენებას ამ რაიონებში იმ ანგარიშით, რომ უახლოეს წლებში მათი გაშენება გაფართოვდეს სამრეწველო მასშტაბამდე, თუ ამ რაიონების გვერდით საზღვარს იქით სპარსელებს შეუძლიათ წარმატებით გააშენონ ციტრუსები, რატომ ეს არ უნდა შეგვეძლოს ჩვენ?

ჩვენ პარტიის ბელადს ამხ. სტალინს მივეცით პირობა, რომ ლენქორანის და ასტარის რაიონები გაუსწორდებიან შავი ზღვის ნაპირების დონის. ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა ამ საქმეში ენერგიული დახმარება უნდა გაუწიოს აზერბაიჯანს. ციტრუსები ყოველმხრივ უნდა გავითარდეს. მანდარინი. ლიმონი და ფორთოხალი აღარ უნდა წარმოადგენდეს ფუფუნების საგანს, მათ უნდა მიაღწიონ მუშა-მომხმარებლის სუფრამდე.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ყრილობამ მოგვცა პირობა, რომ შეასრულებს ამხ. სტალინის მითითებას 1937 წელს 500 მილიონი ცალი ციტრუსების მოკრეფის შესახებ.

ვფიქრობ, რომ ამიერ-კავკასიის ყრილობა დაადასტურებს ამ დაპირებას (ტაში).

თამბაქო—ყურძენი

ამხანაგებო, მე მოვიყვან კიდევ რამდენიმე ციფრს და ამით დავამთავრებ ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის ცალკე კულტურების მდგომარეობის დასურათებას. ყველას, ვისაც აინტერესებს დეტალები, მე შემიძლია მივუთითო რესპუბლიკანურ ყრილობების მასალებზე.

თამბაქოს შესახებ

საბჭოთა კავშირის თამბაქოს ბალანსში საბჭოთა ამიერ-კავკასიას პირველი ადგილი უჭირავს თამბაქოს ხარისხის მხრივ, ხოლო დასამზადებელ თამბაქოს რაოდენობის მხრივ, იგი მხოლოდ ჩამორჩება ჩრდილოეთ-კავკასიას. საბჭოთა ამიერ-კავკასია 1933 წელს მოგვცემს 14.500 ათას ტონას, ანუ საბჭოთა კავშირში დასამზადებელ მთელ ყვითელ თამბაქოს 28,7 პროცენტს.

თამბაქოს პლანტაციების სივრცე 1933 წელში შეადგენდა 24.400 ჰექტარს, მათ შორის აზერბაიჯანში 3.020, სომხეთში — 2.540, საქართველოში — 18.800 ჰექტარს (აფხაზეთის ჩათვლით, სადაც 12.000 ჰექტარია).

როგორც ხედავთ, მეთამბაქოობის ძირითადი რაიონია საქართველო. **და აქ მდგომარეობა ამხ. სტალინის და საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის ჩარევამდე 1932 წელს მეტად მძიმე იყო. მეთამბაქოება დაეცა.** თამბაქოს მოსავლიანობა. ხარისხი და საერთო გამოსავალი. განსაკუთრებით აფხაზეთში კატასტროფიულად ეცემოდა. **დამზადების დაბალი ფასებისა და სუსტი დახაქონლების გამო თამბაქოს მეურნეთა** დაინტერესება სოფლის მეურნეობის ამ დარგის განვითარებით განუწყვეტლივ მცირდებოდა. **1932 წელს მიღებული ღონისძიებებით მოხდა გარდატეხა.** თუ 1931 წელს თამბაქოს გამოსავალი უდრიდა 11.627 ტონას, 1932 წელს ის გაიზარდა 12.377 ტონამდე, 1933 წელს კი უნდა მიაღწიოს 14.500 ტონას. თამბაქოს დამზადება საქართველოში (აფხაზეთის გამოკლებით), აზერბაიჯანში და სომხეთში უკვე დამთავრებულია, აფხაზეთში კი მიმდინარეობს ისეთი ტემპებით, რომელიც აღემატება საგეგმო ვარაუდებს და ამიტომ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ 33 წლის გეგმა 14.500 ტონას რაოდენობით მთლიანად არ შესრულდა. **მეთამბაქოობის შემდგომი განვითარება ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების საიმედო ხელშია და უზრუნველყოფილია წარმატებით.**

ვენახი

1931 წლის შემდეგ კვლავ აღორძინების გზაზე შედგა მევენახეობაც, რომელიც იდევნებოდა მთელ რიგ რაიონებიდან, მაგალითად, საქართველოში. ვენახიც აგრეთვე მოხსენებული არ ყოფილა ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების მე-6 ყრილობაზე.

ამავე დროს ამიერ-კავკასიის ეკონომიკაში ვენახი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მარტო საქართველოში მევენახეობის პროდუქციის ღირებულება 1932 წელს შეადგენდა 98 მილიონ მანეთს. გადასახადი ბრუნვიდან ამიერ-კავკასიაში აღწევდა 124 მილიონ მანეთს. წელს ჩვენ უკვე დავამზადეთ ამიერ-კავკასიაში 75000 ტონაზე მეტი (105,1 პროც.).

ვენახების სივრცე ამიერ-კავკ. 1933 წელს შეადგენდა 72.400 ჰექტარს, მათ შორის აზერბაიჯანში — 21.200. სომხეთში — 11.300 და საქართველოში — 39.400 ჰექტარს. 1931 წელთან შედარებით 33 წლის ბოლოს ვენახების სივრცის ზრდა გამოიხატა 4.500 ჰექტარით.

ეს გარდატეხა მიღწეულია საკითხის საკავშირო კომპარტიის ცეკაში დასმის და ამხ. სტალინის ჩარევის შედეგად. გადიდებულ იქნა ფასები, შემოღებულია დახაქონლება, საერთოდ გაუმჯობესებულია კონტრაქტაციის პირობები, ახლა გლეხობა პირდაპირ დაინტერესებულია მევენახეობის განვითარებით.

ღონისძიებები, რომლებიც მიიღეს რესპუბლიკების ცენტრალურმა კომიტეტებმა და ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტმა სადედეების ასაღორძინებლად და გასაფართოებლად უზრუნველყოფენ ვენახების უფრო სწრაფი ტემპით ზრდას მომავალ წლებში. ამერიკული ვაზის სადედეების ფართობი 1933 წელს ამიერ-კავკასიაში აყვანილ იქნა 706 ჰექტარამდე, აქედან საქართველოში 642 ჰექტარამდე.

ვენახი — ფრიად ძვირფასი კულტურაა და მან სათანადო ადგილი უნდა დაიკავოს ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობაში. ეს ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი ამოცანაა მიმდინარე წლისათვის.

მეაბრეშუმეობა

ორი სიტყვა მეაბრეშუმეობის, ამ უძველესი კულტურის შესახებ ამიერ-კავკასიაში.

მჭიდროდ მოკიდეს რა ხელი მეაბრეშუმეობის საკითხებს, აღმოფხვრეს რა იქ მავნებლობა და დეფექტები, რაზედაც მე დაწვრილებით ვლაპარაკობდი საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე, ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა საკ. კ.პ. (ბ) ცეკას და ამხ. სტალინის დახმარებით 1933 წელს გადამწყვეტ გარდატეხას მიაღწიეს.

ამ წელს მთლიანად შესრულდა თესლის გაცოცხლების გეგმა. მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე პარკის მოსავალი. პარკის გამოსავალი თვითეულ კოლოფიდან 1933 წელს შეადგენდა 22,2 კილოგრამს, წინააღმდეგ 11,3 კილოგრამისა 32 წელში; 1933 წელს ამიერ-კავკასიაში პარკი დამზადებულია 3.637 ტონა, წინააღმდეგ 2.485 ტონისა 1932 წელს და 3.293 ტონისა 1931 წელს. გაძლიერებულია საკვები ბაზა.

თესლის დამზადების გეგმა 1934 წლისათვის განსაზღვრულია 300.000 კოლოფით. პარკის გამოსავალი ამიერ-კავკასიაში ნავარაუდევია 4.700 ტონას რაოდენობით.

ანგარიშს ვუწევთ რა მეაბრეშუმეობის მნიშვნელობას ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობაში, საჭიროა მომავალშიაც ყოველმხრივ ხელი შევუწყოთ მეაბრეშუმეობის განვითარებას.

მეცხოველეობა

მე კიდევ უნდა შევჩერდე ჩვენი მეურნეობის უმნიშვნელოვანეს და ამავე დროს ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ უბანზე — მეცხოველეობაზე.

მისი მდგომარეობა თქვენ იცით: უხეშმა შეცდომებმა კოლექტივიზაციის პერიოდში 1930 წელს და მავნებლურ ორგანიზაციათა მუშაობამ გამოიწვია მეურნეობის ამ დარგის დაცემა.

ამხ. ელიავამ მე-6 ყრილობისათვის წარდგენილ თავის ანგარიშში განაცხადა: **„ჩვენში მეცხოველეობა თავის დროზე იმდენად გავითარებული იყო, რომ ახლა განცვიფრებული რჩები, თუ რა დაემართა მას“** (გვ. 235).

ჩვენ ეს არ გვანცვიფრებს, არამედ ვიცით, რაც მოხდა და მტკიცედ მოვკიდეთ ხელი პირუტყვის სულადობის აღდგენის საქმეს და მეცხოველეობის მეურნეობის სწორ ორგანიზაციას.

ღონისძიებათა რიცხვში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცხოველეობის მთელი რიგი რაიონების (დუშეთი ხევის რაიონი, მთიანი ყარაბაღი და სხვ.) **პურით უზრუნველყოფას,** რაიონების, რომელნიც პურის ნაკლებობას განიცდიან. ამასთან ერთად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მეცხოველეობის ყველა საბჭოთა მეურნეობა, რომელ სისტემასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, სარგებლობდეს **თანაბარი ყურადღებით და მზრუნველობით** პირველ რიგში პარტიული ორგანიზაციების მხრით.

ახლა უკვე დაისახა წინსვლა, კერძოდ საგრძნობლად აიწია საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხვედრითმა წონამ ამიერ-კავკასიის საერთო მეცხოველეობაში.

ზოგიერთ რაიონში უკვე ამჟამად ძლიერ იკლო ძროხების სიბერწემ, საგრძნობლად შემცირდა ახალგაზრდა პირუტყვის სიკვდილიანობა.

მაგრამ მეცხოველეობის საქმეში ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გამოვსულვართ გარღვევიდან. ჩვენი პირუტყვის ნაყოფიერება კვლავ ძლიერ ჩამორჩება.

მეცხოველეობის გავითარების ამოცანა — ამიერ-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ჩვენ უახლოეს დროში უნდა მივაღწიოთ მეცხოველეობის მკვეთრ განვითარებას.

სასოფლო-სამეურნეო ავიაცია

მე ვაყენებ კიდევ ერთ საკითხს — სასოფლო-სამეურნეო ავიაციის საკითხს. სასოფლო-სამეურნეო ავიაცია ჩვენი მშენებლობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ახალგაზრდა დარგია. იგი მოწყობილი იქნა 1931 წელში და უკვე მცირე ხნის განმავლობაში შესძლო დიდი მუშაობის შესრულება.

ფართობების მხრივ გეგმა 1932 წელში შესრულებულ იქნა 99 პროც., ხოლო 1933 წ. 108.4 პროც. სულ დამუშავებულ იქნა 450 ათასი ჰექტარი.

სას.-სამეურნეო ავიაციამ დაამტკიცა ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობაში თვითმფრინავების გამოყენების ეკონომიური რენტაბელობა.

მან მოგვცა მუშაობის კარგი ნიმუშები და რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მხრით გამოვიდა პირველ ადგილზე საბჭოთა კავშირში.

მის წინაშე დგას დიდი ამოცანები, რომელთაც იგი მით უფრო წარმატებით შეასრულებს, რამდენადაც ჩვენ მალე აღმოვფხვრით თვითმფრინავების როლის შეუფასებლობას სოფლის მეურნეობაში ბევრი სას.-სამეურნეო ორგანიზაციის მხრივ.

წყალთა მეურნეობა

უმნიშვნელოვანეს ამოცანას, რომელზედაც დიდად არის დამოკიდებული ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია, წარმოადგენს წყალთა მეურნეობის გადაჭრით გარდაქმნა. ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ ამოცანის გადაწყვეტაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს — საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სარწყავი ფართობები ა.-კ. ს.ფ.ს.რ.-ში გაიზარდა 280.543 ჰექტარით და 1934 წლის დასაწყისისათვის 1.484.274 ჰექტარს მიაღწია.

წყალთა მეურნეობის მშენებლობის ძირითადი ობიექტები საანგარიშო პერიოდში იყო: **აზერბაიჯანში** — ორჯონიკიძის სახ. არხი (33.000 ჰექტარი), მუღანის ველის ირიგაცია, მტკვრის სანაპირო ზოლის (60.000 ჰექტარი) მექანიკური რწყვა.

საქართველოში: კოლხიდის, დაბლობის ამოშრობა (213 ათასი ჰექტარი — უკვე ათვისებულია 12 ათასი), ალაზანი (44 ათასი ჰექტარი ათვისებულია 25.000), ტირიფონი — 144 ათასი ჰექტარი. **სომხეთში** ნირი (50.000 ჰექტარი), მცირე სარდარაბადი და სხვ.

საგრძნობი მუშაობაა აგრეთვე შესრულებული 80.000 ჰექტარზე მეტ ფართობზე ძველი სარწყავი ქსელის რეკონსტრუქციისა და წესრიგში მოყვანის მხრივ.

1933 წელს ჩვენ შევძელით მოგვეგვარებია სარწყავი ქსელის მართებული ექსპლოატაცია და წყლით რაციონალური სარგებლობა.

წყალთა მეურნეობის სამუშაოების დარგში მიღწეულ წარმატებათა მიუხედავად, ჯერ კიდევ ადგილი აქვთ არსებით ნაკლოვანებებს, როგორიცაა:

პირველი: საგრძნობი ჩამორჩენა მშენებლობის გეგმების შესრულების მხრივ მსხვილი ობიექტების ხაზით, რაც აიხსნება მუშა-ხელის სწორად ორგანიზების და მშენებლობაზე მისი შენარჩუნების უუნარობით, ადგილობრივი საშენი მასალების გამოყენების უუნარობით და სხვ.

მეორე: სამუშაოთა სათანადოდ მოუგვარებლობა წყლის რაციონალური გამოყენების საქმეში, კონტროლის და ინსტრუქტაჟის უქონლობა მრწყველთა მუშაობაში და, ბოლოს, წყალთა მეურნეობის მწვავე საკითხად კვლავ რჩება კადრების საკითხი: ეს განსაკუთრებით ითქმის აზერბაიჯანის რაიონებზე.

პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა 1934 წელს უნდა უზრუნველყონ არსებითი გარდატეხა წყალთა მეურნეობის მსხვილი მშენებლობის სამუშაოებში ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მექანიკური მოწყობილობის მაქსიმალურად გამოყენებას და მუშა-ხელის მართებულ ორგანიზაციას.

მუშაობა ისე უნდა მოვაწყოთ, რომ უახლოეს ორ-სამ წელში მოვამზადოთ ყველა აუცილებელი მასალა ამიერ-კავკასიის წყალის რესურსების გამოყენების ზოგადი კომპლექსური სქემის შესადგენად.

სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულება

სოფლად საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებას, ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების განვითარებაში არსებულ წარმატებებს შედეგად მოყვა ვალდებულებათა წარმატებით შესრულება ამიერ-კავკასიის კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მიერ.

(გაგრძელება იხ. მე-4 გვ.).

ამხ. ლ. ბერიას მოხსენება

მარცვლეულის ჩაბარების ხაზით ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკამ გეგმა ვადამდე—1933 წლის 10 ნოემბრისათვის შეასრულა.

ბამბა. 1933 წელს ამიერ-კავკასიაში დამზადდა 1934 წლის 12 იანვრისათვის 147.477 ტონა,—გეგმის 100,1 პროცენტი, აქედან: აზერბეიჯანში—129.419 ტონა,—გეგმის 101,4 პროც. ეგვიპტის ბამბა დამზადდა 102,6 პროც.

ჩაი დამზადდა 3.165.000 კილოგრამი მწვანე ფოთოლი ან 105,55.

თამბაქო. თამბაქოს დამზადების გეგმა აზერბეიჯანში შესრულებულია ვადამდე; საქართველოში, აფხაზეთის გამოკლებით, შესრულებულია 105,6 პროცენტით; სომხეთში 10 იანვრისათვის—100 პროც. აფხაზეთში შესრულებულია 10 იანვრისათვის 39.51 პროც. რაც თითქმის ორჯერ აღემატება გეგმას 10 იანვრისათვის. დამზადების გეგმის ვადაზე შესრულება უზრუნველყოფილია.

მანდარინა. გადიდებული გეგმით გათვალისწინებულ 75.000.000 ცალის ნაცვლად, დამზადებულია 83.240.000 ცალი ანუ გეგმის 111 პროცენტი.

ხილი—106,2 პროც.

ბრინჯი—10 იანვრისათვის —98,8 პროც.

ბაგიროვი: უკვე შევასრულეთ.

ბერია: აი ბაგიროვი ამბობს—შევასრულეთო. მაშ ძალიან კარგია.

რძის პროდუქტები—109,0 პროც.

ტყავნედლეული. მსხვილი ტყავნედლეულის დამზადების გეგმა ამიერ-კავკასიაში შესრულებულია 108,7 პროცენტით, ხოლო წვრილ ტყავნედლეულის—110,2 პროც.

ტექნიკური ყურძენი დამზადებულია 105,1 პროც.

ამგვარად, 1933 წელს თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის დამზადების გეგმა ამიერ-კავკასიაში შესრულებულია მთლიანად და გადაჭარბებით პარტიის და მთავრობის მიერ დაწესებულ ვადებში, ხოლო ზოგი მათგანის დამზადების გეგმა—ვადამდე. ამ წარმატებებს უეჭველად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ ვალდებულებანი კონტრაქტანტების წინაშე სახელწიფოს მხრივაც წესიერად და ვადაზე სრულდებოდა.

ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის კადრები

მე უკვე ვილაპარაკე იმაზე, რომ 1932-33 წლებში ქალაქიდან სოფელში **მუდმივ სამუშაოზე გაიგზავნა 12.000 კაცზე მეტი, მათ შორის სასოფლო მეურნეობის სპეციალისტები—8.000 კაცამდე.**

სამანქანო - სატრაქტორო სადგურების კადრები შემოწმებული და გამტკიცებული იქნენ.

პოლიტგანყოფილებებთან ერთად ჩატარებული მუშაობით სამანქანო-სატრაქტორო სადგურები გადაჭრით გაწმენდილი იქნენ კლასობრივად უცხო, სისხლის სამართლის დამნაშავე ელემენტებისაგან და ის მუშაკები, რომელნიც არ იდგნენ თავიანთი დანიშნულების სიმაღლეზე, გათავისუფლებული იქნენ.

ამიერ-კავკასიის ყველა რაიონის „ხუთეულის" და „ოცეულის" დათვალიერების შედეგად მოხსნილ იქნა 284 კაცი.

უკანასკნელ 2 წლის გამავლობაში მიწსახკომის და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სისტემაში მომუშავე სოფლის მეურნეობის სპეციალისტების რიცხვი გაიზარდა 4.248 კაცამდე. მათ შორის უმაღლესი კვალიფიკაციის არის —880 კაცამდე. საგრძნობლად გაიზარდა იმ სპეციალისტების ხვედრითი წონა, რომელნიც უშუალოდ მუშაობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

1931-32 წლის გამავლობაში სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებიდან და ტექნიკუმებიდან გამოშვებულ იქნა 2.375 კაცი უმაღლესი კვალიფიკაციით და 6943 კაცი—საშუალო კვალიფიკაციის.

გარდა ამისა, მომზადებულ იქნა 105 ათასამდე მასობრივი კვალიფიკაციის მუშაკი—ბრიგადირები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ტრაქტორისტები, მოანგარიშეები და სხვ.

თავის თავად ცხადია, რომ მიუხედავად ამ რიცხვობრივი მაჩვენებლებისა, საბჭოთა მეურნეობები, სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და კოლმეურნეობები სათანადოთ კიდევ ვერ არიან უზრუნველყოფილი მასობრივი კვალიფიკაციის კადრებით.

მომზადება წარმოებდა მეტად მოკლევადიან კურსებზე — 3-დან 30 დღემდე.

კურსანტების შერჩევა ყოველთვის არ იყო დამაკმაყოფილებელი.

კურსები ხშირად სავსებით არ იყვნენ უზრუნველყოფილი სათანადო პროგრამებით, სახელმძღვანელოებით და მასწავლებელთა შემადგენლობით.

საჭიროა კიდევ ათეულ ათასობით კაცი. 1934 წლისათვის მასობრივი კვალიფიკაციის კადრების მომზადების გეგმა ნავარაუდევია 568.000 კაცის რაოდენობით. თუ პარტორგანიზაციები და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებები სერიოზულ ყურადღებას მიაქცევენ კადრების მომზადების საკითხებს, თუ აღმოფხვრილი იქნება ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებები, და მომზადებული კადრები შენარჩუნებული იქნებიან სამუშაოზე, — 1934 წელს კოლმეურნეობები, სამანქანო - სატრაქტორო სადგურები და საბჭოთა მეურნეობები ძირითადად უზრუნველყოფილი იქნებიან კვალიფიციური კადრებით.

1934 წლის გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ამოცანები

1934 წლის საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანიამ კიდევ უფრო მეტად უნდა გაამტკიცოს 1933 წელს მიღწეული წარმატებები ამიერ - კავკასიის სოფლის მეურნეობაში.

უმოკლეს ვადაში აუცილებელია:

1) დაყვანილ იქნეს რაიონებამდე, კოლმეურნეობებამდე და ერთპიროვნულ გლეხებამდე საგაზაფხულო თესვის გეგმები.

2) ადგილებზე შედგენილ იქნეს კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმები და ბრიგადების დავალებები;

3) ერთხელ კიდევ უნდა გადაისინჯონ ბრიგადები, გამაგრებულ იქნენ რგოლები ბრიგადებში, მათ სათავეში დავაყენოთ საუკეთესო საწარმოო ბრიგადირები,

4) მთელი ყურადღება უნდა მიექცეს უმოკლეს ვადაში ტრაქტორების, სასოფლო - სამეურნეო ინვენტარის მაღალხარისხოვანი საზამთრო რემონტის ჩატარებას, მომზადებული იქნეს მუშა - პირუტყვი, გამოიყოს კოლმეურნეობებში საფურაჟე ფონდები.

5) გაწმენდილი და შეწამლული იქნეს თესლი.

6) ყოველგვარი დაყოვნების გარეშე დაყვანილი უნდა იქნეს რაიონებამდე და კოლმეურნეობებამდე აპარატურა და შხამები მავნებლებთან საბრძოლველად.

1934 წლის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის ამოცანების წარმატებით შესრულება შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს მხოლოდ ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების კლასობრივი ბრძოლის უნარიანობის და სიფხიზლის შემდგომი გაძლიერებით კულაკის და მისი აგენტურის ოინებთან და ხრიკებთან ბრძოლაში.

ფართოდ გაშლილ პარტმასობრივი და ორგანიზატორული მუშაობის საფუძველზე, მუშაობის თვითეულ უბანზე ყოველდღიური ოპერატიული ხელმძღვანელობის უზრნველყოფით, პარტორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ საგაზაფხულო თესვის გეგმის და განსაკუთრებით მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების ყოველ მიზეზს გარეშე შესრულებას.

ამრიგად, ამხანაგებო, როგორც ნათქვამიდან ჩანს, ამიერ - კავკასიის სოფლის მეურნეობის გავითარებაში უკანასკნელ ორ წელს განსაკუთრებით 1933 წელს, მიღწეულია მთელი რიგი უდავო წარმატებები

1934 წელს ჩვენ უნდა მივაღწიოთ ახალ, კიდევ უფრო მეტ წარმატებებს სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში.

1934 წლის უმნიშვნელოვანესი ამოცანებია:

1. დავთესოთ 1.413.800 ჰექტარი ფართობი, აქედან ბამბა 216.150 ჰექტარი, მარცვლეული კულტურები 935.550 ჰექტარი და სხვა კულტურები 264.000 ჰექტარი.

2. გავაშენოთ 500 ჰექტარი ციტრუსოვანი კულტურები, 1.295 ჰექტ. ჩაი და 3.180 ჰექტ. ხეხილის კულტურები.

3. ავითვისოთ 1934 წლისათვის, გათვალისწინებული 188,5 მილ. მანეთი კაპიტალური დაბანდებანი სოფლის მეურნეობაში.

4. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ სოციალისტური მეცხოველეობის გავითარებასა და აწევას.

5. საუკეთესო აგროტექნიკური კადრები გადავიყვანოთ კანცელარიებიდან უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში — საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო - სატრაქტორო სადგურებსა და კოლმეურნეობებში.

6. სოფლის მეურნეობაში მოწინავე აგრო-ზოოტექნიკის უკეთ ათვისების მიზნით უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების საქმე კოლმეურნეობებში, სამანქანო სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

7. განვაგრძოთ კოლმეურნეობათა გაწმენდა უცხო და კულაკურ ელემენტებისაგან. შევარჩიოთ თვითეულ კოლმეურნეობაში ბოლშევიკური ხელმძღვანელი კადრები. დავამყაროთ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში მტკიცე საწარმოო დისციპლინა, მეტი ყურადღება მივაქციოთ ერთპიროვნულ მეურნეს — ხვალინდელ კოლმეურნეს და ყოველნაირად შევუწყოთ მას ხელი — შევიდეს კოლმეურნეობაში.

8. გავაძლიეროთ პარტიული ორგანიზაციების, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა რევოლუციური სიფხიზლე პროლეტარიატის დიქტატურის მტრების, კულაკების, მუსავატისტების, დაშნაკების, მენშევიკების და მათი აგენტურისა და ხელის შემწყობთა წინააღმდეგ, გამოვააშკარავოთ მათი მახინაციები, და აღვზარდოთ კოლმეურნეთა მასები სოციალიზმის პრინციპებზე.

მაშინ 1934 წელს ჩვენ კიდევ უფრო მეტი წარმატებებით დავამთავრებთ, ვიდრე 1933 წელს.

ტრანსპორტი

მხარის საწარმოო ძალების ზრდა უდიდეს ამოცანებს აყენებს ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო ქსელის წინაშე.

ჯერ კიდევ საკ. კ. პ. (ბ)მე-16 ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ამხ. სტალინი ხაზს უსვამდა ტრანსპორტის უდიდეს მნიშვნელობას, არა მარტო სახალხო მეურნეობისათვის, არამედ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გამაგრებისათვისაც და მიუთითებდა, რომ პარტიის ამოცანას წარმოადგენს „დაბოლოს ბოლშევიკურად მოვკიდოთ ხელი ტრანსპორტის საქმეს და წავსწიოთ ის წინ".

როგორი შედეგებით მივდივართ ჩვენ სატრანსპორტო მეურნეობის დარგში ჩვენს ყრილობაზე?

ამიერ - კავკასიის რკინის გზების ტვირთბრუნვა გაიზარდა თითქმის 200 ათასი ტონით 1930 წელთან შედარებით. მგზავრების გადაყვანა: 1930 წელს გადაყვანილ - 17.3 მილიონი მგზავრი, 1933 წელს გადაყვანილია 26 მილიონი მგზავრი.

სასაქონლო პარკის ვაგონის სადღეღამისო მიმოქცევა შემცირდა 7,22-დან 6,77-მდე დღე-ღამეში. ცისტერნების სადღეღამისო მიმოქცევა 8,43-დან შემცირდა 7,65-მდე, დღე-ღამეში.

სასაქონლო პარკის ვაგონის საშუალო სადღეღამისო გარბენა გაიზარდა 14 კილომეტრით. ცისტერნების საშუალო სადღეღამისო გარბენა გაიზარდა 8 კილომეტრით.

1933 წელს გამოცვლილ იქნა შპალები გეგმით გათვალისწინებულზე 8 პროცენტით მეტი.

უკანასკნელ დროს რამდენიმედ შემცირდა ავადმყოფ ორთქლმავალთა პროცენტი, რომელიც უკანასკნელი 3 წლის გამავლობაში სტაბილიზებული იყო 21—22 პროც. დონეზე.

ელექტროფიცირებულია სურამის უღელტეხილი, რაც ადიდებს მატარებლების მოძრაობის სისწრაფეს 30 პროცენტით. გამტარუნარიანობას 43 პროცენტით, ტვირთამწევუნარიანობას 92,5 პროცენტით. ხოლო ტვირთზიდვის თვითღირებულებას ამცირებს 30 პროცენტით.

ახალი სარკინიგზო მშენებლობის სხვა ძირითადი სამუშაოებიდან საჭიროა აღინიშნოს: ახალ-სენაკი—ოჩემჩირეს ხაზის გაყვანა (80 კილომეტრი), ტყვარჩელი — ოჩემჩირეს შტო (27 კილომეტრი), ალიათ — მეჯივანი (283 კილომეტრი), მეჯივან — კაფანი (39 კილომეტრი), სულ ამიერ - კავკასიაში 444 კილომეტრი, მათ შორის — აზერბეიჯანში 318 კილომეტრი, საქართველოში — 113 კილომეტრი.

ჩატარდა აქსტაფა- ნავთლუღის 82 კილომეტრიანი უბნის ავტობლოკირება.

მაგრამ ა.-კ. რკინისგზების მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი დიდ დეფექტებს.

არ სრულდება სასაქონლო პარკის ვაგონების და ცისტერნების მიმოქცევის და კომერციული სისწრაფის ნორმები. გაწყვილებული მგზავრობა ჯერ კიდევ სავსებით არ არის გამოყენებული, ბუქსების გადაწვა ჯერ კიდევ საგრძნობია. ლიანდაგის კაპიტალური რემონტი შესრულებულია მხოლოდ 87 პროცენტით, ხოლო ახალი სამუშაოების გეგმა—მარტო 80 პროცენტით, ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გამოყენებული ელექტროწევის უდიდესი ეკონომიური უპირატესობანი, ცხრილის მიხედვით მიმოდის მხოლოდ მატარებელთა 46 პროცენტი.

ამის შედეგად ტვირთბრუნვის ზრდის ტემპები ჩამორჩება სახალხო მეურნეობის ზრდის ტემპებს.

მაგალითად, ხუთწლედის გამავლობაში (1929—1933 წლები) ნავთის წარმოება გადიდდა 142 პროცენტამდე, ხოლო ნავთის გადაზიდვა — 121,6 პროცენტამდე; ქვანახშირის წარმოება — 256,9 პროცენტამდე, ხოლო მისი გადაზიდვა — 219.4 პროცენტამდე.

ამიერ-კავკასიის რკინისგზა ერთგვარად ალიმიტებს ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გავითარებას.

ძირითადი მიზეზები მდგომარეობენ იმაში, რომ:

1) ა. კ. რკინის გზამ ვერ გარდაქმნა თავისი მუშაობა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს მიერ ტრანსპორტის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებთან შეფარდებით.

2) არ არის აღმოფხვრილი მუშაობის კანცელარიულ - ბიუროკრატიული მეთოდები.

3) არასაკმაოდ მოხდა სპეციალისტების გადაგზავნა სამმართველო აპარატიდან წარმოებაში (ხაზზე).

4) არ იყო გაშლილი ნამდვილი ბრძოლა მტკიცე დისციპლინისათვის.

ნავთის გადაზიდვის გეგმის პერიოდულად ჩაშლის მიზეზს წარმოადგენს ნავთის ჩასხმის ცუდი ორგანიზაცია და ცისტერნების ყოვლად უმსგავსო მიმოქცევა. ცისტერნებს აყენებენ ნავთის ჩასასხმად არათავის დროზე, ამასთან ისინი ცუდად არიან შეკეთებული. ჩასხმის პროცესი არ არის რაციონალიზირებული.

ბოლოს, ა.-კ. რკინის გზების ჩამორჩენა სახალხო მეურნეობის ზრდისაგან გამოწვეულია მისი არასაკმაო ტექნიკური შეიარაღებით.

უკანასკნელ დროს პოლიტგანყოფილებათა ორგანიზაციამ, დირექციის რეორგანიზაციამ, ხელფასის გარდაქმნამ, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სახკომსაბჭოს 1933 წლის 8 ივლისის დადგენილების საფუძველზე და მთელი რიგი სპეციალისტების გადაგზავნამ კანცელარიებიდან წარმოებაში (ხაზზე) გამოიწვიეს გარდატეხა ამიერ-კავკასიის რკინისგზების მუშაობაში. ამოცანა ისაა, რომ შემდგომ მუშაობაში უაღრესად სასწრაფო ვადებში მივაღწიოთ ჩვენი სარკინიგზო მეურნეობის საგრძნობ გავითარებას.

აქ ყველაზე უფრო მთავარია — გადაჭრით ავამაღლოთ დისციპლინა. მაგრად დავარტყათ ქაუდევრობას და უთავბოლობას. უნდა შეიქმნეს მტკიცე დისციპლინა თავიდან ბოლომდე, სხვანაირად ჩვენ თავს ვერ გავართმევთ ტვირთზიდვას. როცა რაიონებში მუშაობა კარგად წავა, სადგურებს მოაწყდება ტვირთი — კუმბრი, ბამბა, პური, ხე-ტყე და სხვ., ხოლო რკინისგზა ვერ შეძლებს მათ გადაზიდვას.

ჩვენ მიერ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს წინაშე აღძრული შუამდგომლობის თანახმად. მიმდინარე წელს ამიერ - კავკასიის რკინის გზების ძირითად მოწყობილობათა რადიკალური რეკონსტრუქციისათვის გაღებულია 70 მილიონი მანეთი. 1934 წელს ჩვენ მოგველის თავისი მნიშვნელობით და ოდენობით უდიდესი საამშენებლო სამუშაოები.

1. ბაქოს და ფოთის კვანძების რეკონსტრუქცია.

2. მეორე ლიანდაგის დაგება მთელ რიგ უბნებზე ბაქოსა და ტფილისს შორის, კერძოდ, აჯიკაბულ-ევლახის უბანზე, ტფილის — ხაშურის უბნის ელექტროფიკაცია;

3. ავტობლოკირების სამუშაოები.

4. შავი ზღვის რკინის გზის მშენებლობის გაგრძელება და სხვ.

1934 წელი წაუყენებს რკინის გზას მნიშვნელოვან მოთხოვნილებებს, განსაკუთრებით ნავთის გადაზიდვის ხაზით. **დაწესებული რაოდენობის ნავთის და სხვა ტვირთების დროული გაზიდვა —ამოცანაა, რომელიც რკინის გზამ უნდა შეასრულოს, რაც არ უნდა დაუჯდეს.**

ურელსო გზები

მოზარდი სახალხო მეურნეობა სულ უფრო და უფრო გადიდებულ მოთხოვნილებებს უყენებს ურელსო გზებსაც.

ურელსო გზების საერთო სიგრძე ამიერ - კავკასიაში იზრდება; 1933 წლის ბოლოს მან მიაღწია 28.954 კილომეტრს (ნაცვლად, 25.014 კილომეტრისა 1931 წელს), მაგრამ საერთო საგზაო ქსელში ქვით მოფენილი გზები შეადგენს მხოლოდ 8.855 კილომეტრს.

გზების ახალი მშენებლობისა და რემონტის საქმეში დიდ როლს ასრულებს შრომა, ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა; 1933 წელს მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა სხვადასხვა საგზაო სამუშაოებში შესრულებულია 19.527 ათას მანეთით.

მიუხედავად ამისა, ურელსო ტრანსპორტი ჯერ კიდევ წარმოადგენს ჩამორჩენილ უბანს და არასაკმაო მომსახურეობას უწევს სახალხო მეურნეობას. გზების დიდი ნაწილი გამოსადეგია მხოლოდ საჭაპანო ტრანსპორტისათვის. ჩვენ, სომხეთის გამოკლებით, გზებს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით.

ამის გამო გზების მნიშვნელოვანი ნაწილის საექსპლოატაციო ხარისხი ძალზე დაბალ დონეზე იმყოფება. უკანასკნელ დრომდე გზების მშენებლობა უგეგმო ხასიათს ატარებდა. მშენებლობის გეგმები არ სრულდებოდა. საგზაო სამუშაოების მექანიზაცია — სუსტია.

მთლიანად არ არის ათვისებული საკავშირო და ადგილობრივი ბიუჯეტების ასიგნობები 1933 წელს. მაგალითად, აზერბეიჯანის გზატრანსმა 11 თვის განმავლობაში აითვისა აზერბეიჯანისათვის გადადებული თანხის მხოლოდ 70 პროცენტი.

მთელ რიგ რაიონებში (დელიჟანის, ყაზბეგის და სხვ.) მოსახლეობის შრომითი მონაწილეობას ყურადღება არ ექცევა.

ჩვენ უნდა მივაღწიოთ შემდეგს:

1) მთლიანად ავითვისოთ განუწყვეტლივ მზარდი კაპიტალური დაბანდებანი (1934 წელს ის აღწევს 32 მილიონ მანეთს).

2) უფრო მეტი მიზანშეწონილობით გამოვიყენოთ ის მნიშვნელოვანი დამატებითი სახსრები, რომელსაც აძლევს საგზაო მშენებლობას ადგილობრივი მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა;

3) ჩატარდეს საგზაო სამუშაოების მექანიზაცია;

4) ამაღლებულ იქნას ავტოტრანსპორტის ხვედრითი წონა ჩვენს სატრანსპორტო სისტემაში.

გზები — ჩვენი სოციალისტური მშენებლობის მნიშვნელოვანი უბანია და მათ მაქსიმალური ყურადღება უნდა მიექცეს; წინააღმდეგ შემთხვევაში ტვირთები, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის დარგში გაუზიდავი დარჩება რაიონების სიღრმეში.

კასპიის ზღვის ფლოტი

ვლაპარაკობდი რა ნავთზე, მე უკვე აღვნიშნე თუ რა **დიდი მნიშვნელობა აქვს ნავთის გადაზიდვის საქმეში კასპიის სანაოსნო საზოგადოებას.**

ბაქოდან გასაზიდ ნავთის პროდუქტების ორი მესამედი ამ საზოგადოებაზე მოდის.

ნავთის ტვირთების ხვედრითი წონა კასპიის სანაოსნო საზოგადოების გადაზიდვათა საერთო მასაში 1932 წელს შეადგენდა 90 პროცენტს.

ნავთის ამოღების ზრდასთან ერთად კასპიის სანაოსნო საზოგადოების ნავთის გადაზიდვათა რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება.

ნავთის გადაზიდვის წლიური გეგმა 1933 წელს შესრულებულია 100,2 პროც.

1934 წელს კასპიის სანაოსნო საზოგადოების ნავთის გადაზიდვათა პროგრამა მნიშვნელოვნად იზრდება და მიაღწევს 12.336.000 ტონას.

სანაოსნო საზოგადოების გადაზიდვათა რაოდენობა თანდათან იზრდება, გემების შემადგენლობა და მათი მდგომარეობა კი ვერ უზრუნველყოფს მის შესრულებას: გემები ძალზე გაცვეთილია, ქვაბებმა უმეტეს შემთხვევაში უკვე შეასრულეს თავისი მუშაობის ვადა.

საკითხი კასპიის სანაოსნო საზოგადოების შესახებ ამიერ - კავკასიის სამხარეო კომიტეტმა დასვა ც. კ-ის წინაშე.

ბის შედეგად მიღებული იქნა ზომები, რომელზედაც მე უკვე ვილაპარაკე: გემების აგება, მათი მომარაგება მასალებით და მოწყობილობით და სხვ.

ნავთის გადაზიდვათა 1934 წლის გეგმა უნდა შესრულდეს.

კავშირგაბმულობა

უკანასკნელი წლების გამავლობაში ამიერ - კავკასიის კავშირგაბმულობას აქვს ერთგვარი მიღწევები.

კავშირგაბმულობის საშუალებათა ღირებულება 17.681.000 მანეთიდან 1931 წელს გაიზარდა 36 მილიონ მანეთამდე 1933 წელს.

რადიოგადამცემ სადგურების რაოდენობა 7-დან აყვანილია 20-მდე.

ბაქოში აგებულია ავტომატიური სატელეფონო სადგური, უახლოეს ხანში ასეთივე სადგური ამუშავდება ტფილისში.

მაგრამ კავშირგაბმულობის მეურნეობას აქვს მთელი რიგი მსხვილი დეფექტები და ის საგრძნობლად ჩამორჩება სახალხო მეურნეობის და მშრომელი მასების გაზრდილ მოთხოვნილებას.

ფოსტის მუშაობის ხარისხი არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად მივიჩნიოთ.

მთელ რიგ რაიონებში (ზაქათალის, კაზახის, ლანჩხუთის რაიონებში) ფოსტა კვირაში ერთხელ [illegible]; მარტო 1933 წლის 1-ლ ნახევარში კორესპონდენციების მიუტანლობის გამო შემოვიდა 19.000 საჩივარი. და კიდევ რამდენ დაზარალებულს არ შემოუტანია ასეთი საჩივარი!

ეს კიდევ ცოტაა. ხშირად აქვს ადგილი მტაცებლობას და გაფლანგვას. საკმარისია ვთქვათ, რომ 1933 წლის 10 თვის გამავლობაში გაფლანგვა და დატაცება გასცილდა 500.000 მანეთს.

კავშირგაბმულობის ორგანოებმა, გადაჭრით და სწრაფად უნდა გარდაქმნან მუშაობა, გააუმჯობესონ მუშაობის ხარისხი, ბოლომდე მიიყვანონ აპარატის გაწმენდა უცხო და ბოროტმოქმედ ელემენტებისაგან.

რაიონები, სოფლები, პოლიტგანყოფილებები უმოკლეს ვადაში სავსებით უზრუნველყოფილი უნდა იქნან ნორმალური შეუფერხებელი ფოსტით, ტელეგრაფით და სატელეფონო კავშირით.

ამჟამად კავშირგაბმულობის ხელმძღვანელობა განახლებულია. ჩვენ იქ გავგზავნეთ ბაქოელებისათვის ცნობილი ამხ. გაბერფკორნი პოლიტსამმართველოდან და ვფიქრობთ, რომ კავშირგაბმულობის საქმე დაბოლოს მოწესრიგდება. კავშირგაბმულობას დიდი დახმარება უნდა გაუწიონ პარტიულმა ორგანიზაციებმა, რადგან ამ დახმარების გარეშე, რასაკვირველია, ვერც ერთი საუკეთესო მუშაკიც კი ვერაფერს გახდება კავშირგაბმულობაში.

მშრომელ მასების მატერიალურ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და საქონელთბრუნვა

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშათა რიცხვის თვალსაჩინო ზრდა, უმუშევრობის სრული ლიკვიდაცია, თითქმის ყველა საწარმოს 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა, სამუშაო ხელფასის გადიდება, სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის უდიდესი გაფართოება, კომუნალური და საბინაო მშენებლობის გავითარება, საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ზრდა—ყოველივე ეს მოწმობს მუშათა და კოლმეურნეთა მასების მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტლივ ამაღლებას.

მაგრამ, თვითეული ამ საკითხთაგანის მნიშვნელობის მიუხედავად, მე მათზე არ შევჩერდები, ვინაიდან რესპუბლიკურ პარტიულ ყრილობებზე უკვე მოყვანილი იყო ციფრეული მასალები და ფაქტიური ცნობები, რომლებიც გვიხატავენ ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკის მშრომელი მასების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული დონის ზრდას.

მე მინდა ყრილობის ყურადღება შევაჩერო მხოლოდ ერთ, ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე, ქალაქსა და სოფელს შორის საქონელთბრუნვაზე და მისი შემდგომი გავითარების ამოცანაზე.

საანგარიშო პერიოდში ჩვენი პარტია, საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციებსა და სპეციალური დადგენილებებში, არაერთხელ აღნიშნავდა ხაზგასმით საბჭოთა ვაჭრობის განვითარების საჭიროებას და იძლეოდა მთელ რიგ პრაქტიკულ მითითებებს ამ მიმართულებით მუშაობის გაშლისათვის.

მაგრამ ამჟამად, როდესაც მრეწველობის და ძირითადად სოფლის მეურნეობის პრობლემა უკვე გადაჭრილია, ქალაქსა და სოფელს შორის საქონელთბრუნვის ყოველმხრივ გაშლის ამოცანა განსაკუთრებით აქტუალური ხდება.

ჩვენი პარტიის ბელადმა ამხ. სტალინმა ამ ცოტა ხნის წინათ ახალი სიძლიერით გაამახვილა ეს საკითხი და მიაპყრო მას ჩვენი ყურადღება.

როგორია ძირითადად ამ დარგში ამ უკანასკნელი წლების ჩვენი მუშაობის ძირითადი შედეგები?

პირველი ხუთწლედის წარმატებებმა, მრეწველობის, კერძოდ მსუბუქი და საკვები მრეწველობის პროდუქციის მატებამ, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ზრდამ ქალაქსა და სოფელს შორის საწარმოო დაკავშირების გამტკიცებამ და ყოველივე ამის საფუძველზე, მუშათა და კოლმეურნეთა მასების კეთილდღეობის ზრდამ უზრუნველყო საქონელთბრუნვის მატერიალური ბაზის გაფართოება.

მთელმა საცალო ბრუნვამ, რაც 1927-28 წლის 703 მილიონ მანეთს შეადგენდა, 1933 წელს 2.200 მილიონ მანეთს მიაღწია.

ამასთან, თუ 1928 წლის დასაწყისში კერძო ვაჭარს ამიერ-კავკასიაში 21.000-ზე მეტი წერტილი ჰქონდა, 1933 წელს კერძო ვაჭრობას სტაციონარული ქსელი თითქმის სულ არ გააჩნია.

სამომხმარებლო კოოპერაციის — გასაზოგადოებული ვაჭრობის ამ წამყვანი რგოლის —ბრუნვამ 1933 წელს მიაღწია 1.100 მილ. მანეთს (1928-29 წლის 546 მილ. მანეთის ნაცვლად), ხოლო მისი საცალო ქსელი 3700 წერტილიდან 11.569 წერტამდე გაიზარდა.

სავაჭრო ქსელის გაშლასთან ერთად, სამომხმარებლო კოოპერაციამ შექმნა საკუთარი დამხმარე საწარმოები, რომლებმაც გაადიდეს მისი სასურსათო რესურსები.

მოეწყო საგარეუბნო მეურნეობები, აშენდა ბოსტნეულის საცავები (ბაქო, ტფილისი, ერევანი და სხვ.); შეიქმნა მაცივართა ქსელი (ფოთი, ერევანი, ბაქო და სხვ.); აშენდა პურის სამი ქარხანა — ტფილისში, ბაქოსა და ერევანში, კიდევ მთავრდება ორი ბაქოში და ერთი ტფილისში.

თვალსაჩინოდ გაიზარდა საქონელთბრუნვა სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაშიაც: 117 მილიონ მანეთიდან (1931 წელს) 452 მილიონ მანეთამდე (1933 წელს.).

სახელმწიფო ვაჭრობის ქსელი გაიზარდა ორჯერ და კიდევ უფრო მეტად (1931 წ. 940 წერტი, ხოლო 1933 წელს 3.800 წერტი).

მაგრამ სამომხმარებლო კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის მუშაობაში არის მთელი რიგი არსებითი დეფექტები:

1) საქონელთბრუნვა ნელია: ზაკ. სოიუზის სისტემაში იგი აღწევს 25 დღემდე, ხოლო სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში 24 დღემდე, [illegible] დაწესებული ნორმის—21 დღისა; შედეგად ჩვენ გვაქვს საწყობებში საქონლის ნაშთები, რაც სისტემატიურად აჭარბებს დაწესებულ ლიმიტებს;

2) ბრუნვის ხარჯები საგრძნობლად აღემატება არსებულ ნორმებს.

3) ადმინისტრატიულ - სამმართველო აპარატი ძვირია;

4) საუკეთესო გამოცდილი მუშაკები სხედან კანცელარიებში, გადაყვანილი არ არიან საწყობებში, ბაზებში, დახლთან;

5) დღემდის არსებობს ხელფასის გათანაბრება, რაც ამცირებს დაინტერესებას მუშაობის მაჩვენებელთა ამაღლებაში;

6) შემოწმებამ გამოარკვია სავაჭრო-კოოპერატიული კადრების დანაგვიანება კლასობრივად უცხო ელემენტებით (10,8 პროც.). პარტიულ-კომკავშირული ფენა მცირეა;

7) გაფლანგველებთან და მტაცებლობასთან ბრძოლა არასაკმაოდ არის გაშლილი.

საკოლმეურნეო ვაჭრობა თუმცა საკმაოდ ფართოდ, გავითარდა, მაგრამ მასაც აქვს მთელი რიგი მნიშვნელოვანი დეფექტები: საკოლმეურნეო ბაზრები ქალაქებში უზრუნველყოფილი არ არიან აუცილებელი შენობებით, სადგომებით პირუტყვისათვის და სხვ. ბაზრების სანიტარული მდგომარეობა მეტად არადამაკმაყოფილებელია. ბაზრებზე ადგილი აქვს სპეკულაციას პროდუქტების „საკომისიოდ" გაყიდვის სახით და სხვ.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ბიურომ 1933 წ. 15 აგვისტოს დაწვრილებით განიხილა საქონელთბრუნვის საკითხები და გამოიტანა მთელი რიგი პრაქტიკული გადაწყვეტილებანი მისი შემდგომი გაშლისათვის.

ამის შემდეგ გვაქვს ერთგვარი წინსვლა, მაგრამ ეს ძლიერ ცოტაა.

მსუბუქი და კვების მრეწველობის, აგრეთვე ფართო მოხმარების საგნების მზარდი წარმოება ქალაქისა და საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის სწრაფ ზრდასთან ერთად,—უფრო და უფრო გაზრდილ მოთხოვნებს უდგენს სამომხმარებლო კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის ყველა რგოლის მუშაობის ხარისხს.

ჩვენი გადაუდებელი ამოცანებია:

1) სამომხმარებლო კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის საწყობებსა და ბაზებში ჩასაქონლების სრული ლიკვიდაცია;

2) ბრუნვის ხარჯების შემცირება დაწესებულ ლიმიტამდე;

3) საუკეთესო მუშაკების გადაყვანა საწყობებში და დახლთან, ხელფასის გათანაბრების მოსპობა, გაფლანგველებთან და მტაცებლობასთან დაუნდობელი ბრძოლის ბოლომდე მიყვანა;

4) საქონლის გამტარებელი ქსელის გამაგრება მტკიცე და შემოწმებული კადრებით.

საქონლის ბრუნვის გაშლის, ამ დარგში მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საკითხები ჩვენი პარტორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იქნეს მოქცეული.

კოოპერაციასა და სახელმწიფო ვაჭრობაში მუშაობა —ეს არის მუშაობა ფრიად მნიშვნელოვან, უაღრესად საპასუხისმგებლო და საბრძოლო უბანზე, და ჩვენ აქ უნდა ვიბრძოლოთ შეუპოვრად, ბოლშევიკურად.

ამხ. სტალინი აღნიშნავდა, რომ საქონელთბრუნვის გადაწყვეტა არც იმდენად ადვილია, მაგრამ უფრო ადვილია, ვიდრე ის საკითხები, რომლებიც უკვე გადაჭრილია, და გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა ქვეყანა მათ გადაწყვეტს.

აქ, ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა ყრილობაზე, უნდა აღვუთქვათ ჩვენი პარტიის ბელადს, რომ ჩვენი შემდგომი მუშაობით უზრუნველყოფთ ამ საკითხთა წარმატებით გადაჭრას მუშაობის ამ უბანზეც.

ნაციონალურ-კულტურული მშენებლობა

ჩვენმა წარმატებებმა ა.კ.ს.ფ.ს. რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციის საქმეში, კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საქმეში, ამიერ-კავკასიის მშრომელთა მატერიალურ კეთილდღეობის განუწყვეტელმა ზრდამ ხელი შეუწყო ნაციონალურ-კულტურული მშენებლობის გაშლას, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის უდიდესი განვითარებას საბჭოთა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში.

დაწყებითი და საშუალო სკოლა

1933 წელს ჩვენ ძირითადად დავამთავრეთ საყოველთაო დაწყებითი სწავლება საბჭოთა ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკაში.

პირველი ხუთწლედის დამდეგს (1928—29 წ.) ჩვენს სკოლებში სწავლობდა 565.244 ბავში, ხოლო 1933 წელს—1.291.222 ბავში.

დაწყებითი და საშუალო სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტი სოფლად პირველი ხუთწლედის გამავლობაში გაიზარდა 242,9 პროც.

ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გოგონების (განსაკუთრებით თურქი გოგონების ჩაბმას სკოლებში. 1928 წლიდან 1933 წლამდე მოსწავლე ქალების რიცხვი 191,158-დან 461,470-დე გაიზარდა.

წელს ჩვენ საგრძნობ წარმატებებს მივაღწიეთ სტაბილური სახელმძღვანელოების შექმნის შესახებ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების რეალიზაციის საქმეში. თუმცა, მართალია, მათი გამოცემის დროს თავიდან ვერ ავიცილეთ ცალკე შეცდომები, რომლებზედაც მე აქ აღარ ვილაპარაკებ.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა მასწავლებლების მატერიალური მდგომარეობა (შრომის ხელფასის ზრდა, მომარაგება), თუმცა უნდა ითქვას, რომ ჩვენი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ მასწავლებლებს.

საჭიროა გადაჭრით გავაუმჯობესოთ სკოლის პარტიული ხელმძღვანელობა. **ჩვენი პარტიული ორგანიზაციები სკოლას უნდა ხელმძღვანელობდნენ ისევე კონკრეტულად და ოპერატიულად, როგორც ამ ხელმძღვანელობას ისინი ახორციელებენ სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა სამეურნეო დარგში.**

უმაღლესი სკოლა

არანაკლებ წარმატებებს მივაღწიეთ ჩვენ ამიერ-კავკასიაში უმაღლესი განათლების გავითარების ხაზით. მხარეში, სადაც რევოლუციამდე უმაღლესი სკოლა, ქალთა კერძო კურსების გარდა (ტფილისში), სრულებით არ არსებობდა, 1933 წლისათვის შექმნილია 45 უმაღლესი ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო, საექიმო და პედაგოგიური სასწავლებელი 31.225 სტუდენტით, რომელთაგან 51 პროც. მუშაა.

ჩვენ საგრძნობი მუშაობა ჩავატარეთ უმაღლესი სკოლის შესახებ საკავშირო ცაკის 1932 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილების რეალიზაციისათვის, რის შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა სასწავლო მუშაობის ხარისხი.

პარტიის სამხარეო კომიტეტმა გამოასწორა ძველი ხელმძღვანელობის შეცდომები, რაც გამოიხატებოდა მხარის უმაღლესი განათლების მთელი სისტემის ცენტრალიზაციაში, და საკ.კ.პ. (ბ), ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის გადაწყვეტილების თანახმად უმაღლესი განათლების სისტემის ხელმძღვანელობა ძირითადად გადაეცა რესპუბლიკებს, რითაც უმაღლესი სასწავლებლები დაუახლოვა წარმოებას.

ყოველწლიურად იზრდება ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლების მიერ გამოშვებულ სპეციალისტთა რიცხვი. 1928 წლიდან 1932 წლამდე საბჭოთა ამიერ-კავკასიის უმაღლესმა სასწავლებლებმა და უმაღლეს ტექნიკურმა სასწავლებლებმა გამოუშვეს 11.650 სპეციალისტი, მათ შორის 3,731 ინჟინერი. 2.004 აგრონომი, 1.693 ექიმი, 1.844 პედაგოგი. 1933 წელს გამოშვებული იქნა 2.500 სპეციალისტი.

მაგრამ ჩვენი უმაღლეს სასწავლებლების და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლების მიერ გამოშვებულ სპეციალისტების მომზადების ხარისხი და ცოდნის დონე ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის დამაკმაყოფილებელი.

(გაგრძელება იხ. მე-5 გვ.)

ამხ. ლ. ბერიას მოხსენება

სამეცნიერო-თეორიული ფრონტი

ხანგარიშო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა მხარის სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულებათა ქსელი.

თუ 1928 წელს ჩვენ გვქონდა მხოლოდ ერთი ინსტიტუტი, რომელიც მეცნიერულად ამუშავებდა ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის პრობლემებს, 1933 წელს ჩვენ უკვე გვაქვს 9 ასეთი ინსტიტუტი. მძიმე მრეწველობის სისტემაში 1929 წელს ჩვენ გვქონდა მხოლოდ ინსტიტუტი, 1933 წელს უკვე გვაქვს 8.

მთელ რიგ სამეცნიერო საკვლევაძიებო ინსტიტუტებში დაამუშავეს მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელთა დიდი ნაწილი უკვე განხორციელებულია ამიერ-კავკასიის მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში.

ასე, მაგალითად, ამიერ-კავკასიის მებამბეობის ინსტიტუტმა თავისი მუშაობის შედეგად მიაღწია მთელ რიგ ახალი ხარისხის ბამბის შემოღებას ამიერ-კავკასიაში, რომელთაც დიდი მოსავლიანობა და გრძელი ბოჭკოვანობა ახასიათებს.

ამიერ-კავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტმა ბეტონის შემადგენლობის მოხერხებულად შერჩევის მეთოდით შესძლო ბეტონის ხარისხის ამაღლება და მისი ღირებულების შემცირება. ამიერ-კავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტის წარმატებანი სეისმიურად გამძლე მშენებლობის დარგში იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატმა დახურა სეისმიურად გამძლე მშენებლობის განყოფილებები საბჭოთა კავშირის ყველა სხვა სამეცნიერო-საკვლევაძიებო ინსტიტუტებში და ამ პრობლემების დამუშავება მიანდო მხოლოდ და მხოლოდ ამიერ-კავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტს.

სერიოზულ შედეგებს მიაღწიეს აგრეთვე ჩაის ინსტიტუტმა და გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტმა.

მაგრამ ამ ინსტიტუტების კავშირი ჩვენს მიმდინარე პრაქტიკულ მუშაობასთან სახალხო მეურნეობის დარგში ჯერ კიდევ არაა საკმარისი.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერებისათვის ბრძოლაშიც. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შეიქმნა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტები საქართველოში, აზერბეიჯანში და სომხეთში.

ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ეს ორგანიზაციები გადავაქციოთ არა მარტო სასწავლებლებად, არამედ მარქსისტულ-ლენინური სამეცნიერო-საკვლევაძიებო მუშაობის თავმოყრის ცენტრადაც.

ამხ. სტალინის წერილმა „პროლეტარული რევოლუციის" რედაქციის მიმართ უდიდესი როლი ითამაშა ბრძოლის გაძლიერებაში იდეოლოგიურ ფრონტზე, ანტილენინური თეორიების, კონტრრევოლუციური ტროცკისტული და ნაციონალისტური დებულებების გამომჟღავნებაში, რომლებიც გაიპარნენ ჩვენს სამეცნიერო-თეორეტიულ და პარტიულ ლიტერატურაში.

ამხ. სტალინის მიერ მოცემულ მითითებათა რეალიზაციის მიზნით ჩვენ გადავათვალიერეთ თითქმის მთელი გამოსული ბეჭდვითი პროდუქცია, გადავსინჯეთ და ხარისხობრივად გავაუმჯობესეთ უმაღლეს სასწავლებლების და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლების სოციალურ-ეკონომიურ კათედრების გამგეთა და საზოგადოებრივ მეცნიერების მასწავლებელთა შემადგენლობა. შემოწმებულია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების თარგმანი, ამასთანავე აღმოჩენილი იქნა უხეში შეცდომები პირველ რიგში „ლენინიზმის საკითხების" და ამხ. სტალინის მთელ რიგ სხვა ნაშრომების თარგმანში.

ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში გამოცემული იქნა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მრავალი მნიშვნელოვანი ნაშრომი.

მაგრამ ჩვენი სამეცნიერო-საკვლევაძიებო მუშაობა განსაკუთრებით ჩამორჩენილია პარტიის და ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობის ისტორიის დარგში.

ბოლშევიზმის და ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესახებ დაწერილ ნაშრომებში ჩვენ დღემდე გვაქვს მთელი რიგი უხეში შეცდომები, ფაქტები, ანტილენინური დებულებების გაპარებისა ჩვენს სამეცნიერო თეორიულ ლიტერატურაში.

პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობის ისტორია, ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორია ყველა ჩვენს სამ რესპუბლიკაში არასაკმაოდ შუქდება. მე უკვე აღვნიშნე საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე, რომ რევოლუციური მოძრაობის და ბოლშევიკური ორგანიზაციების მთელი ისტორია კავკასიაში განუყრელად დაკავშირებულია ამხ. სტალინის სახელთან (ტაში).

მიუხედავად ამისა, ყველაფერი, რაც დაიწერა დღემდე ამიერ-კავკასიაში ბოლშევიზმის ისტორიიდან, ოდნავადაც არ გამოხატავს ამხ. სტალინის ნამდვილ ხელმძღვანელ როლს ჩვენში ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციისა და განვითარებაში.

პარტიის ისტორიის დამახინჯებას არავის დავანებებთ, რა ხასიათისა და სტილისაც არ უნდა იყოს ის.

სხვამ ვინ, თუ არა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა პირველ რიგში მთელი სისრულით უნდა მოგვცეს ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობის ნამდვილი სურათი, ბოლშევიკური ორგანიზაციების და იმ გიგანტური როლის ნამდვილი ისტორია, რომელიც ეკუთვნის ამხ. სტალინს, როგორც მამამთავარს, ორგანიზატორსა და ხელმძღვანელს. (ტაში).

ამის შესახებ ჩვენ მაგრად ვთქვით საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე და ვიმეორებთ აქ, ამიერ-კავკასიის ყრილობაზე.

ჩვენი ამოცანა სამეცნიერო-თეორიულ მუშაობაში მდგომარეობს იმაში, რათა კიდევ უფრო გავამახვილოთ პარტიული ორგანიზაციების და განსაკუთრებით იმ ამხანაგების სიფხიზლე, რომელნიც უშუალოდ მუშაობენ იდეოლოგიურ ფრონტზე.

საჭიროა უახლოეს ვადაში დამთავრებულ იქნეს ნაციონალურ ენებზე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ყველა ძირითად ნაშრომების გამოცემა. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის ცალკე ბროშურების გამოცემას მასობრივი მკითხველისათვის.

საჭიროა ისე გარდავქმნათ ჩვენს მიერ მოწყობილ სტალინის ინსტიტუტის მუშაობა, რათა ის ვაქციოთ საქართველოში და ამიერ-კავკასიაში ბოლშევიზმისა და რევოლუციური მოძრაობის, ისტორიის საკითხების შემსწავლელ და დამმუშავებლად, ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელი როლის შემსწავლელ ცენტრად (ტაში).

ამ ინსტიტუტის მუშაობის წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად შევძლებთ მის ირგვლივ როგორც ძველი, ისე ახალი კარგი მარქსისტ-ისტორიკოსების, დარაზმვას და იმ აქტიურ მონაწილეობაზე, რომელსაც მიიღებს ინსტიტუტის მუშაობაში ბაქოს ორგანიზაცია. **სახელდობრ ბაქო ხომ ამხ. სტალინმა იქ ორი წლის მუშაობის შედეგად აქცია ბოლშევიზმის ციტადელად კავკასიაში. ეს განსაზღვრავს ბაქოს ორგანიზაციის როლს ამხ. სტალინის შესახებ ისტორიული მასალების დამუშავებაში.**

ბეჭდვითი სიტყვა

გავლილ სამ წელიწადს ახასიათებს ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის, პირველ რიგში, გაზეთების საგრძნობი რიცხვობრივი და ხარისხობრივი ზრდა.

თუ 1930 წელს ჩვენ სულ ამიერ-კავკასიაში გვქონდა 49 გაზეთი ერთდროული ტირაჟით 765 ათასი ეგზემპლიარის რაოდენობით, ამჟამად გვაქვს 355 გაზეთი, მათი ტირაჟით 1.268 ათასი ეგზემპლიარს უდრის.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივა იმის შესახებ, რომ თვითეულ რაიონს ჰქონდეს თავისი გაზეთი, ჩვენს მიერ ძირითადად შესრულებულია. გარდა ამისა, უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში ჩვენ დავაარსეთ გაზეთი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების თითქმის ყველა პოლიტგანყოფილებაში. (87 პოლიტგანყოფილების გაზეთი).

უკანასკნელ წლებში ახლად დაარსებულ გაზეთების უმეტესი ნაწილი გამოდის ნაციონალურ ენებზე.

თუ 1930 წელს ამიერ-კავკასიის ა.ს.ს. რესპუბლიკაში თურქულ ენაზე ჩვენ გვქონდა სულ 9 გაზეთი, ამჟამად გვაქვს 111 გაზეთი. 11 გაზეთის ნაცვლად, რომელიც 1930 წელს გამოდიოდა სომხურ ენაზე, ჩვენ გვაქვს 55, ქართულ ენაზე გამოდის 119 გაზეთი, მაშინ, როდესაც 1930 წელს გამოდიოდა 13. ამავე წლების განმავლობაში ჩვენ გამოვეცით გაზეთები ისეთ ენებზე, რომლებზედაც არასოდეს წინად გაზეთები არ გამოდიოდა—მეგრულ, ქურთულ, ავარულ, ტატურ, ტალიშურ და ასირიულ ენებზე.

მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ ჩვენ აგრეთვე ამ წლების განმავლობაში წიგნის პროდუქციის გამოშვების დარგში. 1933 წელს ამიერ-კავკასიაში გამოცემული წიგნების ტირაჟი უდრიდა 13.557.000 ეგზემპლიარს, ხოლო 1933 წელს ავიდა 20.435 ათას ეგზემპლიარამდე.

მასობრივი პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა

ამიერ-კავკასია არა მარტო რევოლუციამდე, არამედ მენშევიკურ-დაშნაკურ და მუსავატურ ბატონობის პერიოდშიაც წარმოადგენდა წერა-კითხვის თითქმის სრულიად უცოდინარობის ქვეყანას. საქართველოში წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა აღწევდა 80 პროცენტამდე, ხოლო აზერბეიჯანში 90,7 პროცენტამდე.

წერა-კითხვის მცოდნეობამ აზერბეიჯანში 1933 წელს მიაღწია 78 პროცენტამდე, საქართველოში 87 პროცენტამდე, სომხეთში 95 პროცენტს. მიუხედავად ამისა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ტემპები და ამ მუშაობის ხარისხი უნდა ჩაითვალოს არადამაკმაყოფილებლად.

ჩვენ ვერ შევასრულეთ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივა საქართველოსა და სომხეთში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დამთავრების შესახებ 1932 წელს, ხოლო აზერბეიჯანში—1933 წელს. **ჩვენ მოვალენი ვართ დავამთავროთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მხარეში 1934 წელს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრას ნაციონალურ უმცირესობათა და ქალთა შორის, განსაკუთრებით თურქ ქალთა შორის.**

მხატვრული ლიტერატურა და ხელოვნება

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ნაციონალურ-კულტურული მშენებლობის ზრდის ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს უკანასკნელ წლებში ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური მხატვრული ლიტერატურის და ხელოვნების განვითარება.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებამ შექმნა ყველა აუცილებელი პირობა ლიტერატურის და ხელოვნების დარგში მომუშავე ჩვენი ეროვნული კადრების შემოქმედებითი ზრდისათვის.

უკანასკნელ პერიოდში თვალსაჩინოდ გაჯანსაღდა ვითარება მხარის სალიტერატურო ორგანიზაციებში; მაგრამ დღემდის კიდევ მოიპოვება ჯგუფობრიობის ელემენტები საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის სალიტერატურო ორგანიზაციებში. ჩვენი საბჭოთა მწერლების მთელ რიგ მხატვრულ ნაწარმოებებში ადგილი აქვთ ნაციონალიზმის გამოხატულების ფაქტებს.

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ აუცილებელია პარტიული სიფხიზლის გაძლიერება მუშაობის ამ უბანზეც.

ჩვენს მხარეში ნაციონალური კულტურის ზრდის ერთ-ერთი მკაფიო მაჩვენებელია წამყვანი თეატრების გამტკიცება ჩვენს რესპუბლიკებში უკანასკნელ დროს.

იზრდება ხელოვნების სხვა დარგებიც — მუსიკა, კინო, სახვითი ხელოვნება.

ამგვარად, უკანასკნელ წლებში ნაციონალური სკოლის, უმაღლესი სასწავლებლების, ბეჭდვითი სიტყვის ლიტერატურის, ხელოვნების განვითარება გვიჩვენებს, რომ ჩვენში ადგილი აქვს სერიოზულ მიღწევებს ნაციონალურ-კულტურული მშენებლობის ფრონტზე. მაგრამ მუშაობის ამ დარგში ჩვენ ისევ ჩამოვრჩებით, სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკას, იმ წარმატებებს და მიღწევებს, რომლებიც გვაქვს მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დარგში.

უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ამოცანას ნაციონალურ-კულტურული მშენებლობის დარგში წარმოადგენს ბრძოლის გაძლიერება ნაციონალიზმთან და ნაციონალ-უკლონიზმთან. ამიერ-კავკასიაში ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გატარების შედეგად, ჩვენ ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით გავანადგურეთ ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და ნაციონალ-უკლონიზმი. **ჩვენს პირობებში მთავარ საფრთხედ კვლავ რჩება დიდმპყრობელური შოვინიზმი.**

მაგრამ, ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით, ადგილი აქვს ნაციონალური ელემენტების და ნაციონალისტური განწყობილების ერთგვარ გამოცოცხლებას ჩვენი ინტელიგენციის ცალკე ჯგუფებში ადგილი აქვს ცდებს გამოიყენონ ლოზუნგი, — ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური, კულტურა — ბურჟუაზიულ ნაციონალიზმის ინტერესებისათვის. ამაზე ლაპარაკი იყო რესპუბლიკურ ყრილობებზე.

ჩვენს შემდგომ მუშაობაში უნდა გავითვალისწინოთ უკრაინის მაგალითები, სადაც ნაციონალისტურმა ელემენტებმა კულტურული და სამეურნეო მშენებლობის მთელ რიგ უბნებზე, უკრაინის პარტიული ორგანიზაციის სიფხიზლის შესუსტების გამო, შესძლეს გაეშალათ მავნებლური მუშაობა და პარტიის რიგებში შეპარვაც კი.

ამიტომ აუცილებელია მოცემულ ეტაპზე კიდევ უფრო ძლიერ გავშალოთ ბრძოლა ყველა სახის ადგილობრივ ნაციონალიზმთან, გავშალოთ მუშაობა მასების ინტერნაციონალური აღზრდისათვის ჩვენი ინტელიგენციის, როგორც ქართული, ისე თურქული და სომხური ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი უკვე ჩაება სოციალისტურ მშენებლობაში. მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო ჯგუფი კიდევ ცდილობდა მავნებლობა გაეწია და საქმე გაეფუჭებინა. იგი განადგურებულია. ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა გაიარეს ნაციონალიზმთან და შოვინიზმთან ბრძოლის მაგარი სკოლა და არაერთხელ დაამტკიცეს — თუ როგორ მაღლა უჭირავთ მათ ლენინის და სტალინის დროშა ნაციონალურ საკითხში. თავის შეურიგებლობას და პრინციპიალობას ამ საკითხში ისინი შემდგომაც დაამტკიცებენ. აუცილებელია ჩვენი კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე გავამტკიცოთ ინტერნაციონალური კავშირი, როგორც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მშრომელებს შორის, ისე ჩვენი რესპუბლიკის კავშირი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან და, უწინარეს ყოვლისა, რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკასთან.

უნდა ვისწავლოთ რუსული ენა, უნდა გავაუმჯობესოთ მისი სწავლის დაყენება ჩვენს სკოლაში. საქართველოში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა უკვე მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

ასევე უნდა მოვიქცეთ ამიერ-კავკასიის ფედერაციის სხვა რესპუბლიკებშიც — აზერბეიჯანსა და სომხეთში.

წითელი არმია

სანამ გადავიდოდე პარტიული მშენებლობის საკითხებზე, ნება მიბოძეთ რამდენიმე სიტყვით მაინც შევჩერდე ჩვენი სახელოვანი კავკასიის წითელდროშოვანი არმიის წარმატებებსა და მიღწევებზე.

უდაოდ დიდია ჩვენი კავკასიის არმიის წარმატებანი საბრძოლო მომზადების და პოლიტიკური სწავლების დარგში.

მაგრამ მიღწეული წარმატებებით ჩვენი წითელი არმია ვერავითარ შემთხვევაში ვერ დამშვიდდება და, არც უნდა დამშვიდდეს. გართულებული საერთაშორისო მდგომარეობა, დაჟინებით გვიკარნახებს, რომ საჭიროა სამხედრო ტექნიკის კიდევ უფრო დაუფლება და სამხედრო-პოლიტიკური სწავლების ყველა მაჩვენებლის შესრულება 1934 წელს ნიშანზე „ფრიად".

ამიერ-კავკასიის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მაქსიმალური დახმარება უნდა გაუწიონ ამ უმნიშვნელოვანეს მუშაობაში და ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი ჩვენი სახელოვანი კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

ამას წინათ დამთავრებული [illegible] არმიის პარტიული კონფერენცია [illegible] მუშაობის ყველა ნაკლის ბოლშევიკური თვითკრიტიკა, რომელიც ამ კონფერენციაზე გაიშალა, წარმოადგენს ჩვენი არმიის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულების საიმედო საწინდარს.

პარტმშენებლობა

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 31 წლის გადაწყვეტილების რეალიზაციისათვის ბრძოლაში პარტმშენებლობის ხაზით სამხარეო კომიტეტმა და რესპუბლიკათა ცენტრალურმა კომიტეტებმა მიაღწიეს არასაქმიანი პირობების ლიკვიდაციას, ორგანიზაციაში პარტიული დისციპლინის გაძლიერებას, ძალთა სწორად განაწილებას საქმიანობის ნიშნით.

გამტკიცდა პარტიული ხელმძღვანელობა ჩვენი მუშაობის ყველა უბანზე. საგრძნობლად გაძლიერდა ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების გავლენა მუშათა და კოლმეურნეთა ფართო მასებზე. გაიზარდა პარტიის ავტორიტეტი.

ამან, უწინარეს ყოვლისა, გავლენა მოახდინა პარტიის ზრდაზე.

პარტიაში მიღებულია 90.169 კაცი, აქედან: მუშა—52,162 (56,7 პროც.), კოლმეურნე—22.583 (24,4 პროც.), ქალები—11.099 (12,3 პროცენტი).

მე-7 ყრილობისათვის ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციის რიგებში ირიცხება 144.591 კომუნისტი. მათ შორის კანდიდატი — 43.201, აქედან: მუშა—59,8 პროც., კოლმეურნე 24 პროცენტი.

რიცხვობრივ ზრდასთან ერთად საგრძნობლად ამაღლდა ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური დონე.

მე-7 ყრილობისათვის პარტსწავლებაში ჩაბმულია ორგანიზაციის შემადგენლობის 78,7 პროცენტი, ე. ი. 89.401 კაცი, მაშინ, როდესაც 1930-31 წელს ჩაბმული იყო ორგანიზაციის არა უმეტეს 29 პროცენტისა.

მიმდინარე წლის პარტგანათლების ქსელში ჩაბმულია ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების საკანდიდატო შემადგენლობის 80.9 პრ.

პოლიტგანყოფილებათა დახმარებით მოხერხდა დამაკმაყოფილებლად დაგვეყენებინა მუშაობა მარქსისტულ-ლენინური აღზრდისათვის მთელ რიგ სასოფლო რაიონებში (ოზურგეთის, გურჯაანის, ლაგოდეხის, ლენინაქანის და სხვა რაიონები).

მაგრამ მთელ რიგ ადგილებში ჩვენ ჯერ კიდევ მთლიანად ვერ აღმოვფხვერით პარტიული მუშაობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის შეუთავსებლობა.

მთელ რიგ რაიონებში პარტიული სწავლა სავსებით ჩაშლილი აღმოჩნდა (სტეფანავანი, ყარადონლი, ონი, ბაღდათი).

1933 წელი წარმოადგენს ამიერ-კავკასიის რაიონების კადრების, როგორც სოციალისტური მშენებლობის საკვანძო პუნქტების, გადაჭრით შემოწმებისა და გამტკიცების წელს;

ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტმა და რესპუბლიკების ცენტრალურმა კომიტეტებმა ჩაატარეს, სასოფლო რაიონების ხელმძღვანელი კადრების გულდასმით გადასინჯვა, რასაც მოჰყვა რაიონების გამტკიცება შემოწმებული მუშაკებით.

რაიონების გამტკიცებისათვის მუშაობა დიფერენცირებულად წარმოებდა

განსაკუთრებით ხდებოდა კადრების შერჩევა სანაპირო, მებამბეობის და ჩაის რაიონებისათვის, რომლებიც საგრძნობად გამტკიცდა.

მუშაკთა ბევრად უფრო სუსტი შემადგენლობა გვყავს მეცხოველეობის რაიონებში. ამ უბანზე ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა გვმართებს.

1933 წელს სოფელმა მიიღო მტკიცე რაზმი სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა მუშაკების სახით. ამ სამუშაოზე ვაგზავნე 484 პერსონალურად შემოწმებული მუშაკი.

დიდი ყურადღება ექცეოდა ძირეული პარტიული რგოლების გამტკიცებას სოფლად.

მაგრამ ეს მუშაობა მიმდინარეობდა უმთავრესად მუშაკების სარაიონო ცენტრებიდან და ქალაქებიდან სოფლად სამუშაოდ გადაყვანის გზით.

სოფლად პარტიულ მუშაობაში ჩვენ ბევრი წარმატება გვაქვს.

ჩატარებულია დიდი მუშაობა საკოლმეურნეო საწარმოო უჯრედების შესაქმნელად და კომუნისტების უშუალოდ საკოლმეურნეო წარმოებაში გადასაყვანად.

სულ 1932 წელს კოლმეურნეობებში იყო 2.166 პარტიული რგოლი, ამჟამად კი ითვლება 5.237.

სოფლის კომუნისტების ავანგარდული როლი საკოლმეურნეო წარმოებაში თვალსაჩინოდ გაიზარდა.

შემდეგში საჭიროა განვაგრძოთ ქალაქიდან სოფლებში მუდმივ სამუშაოზე მუშაკების გაგზავნა. ხოლო ამავე დროს ყურადღება მივაქციოთ იმ ახალი აქტივის აღზრდასა, და დაწინაურებას, რომელიც აქ უკანასკნელ წლებში სოფლად გაიზარდა.

1931 წელს, როგორც ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, ამიერ-კავკასიის სამრეწველო საწარმოებში და მით უმეტეს სოფლად ძირეული, პარტიული რგოლი არსებითად არ იყო.

ამჟამად არ არის თითქმის არც ერთი სამრეწველო საწარმოო, სადაც არ იყოს ძირეული პარტიული რგოლი. ჩატარდა მუშაკთა შემადგენლობის გამტკიცება სამრეწველო რაიონებში.

1933 წლის დამლევს მარტო ბაქოში ჩვენ გვაქვს 2.639 პარტიული ჯგუფი, საქართველოში — 1653, სომხეთში—დაახლოებით 9000.

წარმოებაში პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ძირითად შინაარსად გადაიქცა საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის საკითხები.

პარტიულმა ორგანიზაციებმა გემო გაუგეს სამეურნეო საკითხების ტექნიკისათვის ბრძოლის საკითხებს. [illegible] არის მოწყობილი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა.

ტექნიკისათვის ბრძოლაში, სოცშეჯიბრების და დამკვრელობის გაშლის საფუძველზე საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში იზრდება ახალი კადრები ბოლშევიკებისა, რომლებიც იძლევიან მუშაობის მაღალ ნიმუშებს.

ამიერ-კავკასიის კომკავშირი წარმოადგენს პარტორგანიზაციის პირველ თანაშემწეს 1933 წლის წარმატებისათვის ბრძოლაში.

ამჟამად ამიერ-კავკასიის კომკავშირის ორგანიზაცია გაიზარდა 76.045 კაცით და მის რიგებში ითვლება 300 ათას კაცზე მეტი.

კომკავშირი აქტიურ მონაწილეობას იღებს მშენებლობისათვის ბრძოლაში, სამრეწველო-საფინანსო გეგმების შესრულებისა და კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო გამტკიცებისათვის ბრძოლაში.

კომკავშირის ბრიგადები და ცალკე კომკავშირელები გვიჩვენებენ მუშაობის ნიმუშებს ნავთის, ბამბის, ჩაის და სხვ. დარგების საწარმოო გეგმების შესრულების საქმეში.

ამასთან ერთად, კომკავშირის მუშაობაში მაინც არის ბევრი მნიშვნელოვანი დეფექტი და დეფექტების, შორის ძირითადად უნდა ჩაითვალოს სუსტი მუშაობა ორგანიზაციის წევრების პოლიტიკურად აღზრდის და მშრომელი ახალგაზრდობის მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში ჩაბმის ხაზით.

ჯერ კიდევ სუსტია პარტორგანიზაციების პრაქტიკული დახმარება კომკავშირის მიმართ.

ბოლშევიკური პრინციპულობა, პოლიტიკური სიმახვილე, ოპერატიულობა, კონკრეტულობა და მკაფიოება, დიდი გაქანება, ინიციატივა და თვითმოქმედება მუშაობაში, უაღრესი საქმიანობა, პასუხისმგებლობა და დისციპლინა, საქმის სწორად დაყენების უნარი, მისი ბოლომდე მიყვანის უნარი—აი, მუშაობის ის სტილი, მოსკოვის და ლენინგრადის ბოლშევიკების სტილი, ამხ. სტალინის სტილი, რომელსაც უნდა დაეუფლოს თვითეული ორგანიზაცია, თვითეული ხელმძღვანელი, თვითეული კომუნისტი, თვითეული კომკავშირელი და უპარტიო აქტივისტი.

დასკვნა

მე ვამთავრებ, ამხანაგებო!

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა შეასრულეს უდიდესი მუშაობა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წლის გადაწყვეტილებისა და ამხ. სტალინის მითითებათა განსახორციელებლად.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია გამტკიცდა პოლიტიკურად და მეურნეობრივად. ამას მან მიაღწია სამივე რესპუბლიკის ინიციატივისა და თვითმოქმედების ფართოდ გაშლის საფუძველზე.

პარტიის XVII ყრილობას ჩვენი [illegible] პარტიის მოწინავე რაზმებს შორის ჩვენ უკანასკნელები არ ვხვდებით.

განადგურებული და მოსპობილი არიან მუშათა კლასის ბოროტი მტრები — მენშევიკები, დაშნაკები, მუსავატელები და ყველა მათი დამქაშები. სამუდამოდ [illegible] ამიერ-კავკასიის ხალხთა ეროვნული მშვიდობიანობა და ამხანაგური [illegible] ფართოდ გაიშალა ჩვენი რესპუბლიკების მშრომელი მასების შემოქმედებითი ინიციატივა და თვითმოქმედება. ბოლშევიკური ტემპებით მიმდინარეობს მეფის ყოფილი ჩამორჩენილი, მტაცებლურად ექსპლოატირებული განაპირა კუთხის [illegible] გარდაქმნა. ამიერ-კავკასიის უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრენი გადადიან სოციალიზმის სამსახურში.

იზრდება ფაბრიკა-ქარხნები, ჰიდროსადგურები, ნავთის სარეწაოები, იზრდება ახალი ქალაქები, კურორტები.

ჩვენს სოფელში გამტკიცდა საკოლმეურნეო წყობილება. მაღალტემპიანი ტექნიკური კულტურები და კულტურული მეცხოველეობა — სოფლის მეურნეობის ზრდისა და აყვავების უმდიდრესი პერსპექტივაა.

ამიერ-კავკასია განვითარების გზაზეა. ამის საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს ჩვენ მიერ მოსკოვიდან ეს-ეს არის მიღებული წერილი ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანოს „პრავდას" 15 იანვრის ნომრიდან. მე წაგიკითხავთ ამონაწერებს ამ წერილიდან.

„პრავდა" წერს:

„დღეს იხსნება ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა პარტიული ყრილობა. ამიერ-კავკასია ხვდება XVII პარტიულ ყრილობას დიდი მიღწევებით. 1933 წ. ნავთის ამოღების, ჩაის და სხვ. გეგმები შესრულებულ იქნა. გადაჭარბებით შესრულებულია ბამბის ჩაბარების წლიური გეგმა.

პარტიული ორგანიზაცია იჩენს ხელმძღვანელობას და მუშაობას ახლებურად: კონკრეტულ-ოპერატიულად, სტალინურად და აღწევს დიდ წარმატებებს საწარმოო ძალთა განვითარებაში და ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გატარებაში. ებრძვის რა ყველა ოპორტუნისტებს, ნაციონალისტებს და შოვინისტებს.

ამიერ-კავკასიის ისტორია და მისი გამარჯვებანი თვით უკანასკნელ მიღწევებამდე განუყრელად დაკავშირებულია ამხ. სტალინის სახელთან" (ტაში).

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს ყურადღება ბევრ რამეს ავალებს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს. პირველ რიგში ეს გვავალებს, რომ კულტურულად ვიმუშაოთ, ვასრულოთ გეგმა თანაბრად წლის დასაწყისიდანვე. ჯერჯერობით ბაქოელები გეგმით გათვალისწინებული 58 ათასი ტონა ნავთის ნაცვლად იანვრის პირველ დღეებში იღებენ 45—50 ათას ტონას დღეღამეში. ხოლო დეკემბრის ტემპები უკვე საკმარისი არ არის. ვინაიდან ნავთის ამოღების 1934 წლის გეგმა გადიდებულია 22 მილიონ ტონამდე. **არ შეიძლება შეჩერება გამარჯვების გუშინდელ პოზიციებზე, რომლებიც დღეს უკვე საკმარისი არ არის.** ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის დირექტივებთან დაკავშირებით, ვინაიდან ბაქოელებმა არ შეასრულეს ნავთის ამოღების გეგმა, მათ ფეხზე დააყენეს მთელი პარტიული ორგანიზაცია, ეს ძალიან კარგია და მართებულია. თავიდანვე, **იანვრის პირველი დღეებიდანვე გეგმა უნდა სრულდებოდეს მთლიანად—არ უნდა იქნეს არავითარი დავალიანება შემდგომი თვეებისა და კვარტალებისათვის.** ბაქოელმა ბოლშევიკებმა, რომლებმაც უკანასკნელ ხანში გვიჩვენეს ოპერატიული მუშაობის ნიმუშები, თავიდანვე, წლის დასაწყისიდანვე, უნდა დანერგონ სარეწაოებზე, თვითეულ ჭაბურღილზე მუშაობის ახალი კულტურული სტილი და მიაღწიონ გეგმების შესრულებას აუცილებლად, რადგან არ უნდა დავუშვათ. **პირველ ყოვლისა უზრუნველყოფილ უნდა იქნას ნავთის ამოღების გეგმების შესრულება ეს არის ამოცანათა ამოცანა. ეს არის წარმატებათა საზომი, ახლებურად მუშაობის მაჩვენებელი. ამიერ-კავკასია საბჭოთა კავშირის მარგალიტია, მეორე ხუთწლედის მარგალიტი, იგი შეიცავს უამრავ განძს და კოლოსალურ შესაძლებლობებს.**

ამიერ-კავკასიის ხელუხლებელ სიმდიდრეთა გამოყენება სოციალისტურ მშენებლობაში — აი მეორე ხუთწლედის ამოცანა. აქ ყველაფერი თავის როლს თამაშობს. **ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა შარშან დაამტკიცეს, რომ მათ იციან ნავთის კოშკის დაკავშირება ბამბის ბუჩქთან, ციტრუსის ხეხილთან, ჩაის პლანტაციასთან, ჰიდროსადგურის მშენებლობასთან და კულტურის საერთო აღორძინებასთან.** ახლა ყველაფერი ეს მრავალჯერ უნდა გავამრავლოთ. მეორე ხუთწლედი ამიერ-კავკასიის წინაშე ახალ პერსპექტივებს შლის. ახალი ტყე ნავთის კოშკებისა, ნავთის ახალი რაიონები, ძველი რაიონების ექსპლოატაციის გაუმჯობესება. ბამბის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება, კოლხიდის ჭაობების დაშრობა, შავი ზღვის სანაპიროების აყვავებულ ბაღად გადაქცევა, რომლის მსგავსი არ [illegible] კალიფორნიაში, ახალი მძლავრი ჰიდროსადგურები, ნახშირი, ფერადი ლითონები, საკოლმეურნეო შეძლებული ცხოვრების ზრდა, მშრომელთა კეთილდღეობის საერთო გაუმჯობესება, ქალაქების გარდაქმნა, მშვიდობიანობა და ძმობა, მრავალ ერიან ამიერ-კავკასიის მშრომელთა ურთიერთ დახმარება კულტურის არნახული ზრდის ფონზე,—კულტურის, სოციალისტურის შინაარსით და ნაციონალურის ფორმით,—კადრების შემზადება და ბოლშევიკურად აღზრდა—აი საბჭოთა ამიერ-კავკასიის შემდგომი აყვავების გზები. **პარტიული ყრილობა ბოლშევიკურ ცეცხლს დაანთებს ამიერ-კავკასიის ამხანაგების გულში მეორე ხუთწლედის ამ უდიდესი ისტორიული ამოცანების შესასრულებლად.**

ბოლშევიკური სალამი მრავალ ერიან საბჭოთა ამიერ-კავკასიის მშრომელებს" (ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგებო, ჩვენ შემდეგში კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მივაღწევთ. ჩვენ წარმატებებს მივაღწევთ იმიტომ, რომ მტკიცედ ვიცით: **დღემდე მოპოვებული მხოლოდ დასაწყისია ჩვენი მუშაობის. ჩვენ მხოლოდ პირველი ნაბიჯი გადავდგით იმ ამოცანების შესრულების გზაზე, რომლებიც ჩვენს წინაშე დააყენა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ 1934 წელში.**

ეს თვითკრიტიკული მიდგომა ჩვენი გამარჯვებებისადმი, რომლიც წითელი ზოლივით იყო გატარებული ყველა სამი რესპუბლიკური ყრილობის მუშაობაში. საკუთარი დეფექტების ეს წინწამოწევა გვაძლევს რწმენას, რომ მთელი რიგი დაპირებები, რომლებიც ჩვენ მივეცით ყრილობებზე ჩვენს ცენტრალურ კომიტეტს და პარტიის ბელადს ამხ. სტალინს უეჭველად შესრულებული იქნება. **იმიტომ, რომ შეცდომების და ნაკლის გამოსწორება შეუძლიათ მხოლოდ იმათ, ვინც ხედავს მათ, ვინც იცის მათი მიზეზი, ვისაც არ ახასიათებს თავბრუდახვევა წარმატებებისაგან.**

ვფიქრობ რომ შემიძლია ყველა თქვენგანის სახელით, აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის 160 ათასი ბოლშევიკის სახელით, საბჭოთა ამიერ-კავკასიის მუშების, კოლმეურნეების და ყველა პატიოსან მშრომელთა მილიონიან მასების სახელით აქ, ამიერ-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციების მე-7 ყრილობაზე ერთხელ კიდევ ვთქვა:

22 მილიონი ტონა ნავთი, 850 000 ტონა მარგანეცი, 160.000 ტონა ბამბა, ნახევარი მილიარდი ცალი ციტრუსი—მიეცემა საბჭოების ქვეყანას დაწესებულ ვადებში, ჩაის, თამბაქოს, ვენახის გეგმები შესრულებული იქნება, ქალაქად და სოფლად მუშაობის რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები მიღწეული იქნება

საკავშირო კ. პ. (ბ) მომავალი მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებანი ერთგულ და მტკიცე გამტარებლებს ჰპოვებენ ამიერ-კავკასიაში.

ამის საწინდარი იმაშია, რომ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა უკანასკნელი ორნახევარი წლის განმავლობაში შესძლეს გადაჭრით გაეუმჯობესებინათ ყველა მაჩვენებლების მიხედვით ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებოდა ამიერ-კავკასია 1931 წელს და რომელიც ჩაწერილია საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ცნობილ გადაწყვეტილებაში.

ამის საწინდარი იმაშია, რომ ახლა ამიერ-კავკასიას ხელმძღვანელობს პარტიის და მისი ცენტრალური კომიტეტის ნებისყოფა **(ტაში).** ახლა ჩვენ არა გვაქვს ის სამარცხვინო მოვლენა, რომელიც ჩაისახა ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების მე-6 ყრილობაზე, როდესაც სამხარეო კომიტეტის ბიუროს წევრების თვითეული ჯგუფი—აზერბეიჯანელები, ქართველები, სომხები—ხმას აძლევდა თავის ვიწრო რესპუბლიკურ ინტერესებს და მხედველობაში არ იღებდა მთელი მხარის ინტერესებს. ეს დაბნეულობა ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში ძირფესვიანად აღმოფხვრილია. ახლა ჩვენ გვაქვს ერთიანი ნებისყოფა სამხარეო კომიტეტისა, რომელიც წარმოადგენს გამარჯვებათა შტაბს საკავშირო კომუნისტური პარტიის — ბოლშევიკების—მუშაობისა ამიერ-კავკასიის უბანზე **(ტაში).**

გაუმარჯოს საკ. კ. პ. (ბ) ცეკას!

გაუმარჯოს დიად სტალინს!

(ხანგრძლივი ტაში.)

დელეგატები ფეხზე ადგომით ესალმებიან ამხ. ბერიას.

ტრაქტორების რემონტი 15 იანვრისათვის

(საქ. ტრაქტორცენტრის ცნობების მიხედვით)

15 იანვრისათვის საქართველოში სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს შეკეთებული ქონდათ სულ 240 ტრაქტორი, შესრულებული იყო გეგმის 40 პროცენტი. აქედან კაპიტალურად შეკეთებული იყო 72 ტრაქტორი (40 პროც.). საშუალოდ —119 ტრაქტორი (52,9 პროც.) და მიმდინარედ 49 ტრაქტორი. 33,1 პროც. ტრაქტორების საზამთრო რემონტის მიმდინარეობა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს.

სამ.-სატრ. სადგურს შეკეთებული ქონდა

ახალქალაქის	15	ტრაქტორი	68,3
აგარის	9	„	28,1
გორის	16	„	57,1
კასპის	4	„	22,2
ბორჩალოს	2	„	3,8
ყარიას	4	„	16,7
საგარეჯოს	8	„	36,4
გურჯაანის	13	„	50
წნორის	29	„	54,7
ლაგოდეხის	20	„	66,7
ყვარელის	9	„	90
თელავის	11	„	68,7
ზესტაფონის	8	„	61,5
ქუთაისის	4	„	19
ხონის	8	„	100
ამტრედიის	7	„	36,8
აბაშის	5	„	15,1
მარტვილის	[illegible]	„	57,1
სენაკის	7	„	36,8
ხობის	6	„	50
ზუგდიდის	2	„	9,1
წალენჯიხის	5	„	83,3
ლანჩხუთის	14	„	56
ოზურგეთის	9	„	100
გალის	9	„	40,9
ოჩამჩირის	8	„	19,6

ბათუმის სამანქანო-სატრაქტორო-დან 15 იანვარს კიდევ არ იყო მიღებული ცნობა ტრაქტორების რემონტის შესახებ.

ამრიგად ტრაქტორების შეკეთების მხრივ ყველაზე წინ არიან ხონის და ოზურგეთის სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, რომლებმაც რემონტის გეგმა ვადამდე შეასრულეს. ტრაქტორების შეკეთება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს აგრეთვე ყვარლის, წალენჯიხის, თელავის, ახალქალაქის სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში. სამარცხვინოდ ჩამორჩენილი არიან ბორჩალოს, ზუგდიდის, აბაშის, ქუთაისის, ოჩამჩირის, აგარის, ყარიას, კასპის სამანქანო სატრაქტორო სადგურები, რომლებსაც ჯერ სარემონტო გეგმის მეოთხედიც კი არ აქვთ შესრულებული.

საზამთრო რემონტის ვადის დამთავრებამდე ცოტა დრო დარჩა. საჭიროა ჩამორჩენილმა სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა დაჩქარებით გააძლიერონ რემონტის ტემპები, რომ საგაზაფხულო თესვისათვის თვითეული ტრაქტორი მაღალ ხარისხოვნად იქნას შეკეთებული და უზრუნველყოფილი იქნას საგაზაფხულო თესვის ვადაზე და წარმატებით დამთავრება.

ინგლისის შუბლმაგრებიც კი გმობენ ფაშისტების მოქმედებას

კონსერვატიული პრესა დიმიტროვის შესახებ

ლონდონი, 18 იანვარი. კონსერვატიული პრესაც კი აღშფოთებულია გამართლებულ კომუნისტების განთავისუფლების დაგვიანებით. ეხებ რა გერმანიის განცხადებებს იმის შესახებ, რომ დიმიტროვი დატოვებულია საპატიმროში, ვინაიდან თუ იგი გერმანიიდან გავიდა, დაიწყებს პროპაგანდას ნაციონალ-სოციალისტური მთავრობის წინააღმდეგ, „ტაიმსი" წერს:

„ეს არის ყველაზე უფრო ბეცი პოლიტიკა, რომლის წარმოდგენაც კი შეიძლება. როგორი ნიჭის პატრონიც უნდა იყოს დიმიტროვი, როგორც აგიტატორი, იგი ვერ გაუტეხს სახელს გერმანიას მთელი მსოფლიოს თვალში იმაზე მეტად, როგორადაც თვითონ გერმანიის ხელისუფლება, როცა იგი საპატიმროში აჩერებს ადამიანებს მას შემდეგ, რაც დადასტურდა მათი უდანაშაულობა". „დეილი ჰერალდის" სიტყვით, ნეირატი და გებელსი მოითხოვენ ბულგარელების დაუყოვნებლივ გაძევებას. გერინგი, რომელიც „გონება დაკარგვამდე გააბრაზა იმ ადამიანმა, რომლის მიუკერძოებელმა სიმამაცემ აიძულა იგი საჯაროდ გამოეფინა თავისი ველური სიბრაზე", მოითხოვს დიმიტროვის დასჯას მისი „საქციელისათვის". გაზეთის სიტყვით, გერინგი იმუქრება, რომ იგი ღალატად ჩათვლის დიმიტროვისადმი „რბილად მოპყრობას". (ადს).

ერიო საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ

პარიზი, 19 იანვარი. დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიაში ერიო გამოვიდა სიტყვით საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ. მოიყვანა რა ნაწყვეტები ამხ. მოლოტოვის მოხსენებიდან, ერიომ აღნიშნა, რომ შესაძლებელი და აუცილებელია საბჭოთა კავშირის უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ერთა ლიგასთან. ლიგაში საბჭოთა კავშირის შესვლაზე კი ერიომ განაცხადა: საბჭოთა კავშირში ჩემი ყოფნის დროს მივიღე შთაბეჭდილება, რომ ერთა ლიგის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის იდეა სწრაფად იკაფავს გზას საბჭოთა პოლიტიკურ წრეებში. ერიოს სიტყვით, ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის შესვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის წყნარ ოკეანეში, სადაც ამშვიდობო პოლიტიკას ყველაზე მეტი საფრთხე მოელის (ადს).

კონტროლი სასურსათო მომარაგებაზე

ლონდონი, 18 იანვარი. „დეილი ჰერალდი" აღნიშნავს, რომ სასურსათო მომარაგების კონტროლის ღონისძიების გატარებასთან დაკავშირებით აუცილებელია ფასების მატება. შემუშავებულია გეგმა, რომლის თანახმად, ფაქტიურად მოეწყობა სასურსათო სამინისტრო თითქმის შეუზღუდავი რწმუნებებით. გეგმის განხორციელებისათვის შემდგომ ნაბიჯს წარმოადგენს კონტროლი, მოწყობა შაქრის მრეწველობაში შაქრის წარმოების ოდენობის გამოსარკვევად. ამჟამად ადგენენ სა[illegible] წარმოების და შემოზიდული ფქვილის, აგრეთვე კარტოფილის გასაღებაზე კონტროლის დაწესების გეგმას. რეგულირებულ იქნება აგრეთვე ჩაის და კაკაოს გასაღება ფასების მაღალ საფეხურზე შენარჩუნების მიზნით. კოლონიების მინისტრი კენლიფ ლისტერი იწვევს კონფერენციას, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი მეოთხედ მილიონ ტონა კაკაოს მოსპობის შესახებ ბაზარზე არსებული ფასების შენარჩუნების მიზნით. (ადს).

ნაციონალ-სოციალისტური ტერორი ავსტრიაში

ვენა, 19 იანვარი. [illegible], ლინცში, ინსბრუკსა და მთელ რიგ სხვა ქალაქებში ნაციონალ-სოციალისტებმა ყუმბარები შეაგდეს საზოგადოებრივ შენობებში. უშიშროების მინისტრმა ფეიმ გამოაქვეყნა „უკანასკნელი გაფრთხილება" ნაციონალ-სოციალისტ ტერორისტების მიმართ (ადს).

მოსკოვი

(ტელეფონით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

17 მილიონი მანეთი საკურორტო მშენებლობისათვის საქართველოში

მოსკოვი, 19 იანვარი. დღეს ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს საკურორტო სამმართველოს უფროსს ამხ. პისკუნოვს. ამხ. პისკუნოვის სიტყვით, ამ დღეებში საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა საქართველოს კურორტების განვითარების 1934 წლის საკონტროლო ციფრები. ფართოდ გაიშლება საქართველოს კურორტების მშენებლობა, რისთვისაც გაღებულია 17 მილიონი მანეთი (ნაცვლად 9 მილიონი მან. 1933 წელს); განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კურორტ წყალტუბოს განვითარებას, რისთვისაც 1934 წელს გაღებული იქნება 5 მილიონ მანეთზე მეტი.

მემარჯვენე პრესა მოითხოვს შოტანის კაბინეტის გადადგომას

პარიზი, 19 იანვარი. სტავისკის აფერასთან დაკავშირებით, მემარჯვენე დეპუტატი ანრიო პარლამენტში გამოვიდა მკაცრი ბრალდებებით შოტანის კაბინეტის წინააღმდეგ. ანრიო იუსტიციის მინისტრის რეინალდის, აგრეთვე მინისტრების ბონეს, პოლ-ბონკურის და დე-მონზის ბრალს სდებდა დაუდევრობაში. სხდომამ, რომელსაც განსაკუთრებით ცხარე ხასიათი ჰქონდა, არა ერთხელ იქნა შეწყვეტილი ყვირილით. [illegible] მივიდა ხელჩართულ ბრძოლამდი დეპუტატთა შორის. შოტანმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ კაბინეტმა გადაწყვიტა დასაჯოს ყველა, ვინც კი დამნაშავეა სტავისკის აფერაში, მაგრამ მან უარყო კაბინეტის წევრთა წინააღმდეგ ანრიოს მიერ წამოყენებული ბრალდებანი. მოელიან მემარჯვენეთა ახალ გამოსვლებს. შესაძლებელია, რომ ნდობის საკითხი კვლავ დაისმება, მთელი მემარჯვენე პრესა მოითხოვს შოტანის კაბინეტის გადადგომას. (ადს).

გემი, რომელსაც რადიოთი მართავენ

ლონდონი. 19 იანვარი („პრავდას" საკ. ინფ.). „დეილი ჰერალდი" აქვეყნებს დეტალებს ინგლისის საზღვაო სპეციალისტების ახალი გამოგონების — კატერის შესახებ, რომელსაც რადიოთი მართავენ. ასეთი კატერის გამოცდამ „ძრიად დამაკმაყოფილებელი შედეგები" გამოიღო. „ეს კატერი, წერს „დეილი ჰერალდი, — ნამდვილად გიგანტურ ტორპედს წარმოადგენს. კატერის გამოცდა ორ წელს წარმოებდა".

1932 წელს გამოცდაზე დაიხარჯა 7.640 გირვანქა სტერლინგი, ხოლო 1933 წელს —8.383 გირვანქა. ცდებისათვის გამოყენებულ იქნა ძველი კატერი, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა მსოფლიო ომში. „დეილი ჰერალდის" სიტყვით, ასეთი კატერები, დატვირთული ასაფეთქებელი ნივთიერებით, ან მომარაგებული ტორპედოს აპარატებით, რომლებსაც მართავენ უაღრესად ზუსტი რადიოაპარატურით, წარმოადგენენ მეტ საფრთხეს თანამედროვე მსხვილი გემებისათვის (ადს).

საფრანგეთ-გერმანიის ეკონომიური კონფლიქტი

პარიზი, 19 იანვარი. მთავრობამ გადაწყვიტა გააუქმოს საფრანგეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულება. გაზეთები ამას იტყობინებიან სათაურებით: „სავაჭრო ომი", „საბაჟო ომი" და „კონფლიქტი უაღრესად მწვავე ხდება" (ადს).

ამერიკული სანავთო ექსპედიცია ბახრეინის კუნძულებზე

მოსკოვი, 19 იანვარი. ამერიკის სანავთო კომპანია „სტანდარტ ოილ კომპანი ოფ კალიფორნიამ" გაგზავნა 45 ინჟინერი, აგრეთვე წყალმყვინთავები და ნავთის ექსპერტები ბახრეინის კუნძულებზე (სპარსეთის ყურე), სადაც ამ ცოტა ხნის წინად აღმოაჩინეს მდიდარი ნავთიანი უბნები. ინჟინრების და წყალმყვინთავების ჯგუფი იმუშავებს წყალქვეშ ნავთსადენის გაყვანაზე (ადს).

პოლ-ბონკური საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ

პარიზი, 17 იანვარი. გარეშე საქმეთა მინისტრი ბონკური სენატში გამოვიდა პასუხით შეკითხვებზე საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ. დაწვრილებით შეჩერდა რა საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაზე, ბონკურმა ხაზი გაუსვა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ დაახლოებას და განსაკუთრებით აღნიშნა ერიოს დამსახურება ამ მხრივ". „არ შეიძლება გვერდის ავლა ისეთი ქვეყნისათვის, — განაცხადა ბონკურმა, — რომელსაც 165 მილიონი მცხოვრები ჰყავს და რომელიც, მდებარეობს რა ევროპასა და აზიაში, წარმოადგენს ისეთ ქვეყანას, რომელმაც მიიპყრო საერთაშორისო დიპლომატიის მთელი ყურადღება, ქვეყანას, რომლის მრეწველობა თავბრუდამხვევი სისწრაფით იზრდება. საბჭოთა კავშირი, განაგრძობს რა თავის რევოლუციურ მშენებლობას ქვეყნის შიგნით, ამჟამად გახდა ევროპის მდგომარეობის სტაბილიზაციის აშკარა მომხრე. სწორედ რადგანაც [illegible] ეკუთვნის ყველაზე გაბედული გაკიცხვა ტერიტორიული რევიზიისა მისგან გამომდინარე საშიშროებით ევროპის ახლანდელი მდგომარეობის დროს. საბჭოთა კავშირის მიმართ ჩვენ ყოველგვარი ეჭვის გარეშე ვახორციელებთ დაახლოების პოლიტიკას".

„ჩვენი დაახლოება საბჭოთა კავშირთან, — განაგრძობს ბონკური, — საშუალებას გვაძლევს მეტი სიმყარე მივსცეთ უშიშროებას. ჩვენ დიდად კმაყოფილი ვიყავით, რომ ჩვენი დაახლოება საბჭოთა კავშირთან მოხდა იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირი დაუახლოვდა იმ მეზობლებს, რომლებიც ჩვენი მეგობრები არიან. ამასთან დაკავშირებით პოლ-ბონკურმა მოიგონა თავდაუსხმელობის პაქტის დადება პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, რომელიც საძირკველს უყრის მეგობრულ პოლიტიკას ამ ქვეყნებს შორის. ეს პოლიტიკა, — განაცხადა მან, — ახლა კიდევ უფრო აუცილებელია, ვიდრე ოდესმე ორივე ქვეყნის უშიშროების უზრუნველსაყოფად და მშვიდობიანობის განსამტკიცებლად ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში.

კონვენცია აგრესორის განსაზღვრის შესახებ, — განაცხადა ბონკურმა, — ღიად რჩება ყველა სახელმწიფოსათვის ხელის მოსაწერად და ძლიერ ცილდება თავდაუსხმელობის უბრალო ფორმულის ფარგლებს, რამდენადაც ამ კონვენციის მიზანია აგრესორის განსაზღვრა. მართალია, საბჭოთა კავშირი არ არის ერთა ლიგის წევრი, მაგრამ იმ პაქტების შედეგად, რომლებიც მან დადო იმ თავის მეგობრებთან, რომლებიც ერთა ლიგის წევრები არიან, საბჭოთა კავშირი ღებულობს თითონ და უწევს მის მოსაზღვრე ქვეყნებს საგრძნობ დახმარებას ურთიერთ უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში.

მზადება ახალი კინოდადგმებისათვის

საქ. სახკინმრეწვმა უკვე დაამთავრა მთელი რიგი ახალი სურათების გადაღება. ამ დღეებში ეკრანზე იქნება ნაჩვენები „უჟმური". სცენარი შ. დადიანის და ნ. ღოღობერიძისა, დადგმა რეჟ. ნ. ღოღობერიძისა, ოპერატორი აფაქიძე, მხატვარი გოცირიძე. სურათის შინაარსი გამოხატავს კლასობრივ ბრძოლას, კოლხიდის ჭაობის ამოშრობასთან დაკავშირებით.

„მზალი და გელა" სცენარი და დადგმა რეჟ. [illegible] და ხუსკივაძისა. ოპერატორები პოზმანი და პოლიკარპოვი. სურათში ნაჩვენებია საბჭოთა კულტურის განვითარება ხევსურეთში.

„ხელისუფლებისაკენ"—(მიტო) — სახკინმრეწვის პირველი მოლაპარაკე ფილმი; ავტორი მ. ჭიაურელი. ეს ფილმი იძლევა მებრძოლ ქართველ ბოლშევიკის ტიპს, რომელიც ჩამოყალიბდა და გასალკლდევდა რევოლუციურ ბრძოლებში, ციხეში, ფრონტზე, სამოქალაქო ომში და მენშევიკურ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

„ჟუჟუნა მზითევი"—კინო-კომედია, ავტორი ფალავანდიშვილი, ოპერატორი პოზმანი; მხატვარი მამალაძე. ფილმში მოცემულია დამიანის ფსიქიკის სოციალისტური გარდაქმნა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის პირობებში, მოქმედება იშლება საკოლმეურნეო მშენებლობის ფონზე სამეგრელოში.

„უკანასკნელი ჯვაროსნები". ავტორი-რეჟისორი ს. დოლიძე, ოპერატორი დიღმელოვი. შინაარსი შეეხება კოლმეურნეობის ორგანიზაციულ-პოლიტიკური განმტკიცებისათვის ბრძოლას. სურათში ნაჩვენებია ბრძოლა ინტერნაციონალური სოლიდარობისათვის და სხვადასხვა ტომის მშრომელთა კლასობრივ ინტერესთა იგივეობის შეგნება.

მთავრდება გადაღებები და მალე დაიწყება მონტაჟი შემდეგი სურათებისა: „არშაული".

სურათში მოცემულია სოციალისტური ინდუსტრიის შეჭრა მთიულეთში (ხევი) და მისი ზეგავლენა მოხევეთა ყოფაცხოვრებაზე; მოქმედების ფონად აღებულია [illegible] სამუშაოები.

„ნახვამდის"—კინო-კომედია; სურათში ნაჩვენებია თუ როგორ იყენებდნენ რევოლუციონერები, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში მეფის ბიუროკრატ-მოხელეების მხრივ იმდროინდელი კანონების ბრმა შესრულებას.

გაშვებულია წარმოებაში: „მდინარის იქით" სცენარი ილო მოსაშვილის. რეჟ. ბერიშვილი.

შინაარსი შეეხება ლეკის ფსიქიკის სოციალისტურად გარდაქმნის პროცესს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის პირობებში, მოქმედების ფონი—შირაქის საბჭოთა მეურნეობა.

დამთავრებულია ტექნიკური ფილმი „რკინის გზის ტრანსპორტის ელექტროფიკაცი"-ს გადაღება; სცენარი შვანიძის, რეჟ. გომართელი, სურათში ნაჩვენებია ელექტროფიცირებ. რკინის გზის ოპერატიული [illegible]. სურათის გადაღებები წარმოებდა დონბასში, მოსკოვში და სხვა ადგილებში.

მალე დამთავრდება „ელისოს" გახმოვანება. გახმოვანება წარმოებს სახკინმრეწვის საკუთარ ტექნიკურ ბაზაში. გახმოვანებას აწარმოებს—ხმის რეჟისორი დოლენკო და კომპოზიტორი—ტუსკია.

გეგმით 1934 წელს გათვალისწინებულია შემდეგი დადგმები: „გატეხილი ყამირი", სცენარი შოლოხოვის და რეჟ. შენგელაიასი; „ხმოვანი სურათი — სცენარი და დადგმა რეჟ. ესაკიასი, შინაარსი შეეხება შამხორის ამბებს მენშევიკების ბატონობის დროს; „არსენა მარაბდელი"; „პოლიტგანყოფილება", სცენარს წერენ ლიბედინსკი და რეჟ. კალატოზიშვილი. სცენარი ეხება პოლიტგანყოფილების მუშაობას კოლმეურნეობაში) „ხიდი მდინარე ენგურზე", შინაარსი მოგვითხრობს გარდატეხას ზემო-სვანეთის ყოფაცხოვრებაში სოციალისტურ მშენებლობის პირობებში; „თეთრ კლდეთა შორის", თემად აღებულია ლეჩხუმის სოციალისტური რეკონსტრუქცია და მისი ზეგავლენა ადგილობრივ მოსახლეობის ცხოვრებაზე, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი", „მზისაკენ"; (საბავშო სურათი) სცენარი ლ. ქიაჩელის, რეჟ. მუჯირი.

დასახელებულ ძირითად დადგმებს გარდა შეკვეთილია კიდევ შემდეგი [illegible] თემები; „ნაცარქექია" პ. კაკაბაძის, კინო-კომედია იმავე ავტორის „ყვარყვარე"-თუთაბერის მიხედვით, „მეზობლები"; პ. ჩხიკვაძისა, „რომანტიული ამბავი"; „ზღვაური"—ვ. გაბესკირიას, „ხატიჯე"—კ. კალაძის, „ორი ძმა" ს. კლდიაშვილის, „უღელტეხილი"—ს. ყულაევის (სამხრეთ ოსეთის ცხოვრებიდან), „ბესიკი" სცენარი გ. ლეონიძის და სხვ.

ქრონიკა

21 იანვარს, საღამოს 8 ნახ. საათზე საქ. საბჭოთა მხატვრების კავშირი იწვევს მხატვრების საერთო კრებას—მოსკოვში საქართველოს სახვითი ხელოვნების გამოფენის მოწყობის საკითხებზე.

ველისციხის სახ. თეატრის სეზონი იხსნება 21 იანვარს ხლავინის „ინტერვენციით" დადგმა რეჟ. გ. დარისპანაშვილის.

ებრაელი მწერლები ტფილისში

გუშინ, 20 იანვარს, „კომუნისტი"-ს რედაქციას ესტუმრა ცნობილ ებრაელ მწერალთა ბრიგადა, რომელშიაც შედიან **პერეც მარკიში, გოდინერი** და **დობრუშინი**. ბრიგადა ტფილისში ჩამოვიდა საბჭოთა მწერლების საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტის და საკავშირო „მემმის" (მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობი საზოგადოება) დავალებით. ბრიგადის ჩამოსვლის მიზანია შეისწავლოს საკოლმეურნეო მშენებლობა ებრაელთა რაიონებში და შეარჩიოს ქართული ლიტერატურული ნაწარმოებები ებრაულ ენაზე გადასათარგმნად.

ბრიგადას თან ახლდენ საქ. მემმის თავმჯდომარე ამხ. **რ. ელიგულაშვილი** და მწერალი **გერცელ ბააზოვი**.

„კომუნისტი"-ს თანამშრომლებთან საუბარში ბრიგადის წევრებმა აღნიშნეს, რომ ამჟამად საბჭოთა კავშირი ორი უდიდესი მნიშვნელობის ყრილობის წინ დგას. ერთია—პარტიის მე-17 ყრილობა, ხოლო მეორე საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობა. მთელი ქვეყანა უდიდესი ენტუზიაზმით ემზადება ამ ყრილობებისათვის.

საბჭოთა მწერლების ყრილობის სამზადისის ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენს ჩვენი საქართველოში ჩამოსვლა. ჩვენ უნდა შევისწავლოთ ქართული მწერლობა და მივიღოთ ზომები მისი საუკეთესო ნაწარმოების რუსი და ებრაელი მკითხველებისათვის გასაცნობად. ამას ჩვენ შევძლებთ ქართველი მწერლების დახმარებით.

მარცხნიდან მარჯვნივ: გოდინერი, დობრუშინი, პერეც მარკიში.

ჩვენ არ გვაქვს საშუალება დიდხანს დავრჩეთ ტფილისში, მაგრამ იმ მცირე დროსაც, რომელსაც ჩვენ აქ გავატარებთ, მაქსიმალურად გამოვიყენებთ ჩვენზე დაკისრებულ ამოცანების შესასრულებლად.

პერეც მარკიში, გოდინერი და **დობრუშინი** ცნობილი მწერლებია, სწერენ ებრაულად და რუსულად. პერეც მარკიში ავტორია წიგნების „მეხუთე ჰორიზონტი", „მიწა" და სხვა, გოდინერი „კაცი თოფით", დობრუშინი ებრაული დრამატურგიის საფუძვლის ჩამყრელი და ებრაული კრიტიკოსია, ცნობილია მისი პიესა „სასამართლო მოდის".

ბრიგადა გუშინ გაემგზავრა წითელ-გორაში ებრაელთა კოლმეურნეობის მუშაობის გასაცნობად.

22 და 23 იანვარი—არასამუშაო დღე

მოსკოვი, 20 იანვარი. (ადს). იმის გამო, რომ 22 იანვარი არასამუშაო დღეა, სსრკ სახკომსაბჭომ დაადგინა: იმ საწარმოებსა და მშენებლობაზე, რომლებზედაც მათთვის დაწესებული სამუშაო გრაფიკის მიხედვით გამოსასვლელი დღე მოდის 24 იანვარს, სათბობი მასალის ეკონომიისა და მექანიზმების რაციონალური გამოყენების მიზნით, გამოსასვლელი დღე 24 იანვრის ნაცვლად გადატანილი იქნას 23 იანვრისათვის.

ეს დადგენილება არ ვრცელდება საწარმოებსა და მშენებლობაზე, რომლებიც განუწყვეტლად მუშაობენ, საბჭოთა და კოოპერატიულ დაწესებულებებზე.

საქართველოს კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტი იტყობინება, რომ ძირეული

პარტგოლის პარტდღე,

მიძღვნილი მე-17 ყრილობასთან დაკავშირებით ნაკისრ თვითვალდებულებათა და იანვრის გეგმის შესრულების შემოწმებისადმი რომელიც დანიშნული იყო 22 იანვრისათვის, გადატანილია 23 იანვრისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის მდივანი **გოგეჩია**

სახ. ოპერა

2[illegible] იანვარს 6 აბონ. 10 წარ.	[illegible]3 იანვარს 5 აბ. 7	23 იანვარს 9 აბ. 7 წ.
კარმენი	**სიმფ. კონცერტი** ევგენ მიქელაძის ხელმძღვანელობით და [illegible] მონაწილეობით.	**ტრავიატა**
		24 იანვარს დღისით **ხევსურული ბალადა**

დაიწყო მეშვიდე სააბონემენტო შესატანის მიღება. ის აბონენტები რომელთაც არ ექნებათ შეტანილი გადასახადი თავისი წარმოდგენის ერთი დღით ადრე, წარ[illegible]

რუსთაველის თეატრი

21 იანვარს 3 აბონ. 5 წარ.	23 იანვარს 4 აბონ. 5 წარ.	24 იანვარს 5 აბონ. 5 წარ.
ინტერვენცია	**ინტერვენცია**	**ინტერვენცია**

მეხუთე გადასახადი საბონემენტო შეტანილი უნდა იქნას წარმოდგენის დღის 2 საათამდე თეატრის და „პროლეტის" სალაროში. სალარო ღიაა 1—2 და 7—9 ს.-მდე. დასაწყისი 8 ს.

მარჯანიშვილის თეატრი

21 იანვარს 8 აბონ. 4 წარ.	22 იანვარს 16 აბონ. 3 წარ.	24 იანვარს აბონ. გარეშე
კაკალ გულში	**როგორ**	**მზის დაბნელება საქართ.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. თებერვლის 15-მდე აბონენტების მიერ დაფარული უნდა იქნას მეექვსე გადასახადი. ბილეთები თეატრის სალაროში დილის 11—4 და საღამოს 7—9 ს.

სახკინმრეწვის კინო-თეატრები

ოქტომბერი	პოლ.—ხმ. მოლ. ფ. **სიკვდილის კონვეიერი** სეანსები 5-30, 8-30, 10-30.
დამკვრელი	გერმან. ხმ. ფ. **დედა კრაუზეს ბედნიერება** სეანსები [illegible] 10-30.
ტემპი	მხატვრ. ფ. **იმპერიის ნამსხვრევი** სეანსები [illegible] 10-30.
რ. ლუქსემბურგის სახ.	ხმ. მოლ. ფ. **დიდი ნუგეშისმცემელი** სეანსები 5, 7-30, 9, 10-30.
სპარტაკი	ხმ. ფ. **„ამერიკანკა"** სეანსები 5, 7-30, 9, 10-30.
26 კომ. სახ.	მხატვრ. სურათი **კ ა ტ ო რ ღ ა** სეანსები 5-30. 8-15
მეცნიერება და ტექნიკა	**ლენინური კინო-სიმართლე** სეანსები [illegible]
რ. ლუქსემბურგის [illegible]	ისტორ. იულ. დრამა **ამბოხება** სეანსები 12. 1-3
საბავშო	საბ. ფ. **მუდამ მზად ვარ** [illegible] სეანსები 10, 12, 2.

გამოვიდა და იყიდება

საქ. სახელგამის ტფილისის მაღაზიებში

1934 წ. კედლის კალენდარი

(ქართული)

[illegible] მაღაზიებში კალენდარი გაიყიდება 25 იანვრიდან

ს. 583 საქ. სახელგამი.

ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭო აცხადებს, რომ 21-დან 26 იანვრამდე

წარმოებს რაისაბჭოს დეპუტატების ხელახალი აღრიცხვა

მანდატების გამოცვლით

აღრიცხვა იწარმოებს ყოველ დღე (გამოსასვლელ დღესაც) დილის 10—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე შემდეგი წესით:

21	იანვარს ცხადდებიან აღრიცხვაზე დეპ. მანდატით №	1-დან 100-მდე
22	„ „ „ „ „	101-დან 200-მდე
23	„ „ „ „ „	201 „ 300 „
24	„ „ „ „ „	301 „ 400 „
25	„ „ „ „ „	401 „ 500 „

დანარჩენი № 501-დან.

რაისაბჭოს ის დეპუტატი, რომელიც აღნიშნულ ვადამდი არ გამოცხადდება ხელ-ახალ აღრიცხვაზე და იმავე ხნის განმავლობაში თავის გამოუცხადებლობის მიზეზს არ აცნობებს საბჭოს საორგ. განყოფილებას, ჩაითვლება საბჭოს შემადგენლობიდან მექანიკურად გამოსულად და მისი საკითხი დაისმება ამომრჩეველთა წინაშე.

რაისაბჭოს თავმჯდომარე—თოთაძე

პ/უგ. მდივანი—გაბუნია.

2— ს. 580

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მეცნიერთა დამხმარე კომისიისაგან

საბჭოთა მეცნიერებისათვის ხელისშესაწყობად და მის მონაპოვართა სოციალისტურ მშენებლობაში შთასანერგავად, აგრეთვე მეცნიერთა მუშაობის წასახალისებლად

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მეცნიერთა დამხმარე კომისია აცხადებს

სამეცნიერო შრომების კონკურსს

კონკურსის ამოცანა

წარმოდგენილი შრომები, ნაბეჭდი თუ ხელნაწერი, უნდა სწყვეტდეს სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, ტექნიკის და კულტურის საკითხებს სოციალისტური მშენებლობის თვალსაზრისით.

კონკურსის პირობები

შრომები უნდა აკმაყოფილებდეს ერთ-ერთ შემდეგ პირობას: ან უნდა წარმოადგენდეს მეცნიერების ორიგინალურ განვითარებას, ან უნდა ანთავისუფლებდეს საბჭოთა კავშირს უცხოეთის დამოკიდებულებისაგან, ან ხელს უნდა უწყობდეს სოციალისტური მშენებლობის ძირითად პრობლემათა სასწრაფოდ გადაწყვეტას, ან უნდა აძლიერებდეს საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარს. კერძოდ, შრომების თემატიკა დაახლოებით შეიძლება შეეხებოდეს შემდეგ დარგებს:

1. საუკეთესო შრომები ახალი სანედლეულო რესურსების გამოყენების შესახებ, რასაც მიზნად აქვს ჩვენი ქვეყნის განთავისუფლება უცხოეთის [illegible] დამოკიდებულებისაგან და აგრეთვე ხელისშეწყობა ახალ ან ეკონომიურად უფრო ეფექტიურ სასაქონლო-მატერიალურ ღირებულებათა შექმნისათვის (როგორიც, მაგ., ალუმინი ლატერიტებისაგან ან ტყიბულის ციქალისაგან, ჯამბო[illegible] მიღება ერბო-ცხიმ. [illegible] და ნავთის მრეწველობისათვის [illegible] გამოყენება სამრეწველო მიზნებისათვის, ახალი საშუალებები და მეთოდები მალფუჭებად ნივთიერებათა კონსერვირებისათვის, ახალი სახის სასუქების ფაბრიკაცია და სხვ.)

2. საუკეთესო ტექნიკური პროექტი სამრეწველო, კომუნალური, სასოფლო-სამეურნეო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა, რომელთა განხორციელებას დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკისათვის (ყველაზე უფრო ეკონომიური ენერგეტიკულ ნაგებობათა პრობლემები, წყლით მომარაგებისა და ირიგაციის საკითხები, სეტყვასთან საბრძოლველად და ხელოვნურ წვიმის მოსაყვანად საჭირო დანადგარები და სხვ.).

3. საუკეთესო შრომები, რომელთაც მიზნად აქვთ კულტურული მშენებლობის მატერიალური ბაზის გაძლიერება, მაგალითად: ნარჩენებისაგან ქაღალდის მიღების ახალი საშუალებანი, საბეჭდავი შრიფტის რაციონალიზაცია და სხვ.

4. საუკეთესო შრომები, რომლებიც მიმართულია მოსახლეობის შრომისუნარიანობისა და თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისაკენ (ახალი სახის სურსათი, მდიდარი მარგებელი ნივთიერებებით და ვიტამინებით, მშრომელთა ფართო მასების გაჯანსაღება, შრომის ჰიგიენა და სხვ.).

5. საერთოდ კეთილი შრომები, აგებული მხარეთმცოდნეობის მასალაზე, რომელთა მიზანიცაა სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის მომსახურება, როგორიც, მაგ., შრომები მატერიალური კულტურის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ხელოვნების, ფოლკლორის, ენათმეცნიერების, ლიტერატურის და ისტორიის დარგში და სხვ.

დასაჯილდოებელ სამეცნიერო შრომათა რიცხვში შეიძლება შეტანილ იქნეს არა მარტო სამეცნიერო-საკვლევო ექსპერიმენტალური ხასიათის შრომები, არამედ შემდეგი შრომებიც:

1) სამეცნიერო მუშაობის ორგანიზაციის შესახებ; 2) სამეცნიერო-პედაგოგიური ხასიათისა (საუკეთესო კურსი უმაღლესი და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებისათვის ქართულ ენაზე); 3) სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის (დამოუკიდებლად) —(ისეთი, როგორიც არის ტიმირიაზევის „მცენარეთა ცხოვრება", ფლამარიონის—ატმოსფერო", [illegible]—განახლებული მიწა და სხვ.) ქართულ ენაზე; 4) სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათისა (ახალი საშენი მასალა, დამცემენტებელი ნივთიერება, პლასტიური მასალა, საანგარიშო მანქანა, მეტეოროლოგიური, აეროლოგიური და სხვა საზომი ხელსაწყო და სხვ.).

კონკურსში მონაწილეობა

კონკურსში პრემიის ძიების უფლება აქვს სსრ კავშირის ყველა როგორც გონებრივი, ისე ფიზიკური შრომის მოქალაქეს. შრომა მიიღება როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე და სსრ კავშირის სხვა სახელმწიფო ენაზე.

კონკურსის პრემიები

ერთი პრემია 5.000 მანეთიანი, ორი პრემია—3.000 მან. თითო, სამი პრემია—2.000 მან. თითო და სამიც—1.000 მან. თითო.

კონკურსის ჟიური

საკონკურსოდ მიღებულ შრომებს განიხილავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მეცნიერთა დამხმარე კომისიის სპეციალური საკონკურსო კომისია. მიღებული შრომები გადაეცემა შესაფასებლად რეცენზენტს ან რეცენზენტთა ჯგუფს, რომელთაც საზოგადოებრივი წესით მიიწვევს მეცნიერთა დამხმარე კომისია საქართველოს და საბჭოთა კავშირის საუკეთესო მეცნიერ-მუშაკთაგან. კომისიის-ჟიურის დადგენილება რატიფიცირებული იქნება მეცნიერთა დამხმარე კომისიის მიერ და გამოქვეყნდება ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში.

კონკურსის ვადები

შრომების წარდგენის საბოლოო ვადა არის 1934 წლის ოქტომბრის 1-ლი.

420

ექიმი

ი. ი. [illegible]

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფ. იღებს ავადმყოფებს დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 ს.

მისამართი [illegible] № 72 (ყ. დიდი მთავარის ქ.) [illegible] საავადმყოფოს კორპუსი. 51—1

ექ. ხ. ბ. დილბანძე

სპეც. [illegible] ვენერიული და კანის სნეულებანი მწვავე და ქრონიკ. [illegible] და სქესობრივი უძლურების მკურნალობა.

მიღ. დილით 8—10 ს., საღ. 6—9 ს. თეატრალური შეს. № 11 (რუსთ. ოპერის თეატრის გვერდით. 1—10 14[illegible]0

თანახმად წევრების საერთო კრების დადგენილებისა

ხდება არტელ „ციაგი"-ს

ლიკვიდაცია

თუ ვინმეს რაიმე პრეტენზია აქვს უნდა შემოიტანოს ლიკვიდკომში, ნეკრასოვის ქ. № 11, 1934 წ. 15 თებერვლამდე.

471 ლიკვიდკომი.

უმაღლეს სასწავლებლებისათვის

მოსამზადებელი

კურსების დირექცია ა/წ. 27 იანვრიდან ხსნის დამატებით ერთ ჯგუფს

პედაგოგიური სადგურის შენობაში კამოს ქ. № 59.

პირობების გაგება შეიძლება იქვე.

57 კურსების დირექცია.

აჭ[illegible] ამხანაგები: ალე[illegible] ქოქიკაშვილი, კირილე თავბერიძე, სულეიმან დიასამიძე, თომა სიხარულიძე იუწყებიან პარტიის ძველი წევრის, საუკეთესო ამხანაგის

ტოტო ჩხაიძის

უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 582

თავზარდაცემული ბებო სოფიო ქუთხულიძე და [illegible], სიძე ოსიკო, [illegible] ციციკოთი იუწყებიან, რომ დაეკარგეს ძვირფასი

სერგო ალექსის ძე მთვარაძე

სამოქალაქო პანაშვიდი 21 იანვარს 6 ს. დაკრძალვა 22 იანვარს 1 ს. ავლაბრის სასაფლაოზე. გამოსვენება ახოსპირელის ქ. მეორე ჩიხი № 4. 446

[illegible] კინო ქარხნის თანამშრომლები: ი. ავალიშვილი, ს. ოდილავაძე, ა. ლიპ[illegible], მ. კოპლამაზიშვილი, ლ. ჩაჩანიძე, თ. ბერიძე, [illegible] ხიზაროვ, მ. [illegible], ა. კო[illegible], თ. [illegible] და ლ. [illegible] ძვირფასი მეგობრისა და თანამშრომლის

სერიოჟა მთვარაძის

უდროოდ გარდაცვალებას. 446

დამწუხრებული მშობლები: მამა და ნიკო ერგემლიძეები, და ლიზიკო, სიძე [illegible], დისწული: [illegible] იუწყებიან, რომ 24 იანვარს 4 ს. ავჭალაში [illegible] სამოქალაქო ნიშვიდი

რუბენ ნიკოლოზის-ძე ერგემლიძის

[illegible]ის აღსანიშნავად.

დამწუხრებული დისწულები: მიხეილ ნიჟარაძე ცოლ-შვილით, მარიამ პაქსაშვილი ქმრით, ოლია კალანდარიშვილი ქმარ-შვილით, სიძე მინა ნიჟარაძე იუწყებიან [illegible] საყვარელ დეიდა

ოლღა ნიკოლოზის ას. ავალიანის

დაკარგვას. დაკრძალვა ს. ქვიტირში 21 იანვარს. 4[illegible]7

მეგობრები: გ. ჯაფარიძე, ქ. ზალდასტანიშვილი, მაგდალინე ჩაჩავა, [illegible], [illegible] ფარჯანაძე, [illegible] ფხალაძე, დათუაშვილი, მაყარაშვილი, გუგუნავა, [illegible] უცხადებენ ამხ. მიშა ნიჟარაძეს მისი დეიდის (გამზრდელის)

ოლღა ნიკოლოზის-ასულ ავალიანის

გარდაცვალების გამო 464

დამწუხრებული მშობლები: სტეფანე და სონა, ძმები: პავლე და ვ[illegible]ლიკო, და ანიკო აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს მათი დაუვიწყარი

ვერა დიდიმამიშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალება. გამოსვენება 22 იანვარს, კლარა ცეტკინის ქ. № 24 448

ნინო, კრიშა, მიშა, შალვა რატიანები რძლით: მანია ნინო, მარო და შვილიშვილი [illegible] დავით ჩხეიძე მწუხარებით იუწყებიან საყვარელი დედის

თეკლე რატიანის

გარდაცვალებას. გამოსვენება ალექსანდროვის საავად. პროზექტურიდან, 22 იანვარს 2 ს. 463

„სოფკულტურა"-ს თანამშრომლები: [illegible], მინაშვილი, [illegible] ჯოჯუაძე, კატლიაროვა, [illegible] და სხვები მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ამხანაგის [illegible] დედის

ეკატერინეს

გარდაცვალებას. 465

ლენ. რაიონის [illegible] ყველა თანამშრომლები ვიზიარებთ ექიმ ლევან წერეთლის მწუხარებას მამის

კონსტანტინე ფარნაოზის-ძე წერეთლის

გარდაცვალების გამო 461

დამწუხრებული მშობლები: იპოლიტე და ანნა, ძმა გიგი, ბიძები: გალაქტიონი იუსტინე ყაველაშვილები ოჯახებით, [illegible]: ოლიმპიადა, კალისტინა, ოლღა იუწყებიან

ვახტანგ იპოლიტეს-ძე ყაველაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 23 იანვარს, ქუთაისში. გამოსვენება ჟურიცკის ქ. მეორე შესახვევი № 41 472

ღრმად დამწუხარებულნი: სიმონ ხანთაძე ცოლით მარინე [illegible]: გულნარა და ნათელა იუწყებიან მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ვახტანგ იპოლიტეს-ძე ყაველაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში 23 იანვარს. 470

ნინო [illegible] კონსტანტინე [illegible] იუწყება რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისი [illegible] დეიდაშვილი, ახალგაზრდა აგრონომ-მექანიზატორი

ვახტანგ იპოლიტეს-ძე ყაველაშვილი

დასაფლავება ქ. ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე 23 იანვარს. 416

დამწუხრებული სიძე მიხეილი ცოლ-შვილით: ოლია, შოთა, მერი მასხარაშვილები, სიძე შალვა ცოლ-შვილით: ვალია, [illegible] გოცირიძეები ცოლისძმა ალექსანდრე ცოლ-შვილით: თამარა, თინა, ჟორა გამყრელიძეები იუწყებიან საყვარელი

მიხეილ გიორგის-ძე ჯაშიაშვილის

ტრაგიკულად დაღუპვას. 475

დამწუხრებული მშობლები: სარა [illegible], ძმა პეტრე და თამარა კვაჭანტირაძე იუწყებიან მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ლოლა კვაჭანტირაძე-ტრაპაიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება 2[illegible] იანვარს. 474

დამწუხრებულნი: მეუღლე ისიდორე, შვილები: გრიშა, ოლია, ვ[illegible]ლიკო, ლენა და ქეთო იუწყებიან მათთვის დაუვიწყარი

მართა შაფათავას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 18 იანვარს, სოფ. განახლებაში (ჩოხატაურის რაიონი) 4[illegible]7

დამწუხრებული მშობლები: ალე და თამარა, ძმა ოთარ, ბებია ანეტა ფრანგიშვილები აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს დაუვიწყარი

გენადის

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 6 საათზე. გამოსვენება 22 იანვარს, 5 ს. ორჯონიკიძის 122-დან. 462

ლენ. რაიონის ჯანგანყოფილები და სანსადგურის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით ამოსთქვამენ ექიმ ლევან წერეთლის მამის

კონსტანტინე ფარნაოზის-ძე წერეთლის

გარდაცვალების გამო 45[illegible]

[illegible] აბრეშუმის ქარხნის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ამავე ორგანიზაციის ღირსეული წევრის, დამკვრელ[illegible] და მკვეთელ ბრიგადირის ამხ.

თამარა ფრანგიშვილის

უდროოდ გარდაცვალების გამო 459

ნინო [illegible] სვანიშვილი შვილებით აუწყებს ნათესავ მეგობრებს

კონსტანტინე ფარსადანის-ძე წერეთლის

გარდაცვალებას დაკრძალვა სოფ. ზორვილში (საჩხერის რაიონი) 4[illegible]9

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. №68

მთავლიტის რწმუნებული ა 1556